პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 იანვარი ორშაბათი 2014
№010 (14 231) ფასი 80 თეთრი



# CHICAGO BULLS გახარებULი შენგელია

თორნიკე შენგელიას „ბრუკლინიდან“ „ჩიკაგოში“ გადასვლის დეტალებზე მე-12 გვერდზე წაიკითხავთ, იქვე შეხვდებით მისი აგენტის ლევან მიქელაძის ნაუბარს, აქ კი თავად თორნიკეს მოვუსმინოთ, რომელსაც გუშინ ამერიკაში შევეხმიანეთ.

- ჩიკაგოში სამშაბათს გავემგზავრები. ვფიქრობ, იმავე დღეს მომიწევს გუნდთან შეხვედრა და სავარაუდოდ ვარჯიშიც.

**- ნებისმიერ ტრანსფერს ახლავს დადებითი და უარყოფითი ნიუანსები. ამ შემთხვევაში დადებითი უნდა ჭარბობდეს...**

- ნამდვილად კარგია, რომ „ჩიკაგო“ გამოჩნდა. ამ გუნდისადმი თავიდანვე სიმპათიით ვიყავი განწყობილი და მიმაჩნია, რომ სათამაშო სტილითაც, ვარჯიშების სისტემითაც სწორედ ისაა, სადაც არ უნდა გამიჭირდეს. იმედი მაქვს, „ჩიკაგო ბულსს“ კარგად შევეწყობი და სწორედ ჩემზე იქნება დამოკიდებული თამაშებში რა ფუნქცია დამეკისრება.

**- „ბრუკლინთან“ შედარებით „ჩიკაგოში“ ფორვარდის პოზიციაზე დიდი კონკურენცია არ არის.**

- „ნეთსში“ მართლაც რთული იყო გამოცდილი ფორვარდების კონკურენციის დაძლევა. „ბულსშიც“, რა თქმა უნდა, არის 3-4 კარგი ფორვარდი, როგორც მესამე ნომრის, ასევე მეოთხის ამპლუაში. მეც ამ ორ პოზიციაზე მომიწევს თამაში და ვიმედოვნებ, გუნდს მალე შევეწყობი.

**- „ბრუკლინის“ დატოვების გამო გული ხომ არ გწყდება?**

- აქ წელიწადნახევარი გავატარე, ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი, ბევრს დავუახლოვდი და ამ მხრივ მართლაც მენანება ბრუკლინის დატოვება. საპირისპიროდ, ნამდვილად არ ვნანობ გუნდთან განშორებას როცა ვიხსენებ, რომ თამაში იშვიათად მიწევდა.

**- ზაზა ფაჩულიასთანაც ახლოს იქნები - მილუოკი და ჩიკაგო ხომ მეზობელი ქალაქებია.**

- ზაზამ რომ გაიგო „ჩიკაგოში“ გადავდიოდი, გაუხარდა, ხშირად შევხვდებითო. თუ თავისუფალი დრო გამოგვიჩნდება ერთმანეთს ტრიბუნებიდანაც ვუქომაგებთ.

**- ახალი გუნდის წარმომადგენლებთან მაისურის ნომერზე ხომ არ გისაუბრია?**

- ჯერ არა. საქართველოს ნაკრებში 23-ე ნომრად ვთამაშობ და „ბულსშიც“ სიამოვნებით ჩავიცვამდი, მაგრამ... რაც შეეხება მე-20 ნომერს უკვე დაკავებულია. ასე რომ, ახალი ნომრის არჩევა მომიწევს.

**- „ბრუკლინმა“ ბოლო შეხვედრა ლონდონში ჩაატარა. 8 წუთი ითამაშე და „ატლანტა“ 127:110 დაამარცხეთ.**

- ვფიქრობ, NBA-ს თუნდაც ერთი მატჩის ევროპის კონტინენტზე გადმოტანა კალათბურთის განვითარების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია. გუნდებს ქომაგები ამერიკიდანაც ჩამოჰყვნენ, მათ ევროპელებიც დაემატნენ და ძალიან კარგი სანახაობა გამოვიდა. დადებითი მომენტი იყო ისიც, რომ ლონდონში 5 დღე გავატარეთ და ქალაქის დათვალიერება კარგად მოვასწარით.

**- „ჩელსის“ ბაზაზე სხვა ბრუკლინელებთან ერთად შენც ლურჯი მაისურა დაგახვედრეს წარწერით - შენგელია.**

- ესპანეთში „ბარსელონას“ ვქომაგობ, ინგლისში - „ჩელსის“. გუნდის მუზეუმისა და ბაზის დათვალიერება ძალიან საინტერესო იყო. „ჩელსის“ მაისურა კი ჩემს სახლში საპატიო ადგილს დაიჭერს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

4



## ლეგიონერთა საკონტროლო გოლები

## რეალური ტური: ბარსამ და ატლეტიკომ წაიფორხილეს

5



8



## ჩელსიმ მანჩესტერი შეარხვინა

## ანამ სერენა ავსტრალიიდან დაითხოვა

14



ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლო დანიშვნა

# ჯანაშია მეტალურგში იმუშავებს?

„ლელო" ჯერ კიდევ ოქტომბერში წერდა, რომ ბოლო 20 წლის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია საქართველოში დაბრუნდა და, შესაძლოა, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში იმუშაოს. მაგრამ მაშინ ზაზამ გუნდის დაკონკრეტება არ ისურვა. ახლა კი რუსთავის „მეტალურგის" გენერალურმა დირექტორმა ზაზა დოლიძემ გვითხრა, რომ დიდი სურვილი აქვს, ჯანაშია რუსთავულ კლუბში იხილოს.

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" ყოფილ თავდამსხმელს „ლელომ" მცირე ინტერვიუ ჩამოართვა:

- გუნდში მუშაობა ჯერ ოფიციალურად არ დამიწყია. მაგრამ ზაზა დოლიძე ჩემი მეგობარია და კარგად ვიცი, რომ მას და გუნდს ახლა გვერდში დგომა სჭირდებოდათ. ამ კაცს ფეხბურთი უზომოდ უყვარს და ყველაფერს აკეთებს, რომ მწირი ფინანსების მიუხედავად, „მეტალურგი" ქართული ფეხბურთის ლიდერებში იყოს.

**- წლეულს „მეტალურგს" სულ რაღაც 554 ათასი ლარით აფინანსებენ. თქვენი აზრით, ამ სახსრებით ღირებული გუნდის ჩამოყალიბება შესაძლებელია?**

- უცებ გამდიდრებული არც კაცი მინახავს და არც კლუბი. მიმაჩნია, რომ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ცუდია, რომ დღეს ქართული ფეხბურთით არავინ ინტერესდება - არც სახელმწიფო და არც ბიზნესი. მაგრამ მთავარია, ამ მწირი ფულითაც საქმე გაკეთდეს, ნელ-ნელა კლუბი განვითარდეს და ფული მერე აუცილებლად გამოჩნდება.

**- გუნდში რა როლში შეიძლება გიხილოთ?**

- ჯერ ამაზე ვერაფერს გეტყვით. ოფიციალურად ვიქნები თუ არა კლუბში, ამასაც არ აქვს მნიშვნელობა.

**- თანამშრომლობაზე ლაპარაკი როდიდან დაიწყო?**

- საქართველოში დაბრუნებულმა გადავწყვიტე, რომ არსად აღარ წავიდოდი და აქ ვიმუშავებდი. მერე „მეტალურგის" რამდენიმე შეხვედრას დავესწარი, მათ შორის - „დინამოსთან" და გუნდის თამაში მომეწონა. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**



ზაზა ჯანაშია

ჩიხურა

# ორმაგი როქის მოლოდინში

საჩხერის „ჩიხურა" სეზონის განახლებისთვის მზადებას აგრძელებს. გუნდი თბილისში დაბანაკდა და ჩვენებურ „მარაკანაზე" ვარჯიშობს.

როგორც ცნობილია, კლუბი დატოვეს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა **დიმიტრი ტატანაშვილმა** („ზესტაფონში" გადავიდა) და ცენტრალურმა მცველმა **გიორგი რეხვიაშვილმა**. ამ უკანასკნელის ტრანსფერი თბილისის „დინამოს" ეკუთვნის და საჩხერელებთან იჯარის დასრულების შემდეგ, თავის კლუბს დაუბრუნდა.

„ჩიხურას" მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე** გუნდის გაძლიერებას ცდილობს და თან ამ ორი ფეხბურთელის შემცვლელებს ეძებს. როგორც შევიტყვეთ, „ჩიხურაში" ორი ახალი მოთამაშე ვარჯიშობს. პირველი მათგანი - თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი **ლაშა შინდაგორიძეა**. 20 წლის ფორვარდი ორი წლის წინათ დანიურ „ორჰუსში" თამაშობდა, საქართველოში კი შარშან დაბრუნდა, მაგრამ „დინამოში" სულ 4 შეხვედრა ჩაატარა და კლუბი თანახმაა, იჯარით გაუშვას.

საჩხერელთათვის საინტერესო მეორე მოთამაშე „ზესტაფონის" ფორვარდი **საბა ლომიაა**. 23 წლის ფეხბურთელი გასულ სეზონში მარტვილის „მერანში" გაანათხოვრეს, სადაც მშვენიერი საგოლე ალღო გამოავლინა - 16 გოლით საუკეთესო ბომბარდირებში მოხვდა. მაგრამ „ზესტაფონში" დაბრუნებული, ასეთივე დამაჯერებლობით ველარ გამოირჩეოდა - 13 შეხვედრაში მეტოქეთა კარი სულ 4-ჯერ აილო და, ეტყობა, მისი კვლავ იჯარით გაშვების საფუძველიც ეს გახდა.

შევიტყვეთ, რომ ფრუიძე კიდევ ერთი დინამოელის დამატებას იმედოვნებს - საჩხერელთა დამრიგებელმა სამსახური **გია კვარაცხელიას** შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ 34 წლის ცენტრალური მცველი „დინამომ" ტრანსფერზე დეკემბერში დააყენა, მაგრამ შემდეგ მხარეები კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდნენ და კვარაცხელია თავისუფალი აგენტი გახდა.

ჯერ არც ერთი ეს ტრანსფერი ოფიციალურად არ გაფორმებულა, მაგრამ თუ ასე მოხდა, ორმაგი როქი განხორციელდება და „ჩიხურა" „ზესტაფონსა" და „დინამოს" ერთი და იმავე პოზიციის მოთამაშეებს გაუცვლის: ტატანაშვილს ლომიაში, რეხვიაშვილს კი - კვარაცხელიაში.

**მერაბ მამულაშვილი**

ბენდელას თასი



# დაიწყო!

18 იანვარს სტარტი აილო „ბენდელას თასის" 23-ე საერთაშორისო გათამაშებამ, რომელიც პროფესიულ გუნდებს შორის ტარდება. პირველ მატჩში „საბურთალომ" „ალგეთთან" 2:3 წააგო.

ტურნირის ორგანიზატორია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, თბილისისა და იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციები, საფეხბურთო კლუბი „საბურთალო", ხოლო მხარდამჭერები - „იბერია ბიზნეს ჯგუფი", „სალერი", „ყაზბეგი", ყავა „პელე", „კრომბახერი", „სახალისო ფეხბურთი ღია სკოლები", ლევან ჟორდანიასა და კახი ასათიანის საქველმოქმედო ფონდები.

წლევანდელ გათამაშებაში ასპარეზობენ უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგის 15 გუნდი და ამ თამაშებს სეზონისთვის მოსამზადებლად იყენებენ. შეჯიბრება თებერვლის შუა რიცხვებში დასრულდება. წლეულს „ბენდელაზე" აღმოსავლეთის 10 და დასავლეთის 5 კლუბი მონაწილეობს, რომლებიც სამ ხუთგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ. შემდეგ ეტაპზე პირველ-მეორეადგილოსნები და ორი საუკეთესო მესამეადგილოსანი ითამაშებენ.

**A ჯგუფი:** საბურთალო, დინამო, ვიტ ჯორჯია, ალგეთი, კარდაგი (აზერბაიჯანი).

**B ჯგუფი:** მარკ სტარი, სპარტაკი, მეტალურგი, ცხუმი, გაგრა.

**C ჯგუფი:** ზუგდიდი, ზესტაფონი, იმერეთი, ტორპედო, ქუთაისი.

| | |
|---|---|
| **I ტური** | |
| ვიტ ჯორჯია-კარდაგი | 21.01 (15:30, მცხეთა პარკი) |
| მეტალურგი-ცხუმი | 20.01 (14:00, რუსთავი) |
| სპარტაკი-გაგრა | 22.01 (10:30, ბენდელა) |
| ზესტაფონი-ქუთაისი | 20.01 (12:00, ტორპედოს ბაზა) |
| იმერეთი-ტორპედო | 22.01 (14:30, ტორპედოს ბაზა) |
| **II ტური** | |
| კარდაგი-ალგეთი | 23.01 (14:00) |
| დინამო-ვიტ ჯორჯია | 23.01 (14:00, მცხეთა პარკი) |
| გაგრა-მეტალურგი | 24.01 (14:00, რუსთავი) |
| მარკ სტარი-სპარტაკი | 24.01 (10:30, ბენდელა) |
| ქუთაისი-იმერეთი | 05.02 (14:00, ტორპედოს ბაზა) |
| ზუგდიდი-ზესტაფონი | 24.01 (14:00, ბაიას ბაზა) |
| **III ტური** | |
| საბურთალო-კარდაგი | 25.01 (13:00, ბენდელა) |
| ალგეთი-დინამო | 26.01 (13:00, დინამოს აკად.) |
| ცხუმი-გაგრა | 26.01 (12:00, საბურთალოს აკად/გლდანი) |
| მეტალურგი-მარკ სტარი | 05.02 (14:00, რუსთავი) |
| იმერეთი-ზუგდიდი | 28.01 (13:00, ბაიას ბაზა) |
| ტორპედო-ქუთაისი | 28.01 (14:30, ტორპედოს ბაზა) |
| **IV ტური** | |
| ვიტ ჯორჯია-ალგეთი | 28.01 (14:00, მცხეთა პარკი) |
| დინამო-საბურთალო | 05.02 (14:30, ბენდელა) |
| მარკ სტარი-ცხუმი | 30.01 (11:30, საბურთალოს აკად/გლდანი) |
| სპარტაკი-მეტალურგი | 28.01 (14:30, რუსთავი) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 01.02 (13:00, ტორპედოს ბაზა) |
| ზესტაფონი-იმერეთი | 01.02 (14:30, ზესტაფონი) |
| **V ტური** | |
| კარდაგი-დინამო | 29.01 (12:00, დინამოს აკადემია) |
| საბურთალო-ვიტ ჯორჯია | 01.02 (14:00, მცხეთა პარკი) |
| ცხუმი-სპარტაკი | 04.02 (10:30, ბენდელა) |
| გაგრა-მარკ სტარი | 02.02 (14:30, საბურთალოს აკად/გლდანი) |
| ტორპედო-ზესტაფონი | 03.02 (14:30, ტორპედოს ბაზა) |
| ქუთაისი-ზუგდიდი | 04.02 (12:00, ბაიას ბაზა) |

**მერაბ მამულაშვილი**

მეტალურგი

# მატჩების დროც დადგა...

სულ ახლახან ვწერდით რუსთავის „მეტალურგის" არცთუ სახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზე, რისი „გამოძახილიც" გუნდიდან მართლაც სარეკორდო რაოდენობის ფეხბურთელთა წასვლა იყო. ჰო, ნამდვილად არ არის პატარა ამბავი, როცა ზამთრის პაუზის დროს ამბიციური გუნდიდან 15 (!) ფეხბურთელი წავა!

არადა, „მეტალურგს" იმის ამბიციაც აქვს, საპრიზო სამეულში მოსახვედრად იბრძოლოს და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გუნდი საქართველოს თასის მეოთხედფინალშია გასული. ოღონდ, ამ შემთხვევაში რუსთაველებს აშკარად არ გაუმართლათ: მეტოქედ ხომ თბილისის „დინამო" ერგოთ. თანაც, სეზონის განახლებას „მეტალურგი" სწორედ „დინამოსთან" მატჩით უნდა შეხვდეს, მაგრამ რა კონტინგენტი ეყოლება რუსთაველთა „ძველ-ახალ" მთავარ მწვრთნელს **ვარლამ კილასონიას** 22 თებერვლისათვის, დღესდღეობით მართლაც ძნელი სათქმელია.

შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე მოასპარეზე ფეხბურთელთაგან „მეტალურგში" მხოლოდ შვიდი მოთამაშეა დარჩენილი: მეკარეები - **გრიგოლ ბედიაშვილი, კოკა სეფიაშვილი,** მცველი - **მიხეილ მახვილაძე,** ცენტრალური ნახევარმცველები - **გიორგი ქავთარაძე, გიორგი ვასაძე,** გარემარბი - **დავით საჯაია** და ფორვარდი - **გიორგი ჩირგაძე.**

რაც შეეხება მატჩებს, ოფიციალურად ჯერჯერობით გუნდში ერთი ახალწვეულია: ცხინვალის „სპარტაკიდან" მშობლიური ქალაქის გუნდში გადმოვიდა 21 წლის **ვარლამ კილასონია (უმცროსი)**. და აი, „მეტალურგის" გუშინდელ ვარჯიშზე კიდევ ორი ახალწვეული გამოჩნდა და ორივე ისეთი ფეხბურთელია, რუსთაველთა გუნდს უსათუოდ რომ გააძლიერებს.



გიორგი სეთურიძე (ბურთით) კარიერას მეტალურგში გააგრძელებს

სხვათა შორის, ორივე ეს მოთამაშე პირველ ეტაპზე თბილისის „დინამოში" თამაშობდა - 28 წლის მარჯვენა მცველი **გიორგი სეთურიძე** და 25 წლის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი მიქაბერიძე.** სეთურიძეს „მეტალურგში" ადრეც უთამაშია: პირველად 2006-07 წლების სეზონში გამოჩნდა რუსთაველთა გუნდში, როცა საქართველოს ჩემპიონიც გახდა (მაშინ გუნდი „ოლიმპის" სახელწოდებით გამოდიოდა). ამის შემდეგ იყო გერმანულ „კარლ ცაისში" ასპარეზობა და 2008/09 წლების სეზონის დასაწყისში მეორედ დაბრუნება რუსთავის „გუნდში".

მერე, სეთურიძე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჯერ აზერბაიჯანში გამოდიოდა, შემდეგ - ქუთაისის „ტორპედოში" და 2011/12 წლების მსვლელობისას მესამედ დაბრუნდა „მეტალურგში". სწორედ აქედან მიაშურა თბილისის „დინამოს", სადაც წინა სეზონში გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელი გახლდათ და თავისი არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა „დუბლის" შესრულებაში.

აი, ამ სეზონის პირველ ეტაპზე (ისე როგორც - ევროტურნირებზე) სეთურიძეს უკვე სერიოზული კონკურენტი ჰყავდა „დინამოს" დაცვის მარჯვენა ფლანგზე (**დავით ხურცილავა**); პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კი „დინამომ" სხვა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის მსგავსად, სეთურიძე „ტრანსფერზე" დააყენა და ეს გამოცდილი მარჯვენაფლანგელიც სეზონის ბოლომდე „მეტალურგს" დაეხმარება.

აი, რაც შეეხება გიორგი მიქაბერიძეს, ეს საინტერესო შემტევი ნახევარმცველი „მეტალურგს" ხანმოკლე პაუზის მერე უბრუნდება: წინა ორი სეზონი ხომ სწორედ რუსთაველთა გუნდის წამყვან ფეხბურთელად მიიჩნეოდა და ხშირი ტრავმები რომ არა, ალბათ, ორივე შემთხვევაში, ყველა მატჩს ძირითადშიც დაიწყებდა.

სხვათა შორის, რუსთავული კლუბი მიქაბერიძეს ხშირად ანათხოვრებდა ხოლმე სხვადასხვა ქართულ გუნდში და მხოლოდ 2011 წლის ზაფხულიდან დაიმკვიდრა ადგილი „მეტალურგში" და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელადაც მოიაზრებოდა. სამწუხაროდ, „დინამოში" შარშან ზაფხულში გადასულ მიქაბერიძეს სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არც ჰქონია: ჩემპიონატში მხოლოდ ორჯერ შემოვიდა შეცვლაზე (თანაც ორივეჯერ - „გურიასთან" შეხვედრაში).

ერთადერთი, რითაც მიქაბერიძეს „დინამოში" გატარებული პერიოდი შესაძლოა „ტკბილად" გაახსენდეს, სათასო მატჩები იყო: მერვედფინალში, ხობის „კოლხეთთან" ორივე შეხვედრა ძირითადში დაიწყო და საერთო ჯამში, 3 გოლიც გაიტანა!

დაბოლოს, შეგახსენებთ იმ ფეხბურთელებს, ამ ზამთრის პაუზის დროს „მეტალურგიდან" რომ წავიდნენ: მცველები - **ლაშა ჯაფარიძე, სერგი ორბელაძე, ლევან კაკუბავა, გიორგი გავაშელიშვილი, ანზორ სუხიაშვილი,** ნახევარმცველები - **რევაზ გეწაძე, ლუკა რაზმაძე, ლევან კორღალიძე, გურამ გურეშიძე, დავით მაისაშვილი, დავით კირკიტაძე,** თავდამსხმელები - **გოგა ფიფია, გიორგი ბერიაშვილი, ირაკლი სიხარულიძე, ბექა ტულუში...**

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება — სპარტაკი

# ერთადერთი მიზანი

უმაღლეს ლიგაში ერთწლიანი პაუზის მერე დაბრუნებული „სპარტაკის“ უმთავრესი მიზანი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება უნდა ყოფილიყო; თუმცა, უნდა ვაღიაროთ: როცა სეზონის დაწყებამდე 12-ვე გუნდის შანსებზე ვსაუბრობდით, ვივარაუდეთ, რომ რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, „სპარტაკს“ ზედა ექვსეულში მოხვედრისათვისაც შეეძლო ბრძოლა. როგორც მერე გაირკვა, აი, ამ პროგნოზში აშკარად შევცდით: დღესდღეობით „სპარტაკს“ მხოლოდ და მხოლოდ მოკრძალებული მიზანი დარჩა...

..."სპარტაკმა", ფაქტობრივად, უპრობლემოდ გაიმარჯვა წინა სეზონში პირველი ლიგის გათამაშებაში; თუმცა, როგორც მერე გაირკვა, პირველ ლიგაში წარმატებული ასპარეზობა სულაც არ ნიშნავდა უმაღლეს ლიგაში ასევე ღირსეულად თამაშს და ამ დონეებს შორის სხვაობას, სხვათა შორის, ხშირად უსვამდა ხაზს „სპარტაკის“ აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე.

სამწუხაროდ, ამ გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით „სპარტაკს“ ერთობ წარუმატებელი სტარტი ჰქონდა, - ერთადერთი გუნდი იყო, ხუთი ტურის მერე ქულათა გრაფაში ნული რომ ეწერა! ასეთი კოშმარული დასაწყისის უმთავრესი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგისათვის არაშესაბამისი შემადგენლობა იყო: პირველ ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელთა ძირითადი ბირთვი კი შენარჩუნდა, მაგრამ ორი-სამი ახალწვეულის დამატება აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა. ამას გარდა, არ გაამართლა რამდენიმე ფეხბურთელისათვის ამპლუების შეცვლამ, ისე როგორც ახალწვეულებისგან არ იყო სასურველი ეფექტი საწყის ტურებში.

...VI ტურში, „ზესტაფონთან“ საშინაო მატჩის დამატებული წუთები იწურებოდა, როცა „სპარტაკის“ ახალგაზრდა შუახაზელმა კახა კაკაშვილმა ძალიან შორი მანძილიდან ძლიერი დარტყმით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა, - ეს იყო გუნდის პირველი მოგება! თუმცა, ეს ეპიზოდური „გამონათება“ გამოდგა - გუნდმა ზედიზედ სამი თამაში წააგო.

ამას მოჰყვა უაღრესად დრამატულ პაექრობაში თასის გათამაშებიდან გამოვარდნა, როცა „სპარტაკი“ პენალტების სერიაში დამარცხდა „ტორპედოსთან“. აი, სწორედ ამის მერე მოხდა კიდეც საკადრო ცვლილება: „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა თბილისის „დინამოს“, „ზესტაფონისა“ და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი კახა კაჭარავა, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს ხუთთვიანი პაუზის მერე დაუბრუნდა.

ჰოდა, ამ ცვლილებამ სასიკეთო შედეგიც გამოიღო: გუნდმა ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო, პირველი ეტაპის მიწურულს კი ორ ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში 4 ქულა მოიპოვა და, ერთი პირობა, ფაქტობრივად, განწირული „სპარტაკი“ ამჟამად რეალურად ინარჩუნებს უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსს.



დაცვის მარჯვენა ფლანგზე შეუცვლელად თამაშობდა ლევან ჭაფოძე (№17)

## მეკარე

ისე როგორც წინა სეზონში, „სპარტაკის“ ძირითად მეკარედ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი, 21 წლის **გიორგი ნადირაძე** მიიჩნეოდა; თუმცა, ამ სეზონში ნადირაძეს კონკურენტიც გამოუჩნდა - 24 წლის ლეგიონერი, რუსეთის მოქალაქე **სოსლან ნანიევი.**

## დაცვა

ზემოთ ვლადიმერ ხაჩიძის ექსპერიმენტები ვახსენეთ და, ეს უპირველეს ყოვლისა, დაცვის ხაზს ეხებოდა. ასე მაგალითად, რამდენიმე მატჩი იყო, როცა მარჯვენა მცველად... **თეიმურაზ შონია** ვიხილეთ, ცენტრალურ მცველად კი - **ვარლამ კილასონია** (უმცროსი); არადა, ორივე ეს ფეხბურთელი ამპლუით შუახაზელია და თავიანთ პოზიციებს მხოლოდ სეზონის შუაგულისკენ დაუბრუნდნენ.

ანუ, დაცვის ხაზი მხოლოდ ამის მერე დასტაბილურდა და წინა სეზონის მსგავსად, მარჯვენა ფლანგზე უკვე შეუცვლელად ასპარეზობდა 25 წლის **ლევან ჭაფოძე**, დაცვის ცენტრში - 28 წლის **ნიკა მგელაძისა** და 23 წლის **ლევან ქურდაძის** „დუეტი“. აი, რაც შეეხება დაცვის მარცხენა ფლანგს, ამ პოზიციაზე ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ 20 წლის **კონსტანტინე ხიზანეიშვილი** და 22 წლის **დავით მეგრელიშვილი.**

## ნახევარდაცვა

საერთო მოსაზრებითაც და ალბათ, მთავარი მწვრთნელის გათვლებითაც, გუნდის წარმატების საწინდარი სწორედ შუახაზელთა ეფექტიანი თამაში უნდა ყოფილიყო. ამაში გარკვეული როლი კი თბილისის „დინამოდან“ იჯარით გადმოყვანილ ფეხბურთელებს უნდა შეესრულებინათ, მაგრამ შედეგი არაერთგვაროვანი გამოდგა.

ასე, მაგალითად, „ზომაზე მეტი“ წითელ-ყვითელი ბარათების მიღების (შესაბამისად - დისკვალიფიკაციის) გამო ბევრი გაუცდა 21 წლის უნივერსალ ფეხბურთელს **ნიკა კვეკვესკირს.** არადა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს ბევრად უკეთ რომ შეუძლია თამაში, ყველამ ვიცით.

სამწუხაროდ, მხოლოდ პირველი ეტაპის დასკვნით ნაწილში „გაიხსნა“, უდავოდ, ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი **გიორგი თექთურმანიძე.** ამ 23 წლის ფეხბურთელმა რამდენიმე მატჩი მართლაც ჩინებულად ჩაატარა და ლომის წილი შეიტანა იმ მოგებულ შეხვედრებში. თავიანთ ამპლუებს „დაბრუნებული“ ნახევარმცველებიც ჩვეულ დონეზე ათამაშდნენ და ეს არც იყო გასაკვირი - 23 წლის **თეიმურაზ შონია** და 21 წლის **ვარლამ კილასონია** ხომ გუნდის საკვანძო მოთამაშეები იყვნენ. თავდაპირველად, მუდამ ძირითადში ვხედავდით 20 წლის საყრდენს **უჩა ბურძენაძეს**, თუმცა მერე შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ურიგოდ არ უთამაშია 22 წლის მარჯვენა გარემარბს **თორნიკე თუხარელს,** რომელმაც 2 გოლი გაიტანა (ერთიც, რუსთავში „მეტალურგის“ კარში გატანილი კი მართლაც აბსურდული მიზეზით გაუუქმეს). ხშირად არ უწევდა მოედანზე გამოსვლა 20 წლის **კახა კაკაშვილს,** თუმცა სწორედ მისი შორეული გოლის წყალობით მოიპოვა „სპარტაკმა“ პირველი გამარჯვება.

ერთობ პერსპექტიულია 18 წლის **თამაზ მაქაცარია**, თუმცა ჯერ გამოცდილება აკლია. „სპარტაკი“ ხშირად მიმართავდა როტაციას და გარემარბების პოზიციაზე უწევდათ თამაში 21 წლის შემტევებს, **ლაშა ქემუხტაშვილსა და ლაშა ჩაფიძეს.** ისე, ამ უკანასკნელსაც რამდენიმე მატჩი გაუცდა დისკვალიფიკაციის გამო...



ბურთით შემტევი ნახევარმცველი გიორგი თექთურმანიძე

## თავდასხმა

ის ფაქტი, რომ „სპარტაკი“ ამ სეზონის ერთ-ერთი აუტსაიდერია, ამ გუნდის ფორვარდების დაბალი შედეგიანობითაც იყო გამოწვეული. თავად განსაჯეთ: ამპლუით ცენტრფორვარდმა, 24 წლის **ვახტანგ ფანცხავამ** 13 მატჩში (თუმცა, ყველა შეხვედრა ძირითადში არ გაუტარებია) ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა.

აი, რაც შეეხება ბოლო წლების „სპარტაკის“ უპირველეს ბომბარდირს, 28 წლის **ზვიად მეტრეველმა** მხოლოდ ერთხელ შეძლო თავის გამოჩენა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე მატჩების უმრავლესობა მეტრეველმა არა გამოკვეთილ ცენტრფორვარდად, არამედ სხვა პოზიციაზე ჩაატარა.

მხოლოდ პირველი ეტაპის მიწურულს დაუბრუნდა გუნდს 20 წლის **დავით გელაშვილი.** ახალგაზრდა ფორვარდი წინა სეზონში „სპარტაკის“ ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო (ზვიად მეტრეველთან ერთად), თუმცა მძიმე ტრავმის გამო, ფაქტობრივად, წელიწადი გაუცდა.

## საუკეთესო მატჩი

პირველ ეტაპზე „სპარტაკმა“ მხოლოდ 4 მატჩი მოიგო და, წესითა და რიგით, საუკეთესო შეხვედრა სწორედ ამ შეხვედრებში უნდა „გვეძებნა“; თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგივე „ზესტაფონთან“ გამარჯვება მთლად კანონზომიერი არ იყო. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „მერანთან“ და, განსაკუთრებით, „ვიტ ჯორჯიასთან“ მოგებულ შეხვედრებში - ორივე შემთხვევაში „სპარტაკმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა.

## ყველაზე ცუდი მატჩი

ასეთი, პირველ ეტაპზე ბევრი იყო, თუმცა ყველაზე სუსტად გუნდმა მაინც „დინამოსთან“ მეორე წრის შეხვედრაში ითამაშა, როცა საკუთარ კარში ოთხი გოლი მიიღო. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში კახა კაჭარავამ რამდენიმე ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და მათაც ეს შანსი ვერ გამოიყენეს.

## მიზანი

იმის მიუხედავად, რომ „სპარტაკს“ კონკურენტებთან შედარებით ერთი მატჩით მეტი აქვს ჩასატარებელი, ყველამ ვიცით, რა უნდა იყოს ამ გუნდის პროგრამა-მაქსიმუმიც და პროგრამა-მინიმუმიც! მოკლედ, კახა კაჭარავას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება, „სპარტაკმა“ უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნოს.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტიანი იქნება „სპარტაკის“ აქტიურობა სატრანსფერო ბაზარზე, - პირველ ეტაპზე არსებული შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ხომ ძალიან გაძნელდება!

**გია ტუხაშვილი**

### სპარტაკის ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

**I ეტაპი: 17 მატჩი, 4 მოგება, 2 ფრე, 11 წაგება, ბურთები: 13-24, ადგილი-X**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | მერანი-სპარტაკი | 2:1 |
| II ტური | სპარტაკი-სიონი | 0:2 |
| IV ტური | სპარტაკი-ტორპედო | 0:1 |
| V ტური | მეტალურგი-სპარტაკი | 1:0 |
| III ტური | დინამო-სპარტაკი | 2:0 |
| VI ტური | სპარტაკი-ზესტაფონი | 1:0 |
| VII ტური | დილა-სპარტაკი | 3:1 |
| VIII ტური | ჩიხურა-სპარტაკი | 2:1 |
| IX ტური | სპარტაკი-გურია | 0:1 |
| X ტური | ზუგდიდი-სპარტაკი | 1:1 |
| XI ტური | სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 3:1 |
| XII ტური | სპარტაკი-მერანი | 1:0 |
| XIII ტური | სიონი-სპარტაკი | 3:2 |
| XIV ტური | სპარტაკი-დინამო | 0:4 |
| XV ტური | ტორპედო-სპარტაკი | 1:0 |
| XVI ტური | სპარტაკი-მეტალურგი | 2:0 |
| XVII ტური | ზესტაფ.-სპარტ. | გადაიდო |
| XVIII ტური | სპარტაკი-დილა | 0:0 |

**სპარტაკი 2013/14**

მეკარეები: გიორგი ნადირაძე-11 (-14 გოლი), სოსლან ნანიევი-6 (-10 გოლი);

მცველები: ლევან ჭაფოძე-15, ლევან ქურდაძე-14, ნიკა მგელაძე-13, კონსტანტინე ხიზანეიშვილი-11 (1), დავით მეგრელიშვილი-7, ლევან თვალავაძე-1.

ნახევარმცველები: თეიმურაზ შონია-15 (1), ვარლამ კილასონია-15, გიორგი თექთურმანიძე-14 (1), თორნიკე თუხარელი-13 (2), ნიკა კვეკვესკირი-11 (1), უჩა ბურძენაძე-11(1), თამაზ მაქაცარია-9, კახა კაკაშვილი-8 (1), გიორგი ცერცვაძე-3, არტურ გაძაოვი-3, გიორგი ნარიმანიძე-2, დავით ნანიევი-1.

თავდამსხმელები: ზვიად მეტრეველი-16 (1), ვახტანგ ფანცხავა-13, ლაშა ჩაფიძე-13 (2), ლაშა კემუხტაშვილი-6, დავით გელაშვილი-2 (1).

მთავარი მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე (I-X ტური)

კახა კაჭარავა (XI-XVIII ტური)

საყურადღებო ამბავი

# 15 000

## ჩუენსუს!

### კამერუნელს საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია დაეხმარა

ფინანსური პრობლემები საქართველოს ძალიან ბევრ გუნდს აქვს და ამის გამო ფეხბურთელებს ხელფასები უგვიანდებათ, ხანდახან ჯამაგირს დაგვიანებითაც ვერ იღებენ. დაახლოებით ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა ლანჩხუთის „გურიას“ მარჯვენა მცველი, კამერუნელი **არნუად ჩუენსუ.** ის საკმაოდ კარგ ფეხბურთელად ითვლება, იმასაც კი ამბობენ, მისი გადაბირება თბილისის „დინამოსაც“ უნდოდაო...

ჩუენსუ 22 წლის გახლავთ, მარჯვენა მცველია და შეტევაში ჩართვაც ეხერხება. კამერუნელს შეეძლო, რამდენიმე თვის ხელფასის ვერმიღების სანაცვლოდ გათავისუფლების ფურცელი მოეთხოვა და თუ თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებდა, უფრო იოლად გადავიდოდა სხვა კლუბში, თუმცა აფრიკელმა სხვა გზა აირჩია: დახმარებისთვის საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას მიმართა და ყველაფერი მისდა სასიკეთოდ წარიმართა. როგორც ამ ასოციაციის პრეზიდენტმა **ჯაბა მუჯირმა** გვითხრა, მისმა ორგანიზაციამ შესაბამისი სამუშაოები ჩაატარა და ჩუენსუს ინტერესების დაცვაც მოახერხა - ლანჩხუთის „გურიამ“ კამერუნელს დაახლოებით 15 ათასი ლარი ჩაურიცხა.

ჯაბა მუჯირმა ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ „გურია“ გაგებით მოეკიდა სიტუაციას, რაც საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩუენსუ **ერიკ რომეო ჩასემის** ძმა გახლავთ, რომელიც ერთი პერიოდი ბოლნისის „სიონისა“ და „ზესტაფონის“ თავდამსხმელი იყო, ახლა კი კამერუნში თამაშობს.

**დავით თავართქილაძე**



გურიამ არნუად ჩუენსუს დავალიანება გაუსტუმრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები უცხოეთში

# კვლავაც ქართველის გოლით...


ალექსანდრე იაშვილი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ბაქოს „ინტერმა“, რომელსაც ქართველი სპეციალისტები, **კახა ცხადაძე** (მთავარი მწვრთნელი) და **ზაურ სვანაძე** (მეორე მწვრთნელი) მოძღვრავენ, შაბათს მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. აზერბაიჯანის ყველაზე „ქართული“ გუნდის მეტოქე ყაზახეთის ჩემპიონი „აქტობე“ იყო, რომელიც ამ შეკრებაზე კიდევ ერთი ლეგიონერით, ბელარუსის ნაკრების შემტევით, **რენე ბრესანით** გაძლიერდა.

წინა საკონტროლო მატჩისგან განსხვავებით, „ინტერმა“ ამჯერად მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით დაიწყო მატჩი - ტრავმის გამო მხოლოდ გუნდის კაპიტანი, **ვაგიფ ჯავადოვი** აკლდა. ძირითადში იყვნენ „ინტერის“ ქართველი ლეგიონერები: 34 წლის მეკარე **გიორგი ლომაია**, 32 წლის ცენტრალური მცველი **ლაშა სალუქვაძე**, 36 წლის გარემარბი **ალექსანდრე იაშვილი** და მძიმე ტრავმის მერე მომჯობინებული, 26 წლის ფორვარდი **ბაჩანა ცხადაძე**.

ალსანიშნავია, რომ „აქტობეს“ კაპიტანი უზბეკეთის ნაკრების გამოცდილი შემტევი, 32 წლის **თემურ კაპაძე** გახლდათ. „ინტერი“-“აქტობეს“ მატჩს აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბერტი ფოგტსი** (რომელიც თურქულ შეკრებაზე მყოფ ყველა აზერბაიჯანული გუნდის სპარინგმატჩებს ესწრება) და ამ ქვეყნის პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი **რამინ მუსაევი** ადევნებდნენ თვალს.

ჩვენთვის კი მთავარი ის იყო, რომ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ყურადღების ცენტრში ქართველი ფეხბურთელები იყვნენ: მატჩის დასაწყისში ბაჩანა ცხადაძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი თავური მცირეოდენ არაზუსტი გამოდგა. აი, 41-ე წუთზე კი იაშვილმა მართლაც ეფექტური გოლი გაიტანა - „ცაციათი“, მოჭრილი დარტყმით, „აქტობეს“ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო!

შესვენების შემდეგ იაშკას დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, მატჩის მიწურულს, „აქტობეს“ ლეგიონერმა, სომხეთის ნაკრების 28 წლის მცველმა **რობერტ არზუმანიანმა**, ცოტა არ იყოს, კურიოზული დარტყმით ანგარიშის გათანაბრება შეძლო და ეს საინტერესო სპარინგმატჩიც ფრედ, 1:1 დამთავრდა.

მომდევნო საკონტროლო მატჩი „ინტერმა“, სავარაუდოდ, 21 ან 22 იანვარს უნდა ჩაატაროს და თუ რაიმე არ შეიცვალა, კახა ცხადაძისა და ზაურ სვანაძის დამოძღვრილი გუნდის მეტოქე მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელი „აუე“ იქნება.

**გია გაგოშიძე**

მწვრთნელი

# გიორგი დევდარიანი
## ვერ შევეგუებოდი, ფული ამეღო და გუნდი უმაღლესში ვერ გადასულიყო


გიორგი დევდარიანი

**გიორგი დევდარიანი პირველი ლიგის B ჯგუფში მეორე ადგილზე მყოფ „სამტრედიის“ მთავარი მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, თუმცა ასე არ მოხდა და „დილას“ ყოფილი თავკაცი თბილისის „ლოკომოტივში“ იმუშავებს - ეს გუნდიც პირველლიგელია.**

**„დინამოს“, „თბილისისა“ და საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების ექსდამრიგებელი შემტევი სტილის მიმდევარია, საინტერესო მწვრთნელად ითვლება და ეს „დილაში“ მუშაობითაც დაამტკიცა. გარდა ამისა, ამ სპეციალისტს მკვეთრად ჩამოყალიბებული პრინციპებიც აქვს და ამითიც არის გამორჩეული. დევდარიანს რამდენიმე კითხვა დავუსვით.**

**- თითქოს ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ „სამტრედიაში“ უნდა დაგეწყოთ მუშაობა. რატომ არ გამოვიდა ეს საქმე?**

- ჩავედი კიდეც სამტრედიაში და მქონდა მოლაპარაკება კლუბის მესვეურებთან, მაგრამ ბოლო მომენტში საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ვერ ავიღე.

**- რას გულისხმობთ?**

- კლუბის ხელმძღვანელობისა და გულშემატკივრების მოლოდინი ასეთია - „სამტრედია“ უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიდეს. თუმცა საქმე ისაა, რომ კლუბის ბიუჯეტი 145 ათასი ლარია. შედარებისთვის - პირველ ადგილზე მყოფი ბათუმის „დინამოს“ ბიუჯეტი 1 300 000 ლარია და, შესაბამისად, უფრო ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს. მიკვირს და ვაფასებ „სამტრედიის“ მწვრთნელის, უჩა სოსიაშვილის მიერ გაწეულ სამუშაოს - მისი გაწვრთნილი გუნდი ხომ ახლა მეორე ადგილზეა... „სამტრედიამ“ ჩემთვის სასარგებლო წინადადებით მომმართა, იმხელა ხელფასი შემომთავაზა, უმაღლესი ლიგის ბევრ მწვრთნელს რომ არ აქვს, მაგრამ ჩემთვის ფული არ არის ყველაფერი. ბათუმის „დინამოს“ მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი მართლაც კარგი სპეციალისტია, „სამტრედიაზე“ თითქმის ათჯერ მეტი ბიუჯეტი აქვს და როგორ მეჯობნა მისთვის?! მე არ ვიცი, ამ ბიუჯეტით როგორ უნდა გადავიყვანო გუნდი უმაღლეს ლიგაში. იყო მეორე თემაც - აქცენტის გაკეთება ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, მაგრამ „სამტრედიას“ ამ ეტაპზე ყველაზე უფრო უმაღლესში გადასვლა აინტერესებს. უჩა სოსიაშვილი დამწყები მწვრთნელია და დასაკარგი არაფერი აქვს, ის ძალიან კარგი მწვრთნელია, მე კი უფრო გამოცდილ და რეკლამირებულ სპეციალისტად ვითვლები და „სამტრედიაში“ რომ მისული ყავი, რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგის მოთხოვნაც იქნებოდა. კატეგორიულად არ უთქვამთ, გინდა თუ არა გუნდი ახლავე უმაღლეს ლიგაში უნდა გადაიყვანოო, მაგრამ შევატყვე, რომ ყველას საამისო მოლოდინი და განწყობა ჰქონდა. მადლობას ვუხდი „სამტრედიას“ და მის გულშემატკივარს ყველაფრისთვის, მაგრამ ფული ამეღო და მერე გუნდი ვერ გადასულიყო უმაღლეს ლიგაში - ამას ვერ შევეგუებოდი. ფული მჭირდება, ოღონდაც, არა - ვინმეს მოტყუების ხარჯზე. ისიც ფაქტია, რომ სეზონის მეორე ეტაპისთვის მომძლავრდნენ თბილისის „ლოკომოტივი“, „მაჭახელა“ და სასკო, რითიც უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება უფრო გართულდება.

**- გადაწყვეტილია, რომ თბილისის „ლოკომოტივში“ იმუშავებთ?**

- ლექსო თოფურიამ და ვასილ მაისურაძემ მთხოვეს, დავხმარებოდი. „ლოკომოტივს“ მაისურაძე წვრთნის და პირდაპირი გაგებით, ჩემი დასახმარებელი არაფერი სჭირს, თუმცა მოგეხსენებათ, მაისურაძე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელიცაა და სანაკრებო პერიპეტიების დროს მთლიანად ნაკრებზე გადართვა მოუწევს. ისიცაა, რომ „ლოკომოტივში“ საქართველოს იმ 19-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე წევრი და კანდიდატია თავმოყრილი, რომელიც მე უნდა გავწვრთნა ამ ნაკრებში მაისურაძის მერე და შემოდგომაზე ევროშესარჩევში ვითამაშოთ. ვფიქრობ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ლოკომოტივში“ ჩემი მისვლა კარგი გადაწყვეტილება იქნება. მოკლედ, „ლოკომოტივში“ დამხმარე მწვრთნელად ვიმუშავებ.

**დავით თავართქილაძე**

დილა

# ბერიაშვილი და ხოჭოლავაც?


გიორგი ბერიაშვილი დილაში ითამაშებს
ნინო გელაშვილის ფოტო

გორის „დილა“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა - **გრიგოლ დოლიძე, ირაკლი მოდებაძე** და **გიორგი გურული**, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შევსებასაც მალე მიიღებს.

ადრეც გაუწყეთ, რომ სეზონის მეორე ეტაპისთვის „დილას“ 610 ათასი ლარი გამოუყვეს, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ გუნდმა სეზონი რიგიანად ჩაამთავროს. შევიტყვეთ, რომ „დილაში“ ითამაშებს 27 წლის თავდამსხმელი **გიორგი ბერიაშვილი**, ვინც პირველ ეტაპზე რუსთავის“ მეტალურგში“ თამაშობდა. ბერიაშვილი პროფესიონალ ფეხბურთელად „ვიტ ჯორჯიაში“ ჩამოყალიბდა, შარშან ქუთაისის „ტორპედოში“ გამოდიოდა, ამ სეზონის წინ კი მისი აყვანა **გიორგი დევდარიანს** სურდა „დილაში“, თუმცა მაშინ ტრანსფერი არ გამოვიდა - ბერიაშვილი ნახევარი სეზონის დაგვიანებით მივა გორულ გუნდში. „დილაში“ დაგვიდასტურეს, რომ ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და მხოლოდ ხელმოწერა აკლია.

კულუარული ინფორმაციით ისიც გავიგეთ, რომ „დილას“ 20 წლის **დავით ხოჭოლავას** აყვანაც სურს. ხოჭოლავა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელია, საფეხბურთო მილეთმა კი ის საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში თამაშით გაიცნო. ხოჭოლავას რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაშია - თავდამსხმელად, ცენტრალურ მცველად, ნახევარმცველად... მოკლედ, უნივერსალური ტიპის მოთამაშეა და ვნახოთ, რამდენად მოახერხებს „დილა“ ასეთი ტრანსფერის განხორციელებას.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი


ვიტესის ქართული ტრიო. მარცხნიდან: გიორგი ჭანტურია, ვალერი ყაზაიშვილი, გურამ კაშია

# მშვიდობით, ჰოლანდია?
## ოქრიაშვილი: მივიდა, ნახა გაიტანა

**სიახლეები ქართველ ლეგიონერებზე ჯერჯერობით ისევ მწირია - ჩვენებურთა უმრავლესობა ხომ ისეთ ქვეყნებში თამაშობს (რუსეთი, უკრაინა), სადაც ჩემპიონატები კიდევ კარგა ხანს არ განახლდება. ჩვენთვის მთავარი მოვლენა „ვიტესის“ პირველი გამარჯვება იყო 2014 წლის პირველივე მატჩში. აღმოჩნდება თუ არა „ზვოლესთან“ შეხვედრა უკანასკნელი გიორგი ჭანტურიას ჰოლანდიურ კარიერაში, სულ მალე შევიტყობთ.**

### კაშიას მწარე გამარჯვება

არნემის „ვიტესი“, სადაც ერთბაშად სამი ქართველი ფეხბურთელი ასპარეზობს, ზამთრის პაუზისას საკმაოდ გაძლიერდა, შესანიშნავი შეკრება გაატარა აბუ დაბიში და ჰოლანდიის ჩემპიონატსაც გამარჯვებით დაუბრუნდა - 2:1. „ვიტესმა“ სტუმრად ბოლო წამებზე გატანილი გოლის წყალობით იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ **გურამ კაშიამ** შეუცვლელად ითამაშა, მეორე ტაიმში მან ყვითელი ბარათი მიიღო, რის გამოც მომავალ ტურს გამოტოვებს. არადა, მომდევნო უქმეებზე „ვიტესს“ დერბი ელის „ნაიმეგენთან“...

**გიორგი ჭანტურია** სასტარტოში, ცენტრფორვარდის პოზიციაზე თამაშობდა. ის ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელიც **პეტერ ბოშმა** შეცვალა - 64-ე წუთზე ახალწვეული **ზაქარია ლაბიადით** ჩაანაცვლა. არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ჭანტურიას ბოლო მატჩი იყო „ვიტესის“ მაისურით. ის შეიძლება „ბოლონიაში“ გადავიდეს. რაც შეეხება **ვალერი ყაზაიშვილს**, ის სათადარიგო იყო.

მოგების მიუხედავად, კაშიას დანა პირს არ უხსნიდა: *„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. დერბი უნდა გამოვტოვო - ეს ჩემთვის დიდი სტრესია. მეორე მხრივ, ძალიან მიხარია, რომ მოვიგეთ. ეს პირველად არ ხდება, რომ გამარჯვება ბოლო წუთზე მოვიპოვეთ. ადრეც ვიმსახურებდით ხოლმე მოგებას, ახლა კი ცოტა გაგვიმართლა“.*

ვინაიდან კვირას „აიაქსმაც“ იმარჯვა (პსვ დაამარცხა), „ვიტესი“ ისევ მეორეა, თუმცა ამსტერდამული გრანდის დარად 40 ქულა აქვს.

### გრიგალაშვილის საგოლე პასი

**შოთა გრიგალაშვილის** „ანორთოსისმა“ სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა - „დოხა“ სტუმრად 6:1 დაამარცხა. ჩვენებური 66-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე, 53-ე წუთზე, მან საგოლე პასი გააკეთა. „შუთ ენდ გოლმა“ გრიგალაშვილი მატჩის სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელა.

„აკადემიკასთან“ საგარეო მატჩში **ავთო ებრალიძე** კვლავ არ იყო „ჟილ ვისენტეს“ სასტარტო შემადგენლობაში. ის 78-ე წუთზე გამოჩნდა. ზედ საფინალო სასტვენის წინ კი „ჟილ ვისენტემ“ გოლი გაუშვა და დამარცხდა - 0:1.

### საკონტროლო მატჩები

აგდამის „ყარაბაღმა“ ტრავმირებული **ნიკოლოზ გელაშვილის** გარეშე 1:0 მოუგო ბუქარესტის „დინამოს“. საბედნიეროდ, ქართველი ფორვარდის კოჭის ტრავმა არ აღმოჩნდა ისეთი მძიმე, როგორც თავიდან ეგონათ - გელაშვილმა 10 დღე უნდა დაისვენოს.

■ ■ ■

ყაზანის „რუბინმა“ „ქაისერი ერჯიესს“ 2:0 მოუგო. **საბა კვირკველია** „რუბინის“ სასტარტო შემადგენლობაში იყო.

■ ■ ■

**შოთა არველაძის** „ქასიმფაშა“ გერმანულ „ჰოფენჰაიმთან“ 1:4 დამარცხდა.

■ ■ ■

უკრაინული „დნიპრო“ „ბაქის“ დაუზავდა - 0:0. „დნიპროს“ რიგებში პირველი ტაიმი სრულად ითამაშეს **უჩა ლობჟანიძემ** და **სანდრო კობახიძემ**, მეორე ტაიმი - **ჯაბა კანკავამ**.

■ ■ ■

**გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგმა“ 1:0 მოუგო გერმანული რეგიონალლიგის „ფელბერტს“.

■ ■ ■

**ლევან ყენიას** „ფორტუნა“ Winter Cup-ზე „ლევერკუზენთან“ 0:4 შერცხვა, მეორე დღეს კი 1:1 ეთამაშა „ბრაუნშვაიგს“ და პენალტების სერიაში დამარცხდა. ქართველს არ უთამაშია.

■ ■ ■

ბაქოს „ინტერი“ ყაზახეთის ჩემპიონ „აქტობეს“ დაუზავდა - 1:1. ბაქოელთაგან გოლი **ალექსანდრე იაშვილმა** გაიტანა. **კახა ცხადაძის** გუნდში ოთხივე ქართველმა სასტარტოში ითამაშა.

■ ■ ■

რუსულმა „მორდოვიამ“ ყაზახური „ტობოლი“ 2:1 დაამარცხა. გამარჯვებულთა რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა **აკაკი ხუბუტიამ**, რომელსაც ერთი აშკარა საგოლე მომენტიც ჰქონდა - მისი თავური სანტიმეტრებში ასცდა ყაზახთა კარს.

■ ■ ■

ისრაელში შეკრებაზე მყოფმა „სკა ენერგიამ“ იქაურ „ირონისთან“ 1:2 წააგო. რუსული გუნდის რიგებში **გიორგი ნავალოვსკი** 61-ე წუთიდან გამოჩნდა.

■ ■ ■

19 იანვარს „სევასტოპოლი“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. გუნდთან ერთადაა ჩვენებური მცველი **მათე ღვინიანიძეც**.

■ ■ ■

**ლადო დვალიშვილის** „ლეგია“ 1:3 დამარცხდა „ტომთან“. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა სასტარტოში ითამაშა.

■ ■ ■

დებიუტიც ასეთი უნდა - **თორნიკე ოქრიაშვილი** ახლახან შეუერთდა სიდეში მყოფი ოდესის „ჩერნომორეცის“ საწვრთნელ შეკრებას და პირველივე საკონტროლო თამაშში ალბანურ „კუკესს“ გოლიც გაუტანა. თორნიკე მოედანზე 65-ე წუთზე გამოჩნდა და შეხვედრას წერტილი 77-ე წუთზე დაუსვა - ანგარიში 4:1 გახადა. სხვათა შორის, ოდესელთა დირექტორის თქმით, ქართველ ფეხბურთელთან ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა.

■ ■ ■

„კრილია სოვეტოვი“ ყარაგანდის „შახტიორს“ დაუზავდა - 1:1. **ალეკო ამისულაშვილმა** რუსული გუნდის შემადგენლობაში პირველი ტაიმი ითამაშა.

**.ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XX ტური

# იდეალური ტური რეალისთვის

**ლა ლიგის მეორე წრე ძალიან საინტერესოდ დაიწყო. ჩემპიონატის ორმა ლიდერმა ქულები დაკარგა, რითაც კარგად ისარგებლა მადრიდის „რეალმა“ და კონკურენტებთან სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა...**

## სევილიას სერია გრძელდება

ტურის ცენტრალური შეხვედრა „ვისენტე კალდერონზე“ გაიმართა და ფრედ, 1:1 დასრულდა. მატჩის წინ, ბუკმეიკერთა აზრით, „ატლეტიკო“ აშკარა ფავორიტი იყო, მაგრამ „სევილია“ რომ იოლი მეტოქე არ იქნებოდა, ამაზე ტურის წინაც ვისაუბრეთ. საბოლოოდ, „როხიბლანკომ“ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა, **უნაი ემერის** კრებულმა კი წაუგებელი სერია 8-მატჩამდე გაზარდა.

ანგარიში მასპინძლებმა უკვე მე-18 წუთზე გახსნეს - **დავიდ ვილიამ** თითქმის ორთვიანი უგოლო სვლა დაასრულა და ჩემპიონატში თავისი მე-9 გოლი გაიტანა. **დიეგო სიმეონეს** შეგირდები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ **ბეტუს** კარის მეორედ აღება მათ ვერ შეძლეს, შეხვედრის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე კი მათ კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც **ივან რაკიტიჩმა** უზადოდ შეასრულა - 1:1.

მატჩის ბოლოს მოედანზე სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. არბიტრმა **ალბერტო მორენოს** წითელი ბარათი უჩვენა, **ფედერიკო ფასიო** და **დიეგო კოშტა** კი ერთმანეთს ბოლო სიტყვებით ლანძღავნდნენ. არგენტინელი ამითაც არ დაკმაყოფილდა და ერთ ეპიზოდში „ატლეტიკოს“ ფორვარდს მუშტიც ჩაარტყა. მისთვის საბედნიეროდ, ეს მსაჯმა ვერ შეამჩნია, თორემ პენალტი და წითელი ბარათი გარდაუვალი იქნებოდა.

საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ დასრულდა და „ატლეტიკომ“ ჩემპიონატში ერთპიროვნულად გალიდერების შანსი დაკარგა.

## გარიდოს კარისკენ მიუთითეს

მადრიდის „რეალმა“ „ბეტისს“ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა, რისი წყალობითაც, დროებით, ჩემპიონატის ორ ლიდერს გაუტოლდა. საინტერესოა, რომ თავის გამოჩენა ხუთმა ფეხბურთელმა შეძლო **ანხელ დი მარიამ** და **კრიშტიანო რონალდომ** კი გოლებს თითო საგოლე პასიც დაუმატეს. პორტუგალიელმა ანგარიში უკვე მე-10 წუთზე ულამაზესი გოლით გახსნა, 25-ეზე კი ბურთი **გარეთ ბეილმა** გაიტანა. სწორედ ამ დროს, „ბენიტო ვილიამაინზე“ შეკრებილმა პუბლიკამ სევილიელთა მწვრთნელ **ხუან კარლოს გარიდოს** გუნდიდან წასვლისკენ მოუწოდა და ამჟამად უკვე „ვესტ ბრომვიჩის“ და „ბეტისის“ ყოფილი დამრიგებლის, **პეპე მელის** სახელის სკანდირება დაიწყო.

სტადიონზე არსებული ასეთი გარემოს გათვალისწინებით, რა გასაკვირია, რომ მასპინძლებმა ბრძოლის ყველანაირი სურვილი დაკარგეს, „რეალის“ ფეხბურთელებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ. **ქარიმ ბენზემამ** სევილიელთა კარი პირველივე ტაიმში დალაშქრა და სეზონში თავისი მე-10 გოლი გაიტანა, დი მარიამ კი **ანდერსენს** ბურთი კარიდან 62-ე წუთზე გამოატანინა. სულ ბოლოს კი ტაბლოზე საკუთარი გვარი **ალვარო მორატამაც** აანთო - 0:5.

ტურის წინ მოგახსენეთ, რომ „ბეტისის“ ხელმძღვანელებმა გარიდოს ულტიმატუმი წაუყენეს: კიდევ ერთი წარუმატებლობა და კარისკენ მიგითითებთო. ვერ გეტყვით, რა მოხდებოდა „ვერდიბლანკოსს“ მინიმალური ანგარიშით რომ წაეგო, მაგრამ ფაქტია, 0:5 წარუმატებლობაზე მეტიც კია. შედეგად, 51 წლის სპეციალისტი უმუშევარი დარჩა, „ბეტისი“ კი გადამრჩენელ, მე-17 პოზიციაზე მყოფ „ალმერიას“ უკვე 8 ქულით ჩამორჩება.

## ბარსას ფეხი დაუცდა

„ბარსელონამ“ „ლევანტეს“ პირველ წრეში 7:0 მოუგო და საერთოდ, სევილიურ გუნდს „ბარსა“ პრიმერაში არასდროს დაუმარცხებია. გამარჯვება „ბაყაყებმა“ ვერც ამჯერად მოიპოვეს, თუმცა ფრე მათთვის გამარჯვების ტოლფასი შედეგი კი იყო. რევანშზე საუბარი, რა თქმა უნდა, უხერხულია, მაგრამ ვალენსიელმა ქომაგებმა მიღწეული შედეგით უზომოდ გაიხარეს, კატალონიელებმა კი ძალიან მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს.

სტუმრებს **ანდრეს ინიესტას** და **ნეიმარის** სახით სერიოზული დანაკლისი კი ჰქონდათ, სამაგიეროდ, მოედანზე თავიდანვე გამოჩნდა **ლიონელ მესი**, რომელმაც თასზე „ხეტაფეს“ ორი გოლი გაუტანა. **ხოაკინ კაპაროსმა** კი „ატლეტიკოსთან“ მატჩის მსგავსად, რომელიც „ლევანტემ“ 2:3 წააგო, ხუთი მცველით ითამაშა და მისმა გუნდმა კვლავ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ორივე გოლი პირველ 19 წუთში გავიდა და თავის გამოჩენა მცველებმა შეძლეს - ჯერ **ანდრეას ივანშიტცის** კუთხურის შემდეგ **ლუკას ვინტრამ** გაიტანა, რამდენიმე წუთში კი **ჩავის** ჩაწოდებულს **ჟერარ პიკე** გამოეხმაურა - 1:1. ორივე მცველისთვის ეს სეზონში პირველი გოლი იყო.

სათამაშო უპირატესობა, რა თქმა უნდა, „ბარსელონას“ მხარეს იყო, მაგრამ კატალონიელებს მომენტების შექმნა უჭირდათ, „ლევანტე“ კი ხანდახან სწრაფი კონტრშეტევების განხორციელებასაც ცდილობდა და ეპიზოდურად გამოსდიოდა კიდეც. რამდენიმე მომენტში, მასპინძელთა შემტევებს უფრო გონივრულად რომ ემოქმედათ, **კაპაროსის** შეგირდებს მრისხანე მეტოქის დამარცხების შანსიც ექნებოდათ. **ხერარდო მარტინომ** შეხვედრის ბოლოსკენ ბრძოლაში ახალგაზრდები ჩართო, რომელთაგანაც ყველაზე კარგი შანსი **კრისტიან ტელიოს** ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმა **კეილორ ნავასმა** ლამაზ ნახტომში მოიგერია.




ვისაც არ დაეზარა, „რეალიდან“ გოლი ყველამ გაიტანა

## დაჩაგრული სოსიედადი

**იმანოლ აგირეჩეს** დუბლის წყალობით „სოსიედადი“ მადრიდში ორბურთიანი სხვაობით იგებდა, როდესაც **კარლოს ველამ** წესების დაცვით მასპინძელთა კარში მესამე გოლიც გაიტანა, მაგრამ შეხვედრის არბიტრებმა შეცდომა დაუშვეს და თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მსაჯების ეს შეცდომა ბასკებისთვის საბედისწერო გამოდგა - „ხეტაფემ“ ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. სხვაობა **ჩიპრიან მარიკამ** შეამცირა და ლა ლიგაში თავისი მეორე გოლი გაიტანა, წონასწორობა კი **პედრო ლეონმა** აღადგინა. შეხვედრის ბოლო ნახევარი საათი მასპინძლებმა 10 კაცით ჩაატარეს, მაგრამ **მოიამ** და კომპანიამ **არასატეს** შეგირდების შეტევებს გაუძლეს და მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვეს. მართალია, „ხეტაფეს“ უკვე 5 ტურია არ მოუგია, მაგრამ ზედიზედ 4 წაგების შემდეგ, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან, თანაც 0:2-დან, მოპოვებული ქულა, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

## შე-უჩე-რებელი

**იკეჩუკვუ უჩე** შესანიშნავ ფორმაშია - ნიგერიელმა ფორვარდმა ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა, თუმცა კლების ტენდენციაც აშკარაა: მე-18 ტურში უჩემ ჰეთთრიქი შეასრულა, მე-19 ტურში დუბლი, ამჯერად კი ერთი გოლით დაკმაყოფილდა, მაგრამ ეს ერთი ბურთიც მისი გუნდისთვის გამარჯვების მომტანი გამოდგა. სეზონში თავისი მე-12 გოლი უჩემ მატჩის დაწყებიდან სამ წუთში, **ჯოვანი დოს სანტოსის** გადაცემით გაიტანა, საბოლოოდ შედეგი კი „ყვითელი წყალქვეშა ნავის“ ფეხბურთელებმა საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე დააფიქსირეს - 2:0. მარსელინიოს შეგირდებმა „სოსიედადის“ ფეხის დაცდენით ისარგებლეს და ერთ-ერთ კონკურენტს უკვე 4 ქულით გაასწრეს. ამ მომენტისთვის „ვილიარეალი“ მეოთხე ადგილზე კი არის, მაგრამ დღეს მისი გადასწრების შანსი ბილბაოს „ატლეტიკს“ ექნება, რომელიც „ვალიადოლიდს“ ეთამაშება.

აქვე ერთი საინტერესო სტატისტიკაც: ტურის წინ მოგახსენეთ, რომ „ელჩე“ „რაიო ვალეკანოს“ ლამის ყოველთვის უგებს. მართლაც, ამ გუნდებს შორის, სეგუნდაში გამართული 10 მატჩიდან „ელჩეს“ 8 ჰქონდა მოგებული, 2 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. მადრიდელებმა მეტოქის დამარცხება პრიმერას პირველ ტურში შეძლეს, მაგრამ **ფრან ესკრიბას** შეგირდებმა რევანშის აღება შეძლეს. ამ გამარჯვების წყალობით, ურთიერთშეხვედრებში უკვე ასეთი ბალანსია: 12 მატჩიდან 9 (!) „ელჩემ“მოიგო, 2 ფრედ დასრულდა, ხოლო „რაიომ“ სულ ერთხელ იმარჯვა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

### მალაგა-ვალენსია 0:0

**მალაგა (4-2-3-1):** ვ. კაბალიერო - ხესუს გამესი, სერხიო სანჩესი, ფლავიო, ანტუნეში - ტისონე, ი. კამაჩო - დუდა (82. პორტილიო), სამუ (65. პ. პერესი), ელიზეუ (79. ხუანმი) - სანტა კრუსი

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, რ. კოშტა, მატიო, გუარდადო - ორიოლ რომეუ, დანი პარეხო (64. ფეგული) - პ. პიატი, ბანეგა, ჟონასი (81. ელდერ პოშტიგა) - პაკო ალკასერი

**გაფრთხილება:** ელიზეუ, სერხიო სანჩესი - მატიო, ორიოლ რომეუ, პ. პიატი, პაკო ალკასერი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 17-11 (6-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 15 102

### ბეტისი-რეალი 0:5

**გოლები:** 0:1 კრიშტიანო რონალდო (10), 0:2 ბეილი (25), 0:3 ბენზემა (45), 0:4 დი მარია (62), 0:5 მორატა (90)

**ბეტისი (4-3-2-1-):** ანდერსენი - ჩიკა, პაულაო, ამაია, დიდაკ ვილა - მატილია, ლ. რეიესი (78. ხოსე კარო), სალვა სევილია (63. ხუანფრანი) - ლეო ბაპტიშტაო, რუბენ კასტრო (56. ვადილიო) - ხორხე მოლინა

**რეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი - დანიელ კარვახალი, პეპე, სერხიო რამოსი (73. ნაჩო), მარსელო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი - ბეილი, დი მარია (69. ილიარამენდი), კრიშტიანო რონალდო - ბენზემა (77. მორატა)

**გაფრთხილება:** სალვა სევილია, ვადილიო, ჩიკა - სერხიო რამოსი

**კუთხური:** 0-7; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 1-10; **კარში დარტყმა:** 7-21 (1-11); **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 42 421

### ელჩე-ვალეკანო 2:0

**გოლები:** 1:0 ედუ ალბაკარი (19-პენ), 2:0 ხავი მარკესი (79)

**ელჩე (4-2-3-1):** ტონიო - დ. სუარესი, ბოტია, ლომბანი, ედუ ალბაკარი - რუბენ პერესი (82. კ. სანჩესი), ხავი მარკესი - კარლეს ხილი, კორომინასი, აარონ ნიგესი (69. მანუ დელ მორალი) - კრისტიან ერერა (76. ბოაკი)

**ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, საულ ნიგესი, ნაჩო მარტინესი (30. ადრიანი) - რაულ ბაენა, ტრაშორასი - ლ. ბანგურა, ნ. კასტილიო (69. ლარივეი), ხ. ვიერა (77. ადრი ემბარბა) - ა. ბუენო

**გაფრთხილება:** ედუ ალბაკარი, ხავი მარკესი - რუბენი, ადრიანო

**გაძევება:** რაულ ბაენა (18. რაიო ვალეკანო)

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 13-7; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 15-7 (10-1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 21 115

### გრანადა-ოსასუნა 0:0

**გრანადა (4-3-2-1):** რობერტო - ნიომი, მურილიო, მაინსი, ანგულო - იტურა, ფრან რიკო, რესიო - ბრაჰიმი, პიტი - ელ-არაბი (69. რიკი)

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიესგო - მარკ ბერტრანი, ლოტიე, არიბასი, დამია - ლოლო, ფ. სილვა - სეხუდო (66. რობერტო ტორესი), ე. არმენტეროსი, დე ლას კუევასი (82. ხ. აკუნია) - ორიოლ რიერა (88. ოიერი)

**გაფრთხილება:** ფრან რიკო - მარკ ბერტრანი, ლოლო, არიბასი

**კუთხური:** 7-0; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 17-8 (3-0); **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 11 536

### ესპანიოლი-სელტა 1:0

**გოლი:** 1:0 სერხიო გარსია (88)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხავი ლოპესი, კოლოტო, ე. მორენო, ხუან ფუენტესი - აბრაჰამი, ვიქტორ სანჩესი - სტუანი (64. პიცი), სერხიო სანჩესი, სიმაო (90. რაულ როდრიგესი) - ჯ. კორდობა (46. ალექსი)

**სელტა (4-3-2-1):** იოელი - უგო მალიო, კაბრალი, ფონტასი, ჯონი კასტრო - ა. ფერნანდესი (74. ალექს ლოპესი), ბორხა ოუბინია, კრონ-დელი - რაფაელ ალკანტარა, ფ. ორელიანა (68. ნოლიტო) - სანტი მინა (83. ბერმეხო)

**გაფრთხილება:** ვიქტორ სანჩესი - ა. ფერნანდესი

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 13 710

### ხეტაფე-სოსიედადი 2:2

**გოლები:** 0:1 აგირეჩე (4), 0:2 აგირეჩე (16), 1:2 მარიკა (28), 2:2 პედრო ლეონი (52)

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ა. აროიო, ლისანდრო ლოპესი, რაფა, ს. ესკუდერო (46. რ. ლაგო) - ბორხა, მიჩელი - პედრო ლეონი, პ. სარაბია (71. მოსკერა), დიეგო კასტრო - მარიკა (88. ა. კოლუნგა)

**სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, მიკელ გონსალესი, ხოსე ანხელი - ბერგარა (75. ელუსტონდო), რუბენ პარდო - ველა, სურუტუსა (71. გ. კასტრო), გრიზმანი (59. ჩაბი პრიეტო) - აგირეჩე

**გაფრთხილება:** მიჩელი, ბორხა, რაფა, დიეგო კასტრო - ხოსე ანხელი, ველა

**გაძევება:** ბორხა (61. ხეტაფე)

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 21-12; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 16-9 (5-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 5 000

### ვილიარეალი-ალმერია 2:0

**გოლები:** 1:0 ი. უჩე (3), 2:0 ბრუნო (87-პენ)

**ვილიარეალი (4-4-2):** ასენხო - მარიო, მუსაჩიო, დორადო, ხაუმე კოსტა - ხ. აკინო (72. ე. პერესი), ტრიგეროსი (60. პინა), ბრუნო, მოისესი - ჯოვანი დოს სანტოსი (79. ხ. პერეირა), ი. უჩე

**ალმერია (4-3-2-1):** ესტებანი - რაფიტა, ტრუხილიო, ტორსილიერი, დუბარბიერი - ვერსა, ტებარი (77. სორიანო), აზიზი - ალექს ვიდალი (84. ოსკარ დიასი), ელდერ ბარბოსა (46. სუსო) - ზონგო

**გაფრთხილება:** ი. უჩე, ხაუმე კოსტა - დუბარბიერი

**კუთხური:** 9-7; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 12-13 (2-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 18 000

### ლევანტე-ბარსელონა 1:1

**გოლები:** 1:0 ვინტრა (10), 1:1 პიკე (19)

**ლევანტე (5-4-1):** კ. ნავასი - პედრო ლოპესი, ვინტრა, დ. ნავარო, კარაბელასი, ხუანფრანი - ელ ზარი (56. ანხელი), პ. დიოპი, სიმაო ჟუნიორი, ივანშიტცი (87. სერჟიუ პინტუ) - რუბენ გარსია (72. ელ ადუა)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - მონტოია, პიკე, მასკერანო, ალბა - ჩავი (84. დონგუ), ბუსკეტსი, ფაბრეგასი (73. სერხი რობერტო) - ა. სანჩესი, მესი, პედრო (77. ტელიო)

**გაფრთხილება:** ივანშიტცი, ხუანფრანი - მასკერანო

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 4-7; **კარში დარტყმა:** 7-16 (4-5); **ბურთის ფლობა:** 26%-74%

**მაყურებელი:** 24 063

### ატლეტიკო-სევილია 1:1

**გოლები:** 1:0 ვილია (18), 1:1 რაკიტიჩი (73-პენ)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - კოკე (88. ხ. სოსა), გაბი, რაულ გარსია, არდა თურანი - დიეგო კოშტა, ვილია (81. კ. როდრიგესი)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტუ - კოკე, ფასიო, პარეხა (46. გამეირო), ფ. ნავარო - იბორა, კარისო - ვიტოლო (64. მარინი), რაკიტიჩი, ა. მორენო - ბაკა (84. ხ. რეიესი)

**გაფრთხილება:** ხუანფრანი, გაბი, რაულ გარსია - პარეხა, გამეირო

**გაძევება:** ა. მორენო (90. სევილია)

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 50 000

**20 იანვარი**

ბილბაო-ვალიადოლიდი 01:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 20 | 16 | 3 | 1 | 54-13 | 51 |
| 2. ატლეტიკო | 20 | 16 | 3 | 1 | 48-12 | 51 |
| 3. რეალი | 20 | 16 | 2 | 2 | 58-21 | 50 |
| 4. ვილიარეალი | 20 | 11 | 4 | 5 | 39-21 | 37 |
| 5. ბილბაო | 19 | 11 | 3 | 5 | 32-24 | 36 |
| 6. სოსიედადი | 20 | 9 | 6 | 5 | 38-30 | 33 |
| 7. სევილია | 20 | 8 | 7 | 5 | 37-31 | 31 |
| 8. ესპანიოლი | 20 | 7 | 4 | 9 | 23-25 | 25 |
| 9. ვალენსია | 20 | 7 | 3 | 10 | 26-31 | 24 |
| 10. გრანადა | 20 | 7 | 3 | 10 | 19-25 | 24 |
| 11. ლევანტე | 20 | 6 | 6 | 8 | 19-28 | 24 |
| 12. ხეტაფე | 20 | 7 | 3 | 10 | 22-33 | 24 |
| 13. ოსასუნა | 20 | 6 | 4 | 10 | 17-29 | 22 |
| 14. მალაგა | 20 | 5 | 6 | 9 | 19-24 | 21 |
| 15. ელჩე | 20 | 5 | 6 | 9 | 19-28 | 21 |
| 16. სელტა | 20 | 5 | 4 | 11 | 23-32 | 19 |
| 17. ალმერია | 20 | 5 | 4 | 11 | 21-40 | 19 |
| 18. { | 19 | 3 | 7 | 9 | 21-33 | 16 |
| 19. ვალეკანო | 20 | 5 | 1 | 14 | 19-47 | 16 |
| 20. ბეტისი | 20 | 2 | 5 | 13 | 16-43 | 11 |

**ბომბარდირები:** 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 19 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 12 - იკეჩუკვუ უჩე (ვილიარეალი), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი); 11 - ხავი გერა (ვალიადოლიდი), პედრო (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა)

**მომდევნო ტური**

24 იანვარი: **სელტა-ბეტისი**

25 იანვარი: **რეალი-გრანადა, ვალიადოლიდი-ვილიარეალი, ვალენსია-ესპანიოლი, სევილია-ლევანტე**

26 იანვარი: **ალმერია-ხეტაფე, ოსასუნა-ბილბაო, რაიო ვალეკანო-ატლეტიკო, ბარსელონა-მალაგა**

27 იანვარი: **სოსიედადი-ელჩე**

**სეგუნდა დივიზიონი. XXII ტური**

**რეალი B-სპორტინგი 1:2**

**გოლები:** 0:1 კარლოს კარმონა (35), 1:1 ხოსე როდრიგესი (56), 1:2 შჩეპოვიჩი (78)

**ალავესი-ჟირონა 1:1**

**გოლები:** 1:0 მიგე (43-საკ. კარში), 1:1 მატამალა (53)

**ტენერიფე-ალკორკონი 0:4**

**გოლები:** 0:1 ხავიტო (15), 0:2 ხავიტო (24), 0:3 ვერდესი (67), 0:4 ხული (80)

**დეპორტივო-ლას პალმასი 1:2**

**გოლები:** 1:0 ლუის ფერნანდესი (9-პენ), 1:1 ნაუსეტი (14-პენ), 1:2 აიტამი (66)

**ბარსელონა B-მირანდესი 1:1**

**გოლები:** 1:0 ედუ ბედია (25), 1:1 იგორ მარტინესი (27)

**მალიორკა-საბადელი 4:1**

**გოლები:** 1:0 ალექს მორენო (20), 2:0 ალფარო (39), 3:0 პედრო ბიგასი (50), 3:1 სურდო (53), 4:1 პარტი (63)

**ეიბარი-ხაენი 2:0**

**გოლები:** 1:0 რაულ ნავასი (40), 2:0 ხოტა პელეტეირო (76)

**ნუმანსია-ლუგო 0:1**

**გოლი:** 0:1 რენელია (90)

**პონფერადინა-კორდობა 0:1**

**გოლი:** 0:1 აბელ გომესი (72)

**უელვა-მურსია 0:0**

**სარაგოსა-ერკულესი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 22 | 9 | 9 | 4 | 37-29 | 36 |
| 2. დეპორტივო | 22 | 10 | 6 | 6 | 23-16 | 36 |
| 3. ეიბარი | 22 | 10 | 5 | 7 | 28-20 | 35 |
| 4. ლას პალმასი | 22 | 9 | 7 | 6 | 25-23 | 34 |
| 5. სარაგოსა | 22 | 9 | 6 | 7 | 29-25 | 33 |
| 6. უელვა | 22 | 9 | 6 | 7 | 36-33 | 33 |
| 7. კორდობა | 22 | 9 | 6 | 7 | 27-24 | 33 |
| 8. მალიორკა | 22 | 9 | 6 | 7 | 31-34 | 33 |
| 9. ნუმანსია | 22 | 7 | 10 | 5 | 26-23 | 31 |
| 10. ლუგო | 22 | 8 | 6 | 8 | 24-24 | 30 |
| 11. საბადელი | 22 | 9 | 3 | 10 | 28-31 | 30 |
| 12. მურსია | 22 | 6 | 11 | 5 | 29-26 | 29 |
| 13. ალკორკონი | 22 | 7 | 7 | 8 | 22-19 | 28 |
| 14. პონფერადინა | 22 | 7 | 7 | 8 | 26-24 | 28 |
| 15. ბარსელონა B | 22 | 8 | 4 | 10 | 29-31 | 28 |
| 16. ხაენი | 22 | 8 | 4 | 10 | 27-29 | 28 |
| 17. ერკულესი | 22 | 7 | 7 | 8 | 25-33 | 28 |
| 18. მირანდესი | 22 | 7 | 6 | 9 | 23-26 | 27 |
| 19. ტენერიფე | 22 | 7 | 6 | 9 | 20-26 | 27 |
| 20. ჟირონა | 22 | 5 | 9 | 8 | 24-29 | 24 |
| 21. ალავესი | 22 | 5 | 8 | 9 | 32-34 | 23 |
| 22. რეალი B | 22 | 6 | 3 | 13 | 21-33 | 21 |

**ბომბარდირები:** 16 - შჩეპოვიჩი (სპორტინგი); 13 - ვიგერა (ალავესი); 12 - კიკე (მურსია); 10 - მეხია (ხაენი), ხერარდი (მალიორკა)

## პორტუგალია

**პრიმეირა ლიგა. XVI ტური**

**ოლიანენსე-გიმარაეში 0:1**

**გოლი:** 0:1 ტომანე (5)

**არუკა-სპორტინგი 1:2**

**გოლები:** 1:0 ბრუნო ამარო (15), 1:1 როხო (26), 1:2 სლიმანი (73)

**სპორტინგი (4-3-3):** რუი პატრისიო - პირისი, მაურისიო, როხო, ჟეფერსონი - ადრიენ სილვა, ანდრე მარტინში, ვილიამი (70. ე. დაიერი) - ვილსონ ედუარდო, დიეგო კაპელი (53. სლიმანი), ფ. მონტერო (86. ჟერსონ მაგრაო)

**გაძევება:** ტინოკო (63. არუკა), როხო (66. სპორტინგი)

**რიო ავე-ბელენენსეში 1:0**

**გოლი:** 1:0 ლუის გუსტავო (89)

**აკადემიკა-ჟილ ვისენტე 1:0**

**გოლი:** 1:0 ჯავან ფერეირა (90)

**შენიშვნა:** *ავთო ეგრალიძე 72-ე წუთზე ცვლილებაზე გამოვიდა*

**ბრაგა-პ. ფერეირა 1:1**

**გოლები:** 1:0 ნუნუ კოელიო (15), 1:1 ბებე (72)

**ბენფიკა-მარიტიმო 2:0**

**გოლები:** 1:0 როდრიგო (19), 2:0 როდრიგო (35)

**ბენფიკა (4-3-3):** ობლაკი - მაქსი პერეირა, გარაი, ლუიზაო, სიკეირა - ფეისა, გაიტანი, ე. პერესი (90. ანდრე გომეში) - ლიმა, როდრიგო (73. რუბენ ამორიმი), ლ. მარკოვიჩი (89. ივან კავალეირო)

**პორტუ-სეტუბალი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჯ. მარტინესი (11), 2:0 ვარელა (35), 3:0 კარლოს ედუარდო (88)

**პორტუ (4-3-3):** ელტონი - დანილო, მაიკონი, მანგალა, ალექს სანდრო - ფერნანდო, ლუჩო გონსალესი (76. ჟოსუე), კარლოს ედუარდო (88. კინტერო) - კვარეშმა (66. კელვინი), ჯ. მარტინესი, ვარელა

**20 იანვარი**

ნასიონალი-ეშტორილი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 16 | 12 | 3 | 1 | 31-12 | 39 |
| 2. სპორტინგი | 16 | 11 | 4 | 1 | 35-10 | 37 |
| 3. პორტუ | 16 | 11 | 3 | 2 | 32-11 | 36 |
| 4. გიმარაეში | 16 | 8 | 2 | 6 | 17-13 | 26 |
| 5. ეშტორილი | 15 | 7 | 4 | 4 | 23-16 | 25 |
| 6. ნასიონალი | 15 | 6 | 6 | 3 | 21-15 | 24 |
| 7. ბრაგა | 16 | 7 | 2 | 7 | 21-18 | 23 |
| 8. რიო ავე | 16 | 6 | 3 | 7 | 13-16 | 21 |
| 9. აკადემიკა | 16 | 6 | 3 | 7 | 12-20 | 21 |
| 10. ჟილ ვისენტე | 16 | 5 | 3 | 8 | 13-21 | 18 |
| 11. მარიტიმო | 16 | 4 | 5 | 7 | 24-30 | 17 |
| 12. სეტუბალი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-28 | 16 |
| 13. არუკა | 16 | 4 | 3 | 9 | 14-21 | 15 |
| 14. ბელენენსეში | 16 | 2 | 6 | 8 | 9-19 | 12 |
| 15. ოლიანენსე | 16 | 3 | 3 | 10 | 10-25 | 12 |
| 16. პ. ფერეირა | 16 | 2 | 4 | 10 | 13-30 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - ფრედი მონტერო (სპორტინგი), ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 9 - ელდონი (მარიტიმო); 8 - დერლეი (მარიტიმო)

იტალია. სერია A. XX ტური

# ბებერ ქალბატონს მხოლოდ რომა ხედავს

## როსიც და გომესიც მატრია

**„იუვენტუსი" შეუჩერებელია - 20 მატჩიდან 18 მოგება, მხოლოდ ერთი ფრე და ერთადერთი ნაგება. ჩემპიონატის მეორე წრე მიმდინარეობს, „ვეკია სენიორას" კი მხოლოდ 5 ქულა აქვს დაკარგული. მიუხედავად იმისა, რომ სინიშა მიხაილოვიჩის „სამპდორიამ" ტურინში კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მან მაინც უშანსოდ წააგო.**

### მორიგი ტრიუმფი

სწორედ „იუვენტუსის" მატჩით დავიწყოთ, რომელმაც გენუური კლუბი დამაჯერებლად დაამარცხა - 4:2. მართალია, თამაშის მსვლელობისას იყო ეპიზოდი, როდესაც შეიძლებოდა ანგარიში 3:3 გამხდარიყო, მაგრამ მთლიანობაში, ტურინელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. **ჯანლუიჯი ბუფონმა** დიდებული შეხვედრა ჩაატარა და რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი. განსაკუთრებით კი ერთი ეპიზოდია გამოსარჩევი, როდესაც ჯიჯიმ არაადამი-



ალესანდრო მატრის „ფიორენტინაში" შესანიშნავი დებიუტი გამოუვიდა

ანური რეაქცია გამოავლინა და დაახლოებით ორი მეტრიდან თავით დარტყმული ბურთი მოიგერია. მოკლედ, ბუფონი მოწოდების სიმაღლეზეა, პატარა ჩავარდნა („ფიორენტინასთან" მატჩი), უკან არის მოტოვებული.

ანგარიში **არტურო ვიდალმა** გახსნა, რომელიც მეკარის პირისპირ **პოლ პოგბამ** გაიყვანა. ამ ეპიზოდიდან 5-6 წუთი იყო გასული, როდესაც ტურინელებმა კუთხური ჩააწოდეს, თავური დარტყმით კი გოლი **ფერნანდო ლორენტემ** შეაგდო. ამის მერე **ანდრეა ბარცალიმ** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ მალევე ვიდალმა კიდევ ერთხელ შეარხია მეტოქის კარის ბადე - ამჯერად, მისივე მოპოვებული თერთმეტმეტრიანი აქცია გოლად, 3:1. მეორე ნახევარში გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს: **მანოლო გაბიადინიმ** ანგარიში კიდევ ერთხელ დაიყვანა მინიმუმამდე და შემდეგ, გათანაბრებაც შეეძლო, როდესაც ბურთი ხარიხას გაარტყა, მაგრამ პოლ პოგბას ყუმბარისებურმა დარტყმამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა: „იუვემ" მორიგი სამი ქულა მიითვალა აქტივში.

კიდევ რა შეიძლება ითქვას? - პოლ პოგბა იყო ძალიან ნაყოფიერი: გოლი შეაგდო, საგოლე პასი გააკეთა და თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო. შესაძლოა, სეზონის საუკეთესო თამაში აჩვენა ფერნანდო ლორენტემ, რომელიც უბრალოდ მეფობდა მეტოქის საჯარიმოში. და რა თქმა უნდა არტურო ვიდალი, რომელსაც უკვე 10 გოლი აქვს გატანილი მიმდინარე სეზონში.

### რომაც იგებს

„რომა" დანებებას არ აპირებს და ჯერ მაინც მისდევს „იუვენტუსს". დედაქალაქურმა გუნდმა „ლივორნოს" უმასპინძლა და მეტოქე სამი უპასუხო გოლით გაისტუმრა. **რუდი გარსიამ** შეტევა გადაახალისა: **ალესანდრო ფლორენცი** და **ფრანჩესკო ტოტი** თადარიგში დატოვა, წინა ხაზზე კი **ჟერვინიოს, ადემ ლიაიჩის** და **მატია დესტროს** ტრიო გაამწესა.

თამაში ხეირიანად დაწყებული არც იყო, როდესაც რომაელებმა მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდეს, ჟერვინიომ ბურთს ცუდად მოარტყა ფეხი, მაგრამ დესტრო იყო იქვე და გახსნა კიდეც ანგარიში. „ჯალოროსის" მეორე გოლი რალაცით პირველს წააგავდა, ტოსკანელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მღვრიე წყალში კი თევზი **კევინ სტროტმანმა** დაიჭირა, რომლის უძლიერესმა დარტყმამ მიზანს უწია, 2:0. მესამე გოლი მასპინძლებმა მეორე ნახევარში შეაგდეს, როდესაც ლიაიჩმა ერთი მეურვე კარგად ჩამოიცილა და უზუსტესი დარტყმით, მეკარისაგან მარჯვენა დაბალი კუთხე დალაშქრა - 3:0.

მოკლედ, „რომას" შეტევამ კიდევ ერთხელ გაილაღა, მაგრამ არც დაცვას უნდა დავუკარგოთ შესანიშნავი გარჯა. რუდი გარსიას შეგირდებმა კიდევ ერთხელ შეინახეს კარი მშრალად და კვლავაც ყველაზე ნაკლები გოლი აქვთ გაშვებული ჩემპიონატში - 20 მატჩში მხოლოდ 10 გოლი გაუშვა და „რომას" ძალაც სწორედ ამაშია - გარსიასთან ერთად, გუნდმა თანაბრად მოუმატა როგორც შეტევაში, ისე დაცვაში.

ნამატჩევს, რომაელთა თავკაცმა შეგირდები შეაქო და განაცხადა, რომ ეს იყო უმნიშვნელოვანესი გამარჯვება, რომელიც გუნდს კიდევ უფრო დააახლოებს ჩემპიონთა ლიგის საგზურთან. გარსიას თქმით, არც სკუდეტოს მოპოვების იმედია ბოლომდე გადაწურული.

### ნაპოლის ფეხი დაუცდა

თუ „რომა" ჯერ კიდევ ითვლება სკუდეტოს მოპოვების პრეტენდენტად, „ნაპოლი" ალბათ უნდა ჩამოვწეროთ. **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა ბოლონიაში ორი ქულა დატოვა და ლიდერ „იუვენტუსს" მთელი 12 ქულით ჩამორჩა. არც თავად „ნაპოლი" ჩანს იმდენად სტაბილური, რომ დარჩენილი ტურები ერთი ამოსუნთქვით გაიაროს და არც „იუვეა" ამდენი ქულის გამნიავებელი. მოკლედ, სამხრეთელთა რეალური სამიზნე ჩემპიონთა ლიგის საგზურია და კაცმა რომ თქვას, ამ მისიის შესრულებაც მეტად რთული იქნება. არადა, „ნაპოლი" ბოლონიაში გამარჯვებასთან ახლოს იყო - იგებდა თამაშს, მეტოქე კაცნაკლული ჰყავდა და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მაინც გაუშვა.

სამაგიეროდ, „ფიორენტინამ" გაილაღა და „კატანიას" მისსავე მოედანზე სამი უპასუხო გოლი გაუტანა. სიცილიაში **ალესანდრო მატრის** ბენეფისი შედგა - ახლადგამომცხვარმა ფლორენციელმა ორი გოლი და საგოლე პასი მიითვალა აქტივში. დებიუტიც ასეთი უნდა - რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მატრიმ ერთ ტაიმში გაიტანა იმაზე მეტი გოლი, ვიდრე „მილანში" ნახევარი სეზონის განმავლობაში. მოკლედ, კუნძულზე **ჯუზეპე როსიც** და **მარიო გომესიც** ალესანდრო მატრიმ ჩაანაცვლა.

**ედუარდო რეიასთან** ერთად „ლაციოს" ალმასვლა აქვს - რომაელებმა „უდინეზე" დაამარცხეს დრამატულ ბრძოლაში და ლიდერებს მიუახლოვდნენ. აი, „ინტერის" საქმე კი ცუდადაა: **ვალტერ მაცარის** გუნდი 2014 წელს საშინლად ასპარეზობს.

**ლაშა ნიკლაური**

## ჰოლანდია

### ერედივიზიე. XIX ტური

**ტვენტე-ჰერაკლესი 3:1**

გოლები: 1:0 პრომესი (23), 2:0 კასტანიოსი (54), 2:1 უთი (76), 3:1 ტადიჩი (88-პენ)
გაძევება: - ველდმატი (56)

**ალკმაარი-ბრედა 3:0**

გოლები: 1:0 ბერხუისი (23), 2:0 იოჰანსენი (45+1), 3:0 ბერხუისი (69)

**ზვოლე-ვიტესი 1:2**

გოლები: 0:1 აცუ (3), 1:1 ფერნანდესი (10), 1:2 ვან აანჰოლტი (90)

**ვაალვაიკი-გრონინგენი 1:1**

გოლები: 0:1 დე ლეუვი (31), 1:1 სნო (82-პენ)
გაძევება: - ჰატებური (69)

**ჰეერენვეენი-როდა 2:2**

გოლები: 1:0 ზიეჩი (12), 1:1 ნემეტი (30), 2:1 ფინბოგასონი (66-პენ), 2:2 ჰუპერტსი (71)

**ნაიმეგენი-დენ ჰააგი 3:1**

გოლები: 1:0 კონბოი (31), 1:1 ჰოლა (33-პენ), 2:1 ვერმაილი (35), 3:1 ვან აიდენი (67)

**კამბუური-იგლზი 2:0**

გოლები: 1:0 რიტცმაიერი (18), 2:0 ბარტო (65)

**უტრეხტი-ფეიენოორდი 2:5**

გოლები: 1:0 ტოონსტრა (12), 1:1 სხაკენი (17), 1:2 პელე (18), 2:2 ტოონსტრა (22), 2:3 დე ვრაი (33), 2:4 სხაკენი (71), 2:5 დე ვილიენა (89)

**აიაქსი-ეინდჰოვენი 1:0**

**გოლი:** 1:0 სიგტორსონი (64)

**აიაქსი (4-3-3):** სილესენი - ვან რაინი, ველტმანი, მოისანდერი, ბოილესენი - ბლინდი, სერერო (86. პოულსენი), კლაასენი - სიგტორსონი (76. ჰუსენი), ფიშერი, შიონე

**ეინდჰოვენი (4-3-3):** ზუტი - არიასი, ბრუმა, რეკიკი, ვილემსი - სხაარსი, პარკი (83. ჰილემარკი), მაჰერი (86. ბეკალი) - რუისი (75. ნარსინხი), ლოკადია, დეპაი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 19 | 12 | 4 | 3 | 42-17 | 40 |
| 2. ვიტესი | 19 | 12 | 4 | 3 | 44-25 | 40 |
| 3. ტვენტე | 19 | 10 | 7 | 2 | 44-19 | 37 |
| 4. ფეიენოორდი | 19 | 11 | 3 | 5 | 41-26 | 36 |
| 5. ჰეერენვეენი | 19 | 8 | 6 | 5 | 44-34 | 30 |
| 6. გრონინგენი | 19 | 7 | 7 | 5 | 37-33 | 28 |
| 7. ალკმაარი | 19 | 8 | 3 | 8 | 32-33 | 27 |
| 8. ეინდჰოვენი | 19 | 7 | 5 | 7 | 35-26 | 26 |
| 9. უტრეხტი | 19 | 7 | 4 | 8 | 28-36 | 25 |
| 10. იგლზი | 19 | 6 | 5 | 8 | 29-43 | 23 |
| 11. ზვოლე | 19 | 5 | 7 | 7 | 26-26 | 22 |
| 12. ბრედა | 19 | 6 | 4 | 9 | 29-35 | 22 |
| 13. ჰერაკლესი | 19 | 6 | 4 | 9 | 26-34 | 22 |
| 14. კამბუური | 19 | 5 | 4 | 10 | 18-26 | 19 |
| 15. ვაალვაიკი | 19 | 4 | 7 | 8 | 26-35 | 19 |
| 16. როდა | 19 | 4 | 7 | 8 | 32-43 | 19 |
| 17. ნაიმეგენი | 19 | 4 | 6 | 9 | 32-50 | 18 |
| 18. დენ ჰააგი | 19 | 5 | 2 | 12 | 22-43 | 17 |

**ბომბარდირები:** 18 - ალფრედ ფინბოგასონი (ჰეერენვეენი), 14 - გრაციანო პელე (ფეიენოორდი), 12 - არონ იოჰანსონი (ალკმაარი)



კოლბეინ სიგტორსონმა ტურის ცენტრალურ მატჩში „აიაქსს" მოაგებინა

**რომა-ლივორნო 3:0**

**გოლები:** 1:0 დესტრო (6), 2:0 სტროტმანი (36), 3:0 ლიაიჩი (78).

**რომა (4-3-3):** დე სანქტისი - ტოროსიდისი, ბენატია, კასტანი, დოდო - სტროტმანი, პიანიჩი (69. ნაინგოლანი), დე როსი - ლიაიჩი, ჟერვინიო (67. ფლორენცი), დესტრო (79. ტოტი).

**ლივორნო (5-4-1):** ბარდი - ჩეკერინი (76. ლამბრუგი), რინაუდო, ვალენტინი, პიჩინი, მბაიე - ბიაჯანტი, ბენასი (81. მოსკერა), დუნკანი (46. ბორა), გრეკო - პაულინიო.

**გაფრთხილება:** კასტანი (რომა).

**კუთხური:** 8-0; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 20-4 (10-0); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 45 000

**იუვენტუსი-სამპდორია 4:2**

**გოლები:** 1:0 ვიდალი (18), 2:0 ლორენტე (24), 2:1 ბარცალი (38-საკ. კარში), 3:1 ვიდალი (41-პენ.), 3:2 გაბიადინი (69), 4:2 პოგბა (78).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარცალი, ოგბონა, კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პოგბა, მარკიზიო, ასამოა (80. პელუზო) - ტევესი (80. ჯოვინკო), ლორენტე (87. კვალიარელა).

**სამპდორია (4-2-3-1):** და კოსტა - მუსტაფი (52. კოსტა), გასტალდელო, დე სილვესტრი, რეჯინი - ობიანგი, პალომბო - ბარნასონი (90. რენანი), გაბიადინი, ერსოლეკი (70. სანსონე) - ედერი.

**გაფრთხილება:** კიელინი - გასტალდელო, რეჯინი, ვრსოლეკი.

**კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 12-7; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 13-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 39 000

**უდინეზე-ლაციო 2:3**

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (8-პენ.), 1:1 კანდრევა (17-პენ.), 2:1 ბადუ (23), 2:2 ლაძარი (82-საკ. კარში), 2:3 ერნანესი (90).

**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი - ერუ, დანილო, დომიცი - პინცი (85. ლოპესი), ბასტა, ბადუ, დუგლას სანტოსი (78. ლაძარი), პერეირა - მაიკოსუელი - დი ნატალე (59. მურიელი).

**ლაციო (3-4-3):** ბერიშა - სიანი (60. ერნანესი), ბიავა, დიასი - კავანდა, ონაზი, ბილია, ლულიჩი - კანდრევა, ფლოკარი (53. ედერსონი - 85. ცანა), კლოზე.

**გაფრთხილება:** დომიცი, პინცი - კავანდა, ლულიჩი, კლოზე.

**გაძევება:** ონაზი (54. ლაციო).

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 5-11 (3-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 15 000

**ატალანტა-კალიარი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბონავენტურა (68).

**ატალანტა (4-4-1-1):** სპორტიელო - რაიმონდი, ლუკინი (50. იეპესი), სტენდარდო, ბრივიო - ბრიენცა (73. კარმონა), ჩიგარინი (81. ბაზელი), ბონავენტურა, მილიაჩო - მორალესი - დენისი.

**კალიარი (4-3-1-2):** ადან გარიდო - პიზანო, როსეტინი, ასტორი, მურუ - დესენა (73. იბრაიმი), ეკდალი (80. კაბრერა), კონტი - კოსუ (89. სოლინასი) - საუ, იბარბო.

**გაფრთხილება:** რაიმონდი, ლუკინი, მილიაჩო (ატალანტა).

**გაძევება:** იბარბო (90. კალიარი).

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10-11 (5-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 20 000

**ბოლონია-ნაპოლი 2:2**

**გოლები:** 1:0 ბიანკი (37), 1:1 იგუაინი (62-პენ.), 1:2 კალეხონი (80), 2:2 ბიანკი (90).

**ბოლონია (3-5-1-1):** კურჩი - ნატალი, ანტონსონი, კერუბინი (73. მანტოვანი) - გარიჩი, კონე, პაციენცა, პერესი (79. ხრისტოდოლოპულოსი), მორლეო (82. აკვაფრესკა) - დიამანტი - ბიანკი.

**ნაპოლი (4-2-3-1):** რაფაელი - მაჯო, ალბიოლი, ფერნანდესი, რევეილერი - ინლერი, ჯემაილი - პანდევი (57. ჰამშიკი), კალეხონი, მერტენსი (78. ინსინიე) - იგუაინი.

**გაფრთხილება:** გარიჩი, პერესი, პაციენცა, ბიანკი - ფერნანდესი, ალბიოლი.

**გაძევება:** კონე (84. ბოლონია).

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 6-9 (2-4); **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 24 000

**კატანია-ფიორენტინა 0:3**

**გოლები:** 0:1 ფერნანდესი (25), 0:2 მატრი (28), 0:3 მატრი (41).

**კატანია (4-3-3):** ფრიზონი - ნელუში, სპოლი, როლინი (90. ლეტო), ბირაგი - ისკო, რინაუდო (78. გუარენტე), პლაშილი - კასტრო (72. კეკო), ბარიენტოსი, ბერგესიო.

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - ფერნანდესი, პისარო, ბორხა ვალერო (72. ამბროზინი) - ვარგასი, კუადრადო, მატრი (90. მატოსი).

**გაფრთხილება:** რინაუდო - ბარიენტოსი, გონსალო.

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 7-12(3-4); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 16 000

**კიევო-პარმა 1:2**

**გოლები:** 1:0 პალოსკი (15), 1:1 კასანო (27), 1:2 ლუკარელი (90).

**კიევო (3-5-2):** პუჯონი - ფრეი, ცეზარი, დაინელი - სარდო, დრამე, ჰეტემაი, ბენტივოლიო (61. რადოვანოვიჩი), რიგონი - თერეუ, პალოსკი (64. ლაზარევიჩი).

**პარმა (4-3-3):** მირანტე - კასანი, ლუკარელი, პალეტა, გობი - გარგანო, მარკიონი, პაროლო (86. აკვა) - ბიაბიანი (79. პალადინო), ამაური, კასანო.

**გაფრთხილება:** ცეზარი, სარდო - ლუკარელი, გარგანო, ამაური.

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 7-8 (2-4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 10 000

**ჯენოა-ინტერი 1:0**

**გოლი:** 1:0 ანტონელი (83).

**ჯენოა (3-4-3):** პერინი - ანტონინი, დე მაიო, მარკეზე - ბერტოლაჩი, კოფიე, ვრსალკო, ანტონელი - ფეტფატციდისი (76. კონატე), სტურარო (72. დე ჩელიე), ჯილარდინო (85. კალაიო).

**ინტერი (3-4-2-1):** ჰანდანოვიჩი - კამპანიარო, როლანდო, ჟუან ჟესუსი (84. ბოტა) - ჯონატანი, კუზმანოვიჩი (62. გუარინი), კამბიასო, ნაგატომო - ალვარესი (21. კოვაჩიჩი), პალასიო - მილიტო.

**გაფრთხილება:** ვრსალკო, ბერტოლაჩი, კოფიე, სტურარო - ჟუან ჟესუსი.

**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-9 (6-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 25 000

**სასუოლო-ტორინო 0:2**

**გოლები:** 0:1 იმობილე (25), 0:2 ბრიგი (48).

**სასუოლო (4-3-3):** პეგოლო - ანტეი, არიაუდო (54. პუჩინო), მანფრედინი, ლონგი - მანიანელი, ჩიბსა, კურტიჩი (53. პარიასი) - ბერარდი, ფლორო ფლორესი (58. გლიოცი), ციგლერი.

**ტორინო (3-5-2):** პადელი - მაქსიმოვიჩი, გლიკი, მორეტი - დარმიანი, ბრიგი, ვივესი (90. პანაიოტისი), ფარნერუდი (29. ბაშა), მაზიელო - ჩერჩი (83. მეჯორინი), იმობილე.

**გაფრთხილება:** არიაუდო, მანიანელი, ბერარდი - გლიკი, იმობილე.

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 6-6 (2-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 20 000

**მილანი-ვერონა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბალოტელი (82-პენ.).

**მილანი (4-2-3-1):** აბიატი - დე შილიო, საპატა, ბონერა (52. სილვესტრი), ემანუელსონი - დე იონგი, მონტოლივო - რობინიო (78. პეტანია), კაკა, ჰონდა (63. ბირსა) - ბალოტელი.

**ვერონა (4-3-3):** რაფაელი - გონსალესი (85. იანკოვიჩი), მორასი, მაიეტა, აგოსტინი - რომულო, ჩირილიანო (90. დონადელი), ალფრედსონი - გომესი, იტურბე, კაჩა (61. მარტინიო).

**გაფრთხილება:** მონტოლივო, სილვესტრი - მაიეტა.

**კუთხური:** 5-10; **ჯარიმა:** 11-10; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 17-11(7-3); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 18 | 1 | 1 | 50-14 | 55 |
| 2. რომა | 20 | 14 | 5 | 1 | 42-10 | 47 |
| 3. ნაპოლი | 20 | 13 | 4 | 3 | 43-22 | .43 |
| 4. ფიორენტინა | 20 | 12 | 4 | 4 | 37-19 | 40 |
| 5. ინტერი | 20 | 8 | 8 | 4 | 38-24 | 32 |
| 6. ვერონა | 20 | 10 | 2 | 8 | 34-31 | 32 |
| 7. ტორინო | 20 | 7 | 8 | 5 | 33-27 | 29 |
| 8. პარმა | 20 | 7 | 8 | 5 | 31-27 | 29 |
| 9. ლაციო | 20 | 7 | 6 | 7 | 26-28 | 27 |
| 10. ჯენოა | 20 | 7 | 5 | 8 | 20-24 | 26 |
| 11. მილანი | 20 | 6 | 7 | 7 | 32-30 | 25 |
| 12. ატალანტა | 20 | 7 | 3 | 10 | 21-29 | 24 |
| 13. სამპდორია | 20 | 5 | 6 | 9 | 24-31 | 21 |
| 14. კალიარი | 20 | 4 | 9 | 7 | 19-29 | 21 |
| 15. უდინეზე | 20 | 6 | 2 | 12 | 20-31 | 20 |
| 16. კიევო | 20 | 4 | 5 | 11 | 15-26 | 17 |
| 17. ბოლონია | 20 | 3 | 8 | 9 | 19-35 | 17 |
| 18. სასუოლო | 20 | 4 | 5 | 11 | 21-43 | 17 |
| 19. ლივორნო | 20 | 3 | 4 | 12 | 16-36 | 13 |
| 20. კატანია | 20 | 3 | 4 | 13 | 13-37 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა); 11 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი), დომენიკო ბერარდი (სასუოლო); 10 - როდრიგო პალასიო (ინტერი), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), ჩირო იმობილე (ტორინო), არტურო ვიდალი (იუვენტუსი).

### მომდევნო ტური

25 იანვარი: ნაპოლი-კიევო, ლაციო-იუვენტუსი

26 იანვარი: ვერონა-რომა, ტორინო-ატალანტა, სამპდორია-ბოლონია, ინტერი-კატანია, კალიარი-მილანი, ლივორნო-სასუოლო, პარმა-უდინეზე, ფიორენტინა-ჯენოა.

### სერია B

**ვარეზე-ნოვარა 1:1**

გოლები: 1:0 ტრემოლანდა (89), 1:1 ფარაგო (90).

### სერია C1/A

ვენეცია-ენტელა 0:2, კარარეზე-ვიჩენცა 2:4, კომო-სან მარინო 0:0, კრემონეზე-ალბინოლეფე 1:1, ლუმეცანე-ფერალპიზალო 1:0, პავია-სუდტიროლი 0:0, პრო ვერჩელი-რეჯანა 1:0, პროპატრია-სავონა 3:2.

### სერია C1/B

ასკოლი-პაგანეზე 3:2, ფროზინონე-კატანძარო 3:0, გროსეტო-ნოჩერინა 2:1, ლეჩე-ბენევენტო 2:0, პიზა-ლაკვილა 2:2, პრატო-ბარლეტა 0:0, სალერნიტანა-გუბიო 2:1, ვიარეჯო-პონტედერა გადაიდო.

საფრანგეთი. ლიგა 1. XXI ტური

# მწვანეებმა ლიგისკენ მწვანე აინთეს

## იბრა და კომპანია არავის ინდობს

### უამინდობა და ბევრი ნული

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ „ჟოფრუა გიშარზე" „სენტ ეტიენმა" ძალიან კარგად ითამაშა და აბსოლუტურად დამსახურებულად მოუგო „ლილს". თასზე „მწვანეების" სენსაციური მარცხიც ამით უნდა ავხსნათ, ალბათ ისინი ამ უპრინციპულესი შეხვედრისთვის ემზადებოდნენ. **კრისტოფ გალტიეს** გუნდი მართლაც აღარ ხუმრობს - ახლა „ლილამდე" და შესაბამისად ჩემპიონთა ლიგის საგზურამდე უკვე მხოლოდ 3 ქულა რჩება. აი, **რენე ჟირარის** შეგირდები კი სულ უფრო და უფრო მძიმედ გამოიყურებიან. პსჟ-სთან გასვლაზე კარგად ჩატარებული მატჩის მერე ლილელთა ასეთი მკვეთრი რეგრესი ძნელად წარმოსადგენი იყო. თუმცა ჟირარი სირთულეების დაძლევას ნაჩვევია და ალბათ გამოსავალს ამ სიტუაციაშიც იპოვის.

დაძაბული პირველი ტაიმის მერე, ყველაფერი 6-7 წუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როდესაც მასპინძლები **ბრანდაომ** დააწინაურა, ხოლო ექსტულუზელმა **ფრანკ ტაბანუმ** მალევე მეორე გაიტანა და ამასთანავე, „ლილი" თავისი ბრაზილიელი ნახევარმცველის **ფლორან ბალმონის** გარეშე დარჩა, რომელიც ზედმეტი ემოციურობისთვის წითელი ბარათით დაისაჯა.

შაბათი კი ლიგა 1-ში იმით დაიწყო, რომ „მარსელისა" და „ვალანსიენის" მატჩი გადაიდო, ამის მიზეზი საფრანგეთის სამხრეთში კოკისპირული წვიმა გახლდათ.

„ბასტიას" 1 დეკემბრის მერე არ მოეგო და ეს ხუთმატჩიანი წარუმატებელი სერია „ბორდოსთან" შეწყვიტა. ჟირონდელებმა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ სამი მარცხი იწვნიეს და ის კარგი პერიოდი უკან დარჩათ, რომლითაც ცოტა ხნის წინ იწონებდნენ თავს. კორსიკელებს ახალწვეული **ჯიბრილ სისე** დაუშავდათ და გოლის გატანა თავის თავზე **ადამა ბამ** აიღო.

„ლორიანმა" მინიბრეტონულ დერბიში საწყის წუთებში მოუმთავრა ყველაფერი „გენგამს". მართალია **ვენსან აბუბაქარმა** ისევ ვერ გაიტანა, მაგრამ სამაგიეროდ, ჯერ **იან ჟუფრეს** გაატანინა, მერე კი **კევინ მონე-პაკეს**. გენგამელთა თავკაცმა **ჟოსელინ გურვენეკმა** რამე უნდა მოიფიქროს - მის გუნდს უკვე ოთხი მატჩია, გოლი არ გაუტანია.

ასეთივე ანგარიშით იმარჯვა „ნიცამ" თავის „ალიანს რივიერაზე". ისევ გამოიჩინა თავი ბელგიელმა **კრისტიან ბრიულსმა,** რომელმაც ჯარიმიდან გაიტანა. მეორე გოლი კი ბოლოსკენ **დარიო ცვიტანიჩმა** შეაგდო. არგენტინელს თასზე გატანამ ფსიქოლოგიური წნეხი მოუხსნა და გოლის გემო ლიგა 1-შიც გაიხსენა. **კლოდ პუელის** გუნდი წინა სეზონის შედეგს ველარ გაიმეორებს, მაგრამ ნელ-ნელა წინ მიიწევს. „აიაჩოს" კი დიდი ხანია, გამოვემშვიდობეთ.

„რენს" უკვე 5 თამაშია ჩემპიონატში გამარჯვება არ მოუპოვებია, არადა, თუ სამართალია, ბრეტონელებს „ევიანთან" ნამდვილად უნდა მოეგოთ, რადგან დიდ უპირატესობას ფლობდნენ. თუმცა სტუმართა მეკარე **ბერტრან ლაკე** სასწაულებს სჩადიოდა და საბოლოოდ, მან თავის გუნდს ძალიან მნიშვნელვანი ქულა მოუტანა. **ფილიპ მონტანიე** მატჩის მერე ცოფებს ჰყრიდა, ეს შეხვედრა როგორ ვერ მოვიგეთო.

ექვსქულიანი თამაში იყო მონპელიარში. „მონპელიე" თავიდანვე უკეთ გამოიყურებოდა და მომენტებს ქმნიდა. მაგალითისთვის **მორგან სანსონის** შორეული დარტყმაც შეგვიძლია ვახსენოთ, რომელიც ხარიხას მოხვდა. ნავსი **ენტონი მუნიემ** გატეხა და სტუმრები დააწინაურა. „სოშოსთვის" ეს ერთგვარი ბოლო შანსი იყო. თუმცა მასპინძლები ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ მას მერე, რაც **ნათან სინკალამ** 10 წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და მონპელიარელები 10 კაცით დატოვა. მონპელიელები **სიაკა ტიენემ** დაამშვიდა, რომელიც პირველი გოლის ავტორის მუნიეს ნაცვლად შეცვლაზე 8 წუთის გამოსული იყო, „მონპელიემ" ლიგა ერთში 11-თამაშიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, ხოლო მწვრთნელის **როლან კურბისისთვის** ეს პირველი მოგება გახლდათ უმაღლეს ლიგაში 2005 წლის მერე.

„ლიონი" 2014 წელს 100%-იან შედეგს ინარჩუნებს. **რემი გარდის** შეგირდებმა კიდევ ერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარეს და გასვლაზე მოუგეს „რეიმსს", რომლის დამარცხებაც ძალიან ძნელია. და ეს ის „რეიმსია", რომელმაც „ლილს" სძლია, თანაც სტუმრად. თუმცა ლიონელები მართლაც ბრწყინვალე ფორმაში არიან და ლაღად გამოიყურებიან. **ანტონი ლაკასეტმა** სეზონში მე-10 გოლი გაიტანა, ხოლო მეორე **გეიდა ფოფანას** ანგარიშზეა. უფრო დიდი სხვაობა რომ არ დაფიქსირდა, ეს რეიმსელთა მეკარის **კოსი აგასას** დამსახურებაა.

**ლეივინ კურზავას** ველარ აჩერებენ, „მონაკოს" მცველმა გოლი ისევ გაიტანა და თავისი გუნდი „ტულუზთან" შეხვედრაში დააწინაურა. მართალია **კლაუდიო რანიერის** შეგირდები უკეთ ბურთაობდნენ, მაგრამ დაძაბულობა ბოლომდე შენარჩუნდა, სანამ შეცვლაზე შესულმა **ლუკას ოკამპოსმა** სხვაობა არ გაზარდა. მორიგი საგოლე გადაცემა მიითვალა **ჯეიმს როდრიგესმა**, მაგრამ აქ თავად ახალგაზრდა არგენტინელის დარტყმა იყო მთავარი და აღსანიშნავია - მან ბრწყინვალე მაკრატელათი გაუტანა **ალი აჰამადას**.

**სტ.ეტიენი-ლილი 2:0**

**გოლები:** 1:0 ბრანდაო (55), 2:0 ტაბანუ (61)
**გაძევება:** ბალმონი (62. ლილი)

**მარსელი-ვალანსიენი გადაიდო**

**ბასტია-ბორდო 1:0**

**გოლი:** 1:0 ადამა ბა (42)

**ლორიანი-გენგამი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჟუფრე (8), 2:0 მონე-პაკე (12)

**ნიცა-აიაჩო 2:0**

**გოლები:** 1:0 ბრიულსი (5), 2:0 ცვიტანიჩი (90)

**რენი-ევიანი 0:0**

**სოშო-მონპელიე 0:2**

**გოლები:** 0:1 მუნიე (19), 0:2 ტიენე (74)
**გაძევება:** სინკალა (35. სოშო)

**რეიმსი-ლიონი 0:2**

**გოლები:** 0:1 ლაკასეტი (25), 0:2 ფოფანა (84)
**ლიონი (4-3-3):** ენტონი ლოპეში - მიგელ ლოპეში (62. ზეფანი), ბიშევაცი, უმტიტი, ბედიმო - ფოფანა, გონალონი, გრენიე (90+7. მალბრანკი) - გურკუფი, ლაკასეტი (77. ბ. კონე), გომისი

**ტულუზი-მონაკო 0:2**

**გოლები:** 0:1 კურზავა (36), 0:2 ოკამპოსი (88)
**მონაკო (4-3-3):** სუბაშიჩი - რაჯი, რ. კარვალიო, აბიდალი, კურზავა - ობადი (75. ობადი), კონდოგბია, ტულალანი - ჯ. როდრიგესი, ჟერმენი (81. რივიერი), ფალკაო (69. ოკამპოსი)

**პსჟ-ნანტი 5:0**

**გოლები:** 1:0 ტ. სილვა (10), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (26-პენ), 3:0 ტ. მოტა (51), 4:0 კავანი (58), 5:0 იბრაჰიმოვიჩი (64)
**პსჟ (4-1-2-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტ. სილვა, მაქსველი - მოტა (69. მარკინიოსი) - ვერატი (64. პასტორე), მატუიდი - კავანი, იბრაჰიმოვიჩი, ლავეცი (46. ლუკას მოურა)



„ნანტის" გამანადგურებლები: ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ტიაგო სილვა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 21 | 15 | 5 | 1 | 51-14 | 50 |
| 2. მონაკო | 21 | 13 | 6 | 2 | 34-14 | 45 |
| 3. ლილი | 21 | 12 | 4 | 5 | 23-12 | 40 |
| 4. სტ. ეტიენი | 21 | 11 | 4 | 6 | 30-20 | 37 |
| 5. მარსელი | 20 | 9 | 5 | 6 | 29-21 | 32 |
| 6. ნანტი | 21 | 10 | 2 | 9 | 24-22 | 32 |
| 7. რეიმსი | 21 | 8 | 8 | 5 | 25-24 | 32 |
| 8. ლიონი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-27 | 31 |
| 9. ბორდო | 21 | 8 | 7 | 6 | 27-23 | 31 |
| 10. ლორიანი | 21 | 9 | 3 | 9 | 28-27 | 30 |
| 11. ტულუზი | 21 | 7 | 7 | 7 | 21-26 | 28 |
| 12. ბასტია | 21 | 7 | 6 | 8 | 24-29 | 27 |
| 13. ნიცა | 21 | 8 | 3 | 10 | 20-25 | 27 |
| 14. გენგამი | 21 | 6 | 7 | 8 | 19-21 | 25 |
| 15. რენი | 21 | 5 | 8 | 8 | 22-24 | 23 |
| 16. მონპელიე | 21 | 3 | 12 | 6 | 21-25 | 21 |
| 17. ევიანი | 21 | 5 | 6 | 10 | 20-34 | 21 |
| 18. ვალანსიენი | 20 | 4 | 5 | 11 | 20-30 | 17 |
| 19. სოშო | 21 | 2 | 5 | 14 | 15-43 | 11 |
| 20. აიაჩო | 21 | 1 | 6 | 14 | 14-38 | 9 |

**ბომბარდირები:** 17 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ); 11 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 10 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი)

**მომდევნო ტური**

24 იანვარი. ლილი-რენი

25 იანვარი. გენგამი-პსჟ, მონპელიე-ნიცა, აიაჩო-სოშო, ნანტი-რეიმსი, ტულუზი-ბასტია, ვალანსიენი-ლორიანი

26 იანვარი. ლიონი-ევიანი, ბორდო-სტ. ეტიენი, მონაკო-მარსელი

გიორგი პაპაბაძე

ტრანსფერები. 10-19 იანვარი




ნემანია მატიჩი „ჩელსიში" პრეზენტაციისას

# მოურინიოს ზამთრის პირველი ასრულებული სურვილი

**იანვრის მეორე დეკადის მთავარი სატრანსფერო ხმაურის ამტეხი, რა თქმა უნდა, 25 წლის სერბი ნახევარმცველი ნემანია მატიჩია. ჟოზე მოურინიოს ზამთრის პირველი სურვილი აისრულა და „ბენფიკადან" „ჩელსიში" მატიჩი გადაიყვანა. ლონდონურ კლუბს ტრანსფერი 21 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა. „ის, როგორც ფეხბურთელი პორტუგალიაში ჩამოყალიბდა, სადაც უნივერსალურ ნახევარმცველად იქცა", - განაცხადა „განსაკუთრებულმა".**

**ნემანია მატიჩის** ტრანსფერის გარდა გამოვყოფთ **ჯერმეინ დეფოს** წასვლას „ტოტენჰემიდან". ინგლისის ნაკრების ფორვარდმა მუნდიალის წინ გაუგონარი სიმამაცე ჩაიდინა - პრემიერლიგიდან MLS-ში გადავიდა, რითაც ბრაზილიაში გამგზავრება საეჭვო გახადა. ასეა თუ ისე, 31 წლის ვეტერანმა ფინანსურად მოიგო - კანადურ „ტორონტოს" 4-წლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, კვირაში 70 ათას ფუნტს (შეიძლება 90 ათასამდეც გაიზარდოს) და უზრუნველადაც დაასრულებს კარიერას. „ტოტენჰემმა" 6 მილიონი ფუნტი მიიღო, თუმცა დეფო თებერვლის ბოლომდე ლონდონში რჩება. 6 მილიონ ფუნტად წაიყვანა „ტორონტომ" ამერიკელი **მაიკლ ბრედლიც** „რომადან".

„ფიორენტინამ" ორი საინტერესო ფეხბურთელი დაიმატა იჯარით: შემტევი **ალესანდრო მატრი** „მილანიდან" და ბრაზილიელი ნახევარმცველი **ანდერსონი** „მანჩესტერ იუნაიტედიდან". „ვოლფსბურგს" 22 წლის **კევინ დე ბრუინი** (ჩელსი) 16,7 მილიონი ფუნტი დაუჯდა. ინტერესს იწვევს ირლანდიელი **ეიდენ მაკგიდის** დაბრუნებაც რუსეთიდან (მოსკოვის „სპარტაკი") ბრიტანეთში, კერძოდ „ევერტონში".

საინტერესო იყო შიდაინგლისური გადაადგილებებიც - მაგალითად, **ნიკიცა იელავიჩი** ბედს ახლა „ევერტონის" ნაცვლად „ჰალ სიტიში" მოსინჯავს, სადაც მივიდა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ფორვარდი **შეინ ლონგი**. მოკლედ, „ვეფხვები" შესამჩნევად გაძლიერდნენ შეტევაში.

**იანვრის მთავარი ტრანსფერები**

**10 იანვარი**

**ტაიეს ბრაუნინგი** (ევერტონი-უიგანი), იჯ.
**ჯერმეინ დეფო** (ტოტენ.-ტორონ.), 6 მლნ ფუნ*.
**ჯიმი კებე** (კრისტალ პალასი-ლიდსი), იჯ.
**ფაბიან რინაუდო** (სპორტინგი-კატანია), იჯ.
**პაბლო პერესი** (ნიუელსი-მალაგა)
**გილერმე ოარო** (დალიანი-ბორდო)

**11 იანვარი**

**ხავიერ აკუნია** (უოტფორდი-ოსასუნა), იჯ.
**ეიდენ მაკგიდი** (სპარტაკი-ევერტონი)

**12 იანვარი**

**ოგუჩი ონიევუ** (ქპრ-შეფილდი), თავ. აგ.

**13 იანვარი**

**მაიკლ ბრედლი** (რომა-ტორონტო), 6 მლნ ფ.
**ხონას გუტიერესი** (ნიუკასლი-ნორვიჩი), იჯ.

**14 იანვარი**

**დარენ ამბროუზი** (ბირმინგემი-აპოლონი), იჯ.
**ჯონ გუიდეტი** (მანჩესტერ სიტი-სტოკი), იჯ.
**გრანტ ჰოლტი** (უიგანი-ასტონ ვილა), იჯ.
**სტივენ აირლენდი** (ასტონ ვილა-სტოკი)
**იოან ტურამ-ულიენი** (სტანდარ.-ჩარლტ.), იჯ.
**ანდრეა დონინელი** (იუვე სტაბია-ჯენოა)
**ხუან აგუდელო** (ნიუ ინგლენდი-სტოკი)
**ანდრეა პეტანია** (სამპდ.-მილანი), იჯ. დასრ.

**15 იანვარი**

**ნიკიცა იელავიჩი** (ევერტონი-ჰალი)
**სტეფან იოჰანსენი** (სტრომგოდ.-სელტიკი)
**ნემანია მატიჩი** (ბენფიკა-ჩელსი), 21 მლნ. ფ.
**ალესანდრო მატრი** (მილანი-ფიორენტ.), იჯ.
**ბრაიან რუისი** (ფულჰემი-პსვ), იჯ.
**კევინ ფილიპსი** (უკლუბო-ლესტერი)
**კრისტიან მაიდანა** (არხ. ხუნი.-ფილადელ.)
**ტომას მანფრედინი** (ჯენოა-სასუოლო)
**ვინჩენცო მარესკა** (სამპდორია-პალერმო)

**16 იანვარი**

**ნათანიელ ჩალობა** (ჩელსი-მიდლსბრო), იჯ.
**ნიკი მეინარდი** (კარდიფი-უიგანი), იჯ.
**ალექს ტელესი** (გრემიო-გალათასარაი)
**მირკო ერამო** (სამპდორია-ემპოლი)
**ანტონიო როსატი** (სასუოლო-ფიორენტინა), იჯ.
**სალიჰ დურსუნი** (ქაისერი-გალათასარაი)
**ლომანა ლუალუა** (ქარაბიუქი-რიზე), თავ. აგ.

**17 იანვარი**

**რაიან ბერტრანდი** (ჩელსი-ასტონ ვილა), იჯ.
**ელდერსონი** (ბრაგა-მონაკო)
**ჟი დონგ-ვონი** (აუგსბურგი-დორტმუნდი), თავ. აგ. 1 ივლისიდან.
**შეინ ლონგი** (ვესტ ბრომვიჩი-ჰალი), 7 მლნ ფ.
**უმით კორკმაზი** (ინგოლშტ.-რიზე), თავ. აგ.

**18 იანვარი**

**ანდერსონი** (მანჩესტერი-ფიორენტინა), იჯარა
**კევინ დე ბრუინი** (ჩელსი-ვოლფსბ.), 16,7 მლნ. ფ.
**მარსელ ტისერანი** (მონაკო-ლანსი), იჯ.
**ჟორჟინიო** (ვერონა-ნაპოლი)

**19 იანვარი**

**პაოლო დე ჩელიო** (იუვენტუსი-ჯენოა), იჯ.
**ქვასიმ ბუიუ** (იუვენტუსი-პსვ), იჯ.

*- დეფო „ტორონტოში" 28 თებერვალს გადავა
**შენიშვნა:** იჯ. - იჯარა; თავ. აგ. - თავისუფალი აგენტი

ნიკოლოზ ნეფარიძე



„ტორონტოს" ახალწვეულები: ჯერმეინ დეფო და მაიკლ ბრედლი

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტური

# მოურინიოს სარეკორდო მეასე

## კიდევ ერთხელ სწორება ფერგიუსონზე

### ტექნიკა ფეხბურთის სამსახურში

„მანჩესტერ სიტიმ" „კარდიფთან" პირველი სახიფათო მომენტი მე-40 წამზე შექმნა: **დავიდ სილვას** გადაცემის შემდეგ **ალვარო ნეგრედოს** შეეძლო გატანა, თუმცა **კევინ მაკნაუტონმა** გარისკა და ბოსნიელს ფეხებში ჩაუვარდა. **ბრედლი ტერნერმა** ბურთი იქაურობას ვერ გაარიდა. სილვას დამატებაზე შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა მახვილი კუთხიდან კარს ველარ დაუმიზნა. მე-14 წუთზე ანგარიში მაინც გაიხსნა. გოლი რამდენიმე ფაქტორის გამო აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. უპირველესად იმიტომ, რომ **ნილ სვორბრიკმა** პრემიერლიგის ისტორიაში პირველად გამოიყენა გოლის ფიქსაციის სისტემა, რომელმაც დაადასტურა, რომ ბურთმა ხაზი გადაკვეთა. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: სეზონის განმავლობაში ჩატარებულ 33-ე შეხვედრაში „ქალაქელებისთვის" ეს მე-100 ბურთი აღმოჩნდა. ამავე რაოდენობის თამაშებში საუკეთესო შედეგი აქამდე 91 გოლი იყო. „სიტი" ერთ გოლს რომ არ დასჯერდებოდა, ამის გამოცნობა იოლი იყო.



შეხვედრის გმირ სამუელ ეტოოს პირველ გოლში მაიკლ კერიკის რიკოშეტი დაეხმარა

მასპინძლებმა სამჯერ კიდევ აიღეს **დევიდ მარშალის** კარი და თანაც სამჯერვე კონტრშეტევაზე. თვეზე მეტი პაუზის შემდეგ ჩემპიონატში დაბრუნებულმა **სერხიო აგუერომ** ჯერ **იაია ტურეს** გაუკეთა პასი, შემდეგ კი უელსელთა დაცვის ბურჯი **სტივენ კოლკერი** გააპამპულა და ისე შეაგდო. „კარდიფის" მხრიდან ერთადერთი ვინც რეალურად ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას **კრეიგ ნუნი** იყო. 26 წლის გარემარბი მთელი თამაშის განმავლობაში აქტიურობდა და ალალად დაიმსახურა კონტრშეტევაზე გატანილი ლამაზი ბურთი. შეხვედრას წერტილი კუთხურის გათამაშების შემდეგ **ფრეიზერ კემპბელმა** დაუსვა.

### ისევ მეორე ტაიმის იმედად

ტრადიცია გვაუწყებს, რომ „არსენალს" მიმდინარე სეზონში გოლების უმეტესობა მეორე ტაიმში გააქვს. წესი არც ამჯერად დარღვეულა. „მეთოფეებმა" შეხვედრის ბედი მეორე 45 წუთში გადაწყვიტეს, არადა ანგარიშის გახსნა დებიუტშივე შეეძლოთ (მე-4 წუთზე), როცა **მესუთ იოზილმა** ზუსტად ის გააკეთა, რასაც მისგან ყველაზე ნაკლებ ველოდით. უხერხულ პოზიციაში მყოფმა პირდაპირ კარში დაარტყა, უკეთეს ვითარებაში მყოფი **ოლივიე ჟირუ** კი მშრალზე დატოვა.

სტუმრებს პირველ ტაიმში ასე თუ ისე გამოსდიოდათ კონტრშეტევაზე თამაში. მომენტები ჰქონდათ **სტივ სიდუელს, აშკან დეჟაგასა** და **ალექსანდრ კაჩანიკლიჩს**. თავის მხრივ შორეული დარტყმებით ბევრს ცდილობდა **სერჟ გნაბრი**. 18 წლის გერმანელი თვალსა და ხელსშუა ყალიბდება მაღალი დონის ფეხბურთელად და მალე ალბათ ძირითადისთვის ბრძოლაში სრულფასოვნად ჩაებმება. მეორე ნახევარში „არსენალმა" დაცვაში ყველა ხვრელი გადაკეტა და მეტოქე საკუთარ ნახევარზე გამოკეტა. ფავორიტმა კუთვნილი სამი ქულა მაინც მიიღო. დიდწილად ეს **სანტი კასორლას** წყალობით მოახერხა. 29 წლის ესპანელმა, ვინც მიმდინარე სეზონში რატომღაც სხვების ჩრდილში აღმოჩნდა, დუბლი შეასრულა. ანგარიშის გაზრდის საუკეთესო შანსი შეცვლაზე შესულ **ლუკას პოდოლსკის** ჰქონდა, მაგრამ **მაარტენ სტეკელენბურგმა** გერმანელს წარმოუდგენელი ძალის დარტყმა აუღო.

### ტყუილი პენალტი

„ეტიჰადის" მატჩისგან განსხვავებით „ენფილდზე" მომუშავე **ჯონათან მოსს** არ ჰქონია შანსი, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებისთვის მიემართა დასახმარებლად, თორემ 43 წლის სანდერლენდელი **ლუის სუარესის** ეფექტური ვარდნის შემდეგ პენალტს ნამდვილად არ დანიშნავდა. სამწუხაროდ, ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციებს მიაჩნიათ, რომ მსაჯის შეცდომა ფეხბურთის ერთგვარი დანამატია, რომელიც სპორტის ამ სახეობას გარკვეულ ხიბლს მატებს. აი, ასეთ საეჭვოდ „მომხიბვლელ შეცდომებს" ეწირება ფეხბურთში სამართლიანობის განცდა.

ბირმინგემელებმა იანვარში ორჯერ ითამაშეს საკუთარ არენაზე და ორჯერვე დამარცხდნენ. **პოლ ლამბერტის** გუნდი სტუმრად უკეთ რომ თამაშობს, დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ „ენფილდზე" ნაჩვენები თამაშის ხარისხი, განსაკუთრებით პირველი ტაიმის, ნაკლებად ჰგავდა ცხრილის შუაში გაჭედილი გუნდისას. სტუმრებს **სიმონ მინიოლეს** კარის აღება 4-5-ჯერ შეეძლოთ. **ანდრეა ვაიმანის** გოლი კლასიკურ კონტრშეტევას მოჰყვა. ავსტრიელმა თამაშგარის ზღვარზე ითამაშა, თუმცა **მარტინ შკრტელი** ჩარჩა და წესი არ დარღვეულა. მეორე გოლი კი **კრისტიან ბენტეკემ** შეაგდო, რაშიც მეკარის უხეში შეცდომა დაეხმარა.

„წითლებმა" ერთი ბურთი პირველ ტაიმშივე გაქვითეს: კარისკენ ზურგით მდგარმა **ჯორდან ჰენდერსონმა დენიელ სტარიჯი** ქუსლით გაკეთებული პასით **ბრედ გუზანთან** პირისპირ დატოვა. თავდამსხმელს საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ გასჭირვებია. სუარესს 2:2-ის შემდეგ რამდენჯერმე შეეძლო გამარჯვების ბურთის გატანა. მაგალითად ურუგვაელის შორეული საჯარიმოც კმარა, რომელიც გუზანის კარს სულ მცირედით ასცდა.

### ფრანგული სერია გრძელდება

„აპტონ პარკზე" ოთხი გოლი გავიდა და ერთი ამდენი კიდევ უნდა გასულიყო. უცნაური იყო, რომ ამ მხრივ ყველაზე მეტად სწორედ გოლის ავტორები სცოდავდნენ. **ლოიკ რემიმ** მარტივ სიტუაციაში კი გაიტანა, თუმცა უფრო მარტივში ვერას გახდა. ასე მოიქცა **კარლტონ კოულიც**, ვინც 1:2-ზე სიტუაციას ბოლომდე არ გამოეთიშა და **მაიკ უილიამსონს** საკუთარი კარი დაალაშქრინა. მოგვიანებით ყველასგან მიტოვებულმა კოულმა ხუთ მეტრიდან ერთი შეხებით დარტყმა გადაწყვიტა და ტექნიკამ უმტყუნა. არადა, თავდამსხმელს დამუშავებასა და დამიზნებას არც არავინ უშლიდა. ერთხელ **იოან კაბაიმაც** ვერ გაისწორა სამიზნე, თუმცა რთული სიტუაციიდან. ორჯერ კი 28 წლის ფრანგი იდეალურად გაისარჯა. დამატებულ დროში გატანილი საჯარიმო „კაჭკაჭების" ფრანგული ლეგიონისთვის მიმდინარე სეზონში 29-ე აღმოჩნდა პრემიერლიგაში. სულ კი „ნიუკასლს" 32 გოლი აქვს ანგარიშზე.

### მიწას გაკრული ჩემპიონი

შეიძლება ყურს უცხოდ ხვდება, თუმცა „ჩელსი" „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის წინ აშკარა ფავორიტად განიხილებოდა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა სტატუსი გაამართლა და ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი მიწას გააკრა. „განსაკუთრებულმა კაცმა" უპრინციპულეს მეტოქესთან რეკორდული მეასე მოგება იზეიმა პრემიერლიგაში. პორტუგალიელს ამისთვის მხოლოდ 142 თამაში დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ **ალექს ფერგიუსონმა** ამ ბარიერს 162 მატჩის შემდეგ უწია, ვენგერმა 179-ის, **რაფა ბენიტესმა** - 181-ის, წუხანდელმა მეტოქე **დევიდ მოიესმა** კი სულაც - 248-ის. მოუ მეთხუთმეტე მწვრთნელია, ვინც 100 მოგება ჩაიწერა აქტივში. „ასიანთა კლუბი", ბუნებრივია, ლეგენდარულმა შოტლანდიელმა გახსნა, მეორე იქ ვენგერი შევიდა, მესამე - **ჰარი რედნაპი**. რაკი სტატისტიკაზე ამდენი ვილაპარაკეთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მოიესს ჯერ კიდევ „ევერტონში" მუშაობისას ტრადიციული „დიდი ოთხეულის" (მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი, ლივერპული, არსენალი) წარმომადგენლებთან სტუმრად თამაში ძალიან უჭირდა. სერია გრძელდება „ეშმაკების" თავკაცის პოსტზეც. 48-ე შეხვედრაში მოიესს 18 ფრე და 30-ე წაგება დაუგროვდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## შოტლანდია

### პრემიერშიპი. XXIII ტური

**სელტიკი-მოზერველი** 3:0

გოლები: 1:0 კომონსი (5), 2:0 კომონსი (39-პენ), 3:0 მაკმანუსი (68-ს.კ-ში)

გაძევება: სტოუკსი (80) -

**აბერდინი-ინვერნესი** 0:1

**ჰიბერნიანი-სტ. მირენი** 2:3

**პატრიკი-კილმარნოკი** 1:1

გაძევება: სინკლერი (89) -

**როს ქაუნთი-დანდი იუნ** 3:0

**სტ. ჯონსტონი-ჰართსი** 3:3

გაძევება: ანდერსონი (21), მანუსი (90) - სტივენსონი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 21 | 18 | 3 | 0 | 48-12 | 57 |
| 2. აბერდინი | 23 | 14 | 2 | 7 | 33-20 | 44 |
| 3. მოზერველი | 22 | 14 | 1 | 7 | 32-28 | 43 |
| 4. ინვერნესი | 21 | 11 | 4 | 6 | 29-19 | 37 |
| 5. დანდი იუნ. | 23 | 9 | 7 | 7 | 39-27 | 34 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 22 | 8 | 5 | 9 | 30-26 | 29 |
| 7. ჰიბერნიანი | 23 | 7 | 7 | 9 | 21-23 | 28 |
| 8. სტ. მირენი | 22 | 6 | 5 | 11 | 23-38 | 23 |
| 9. კილმარნოკი | 22 | 6 | 4 | 12 | 26-35 | 22 |
| 10. როს ქაუნთი | 22 | 6 | 3 | 13 | 26-39 | 21 |
| 11. პატრიკი | 22 | 4 | 8 | 10 | 21-37 | 20 |
| 12. ჰართსი | 23 | 3 | 5 | 15 | 18-42 | -1 |

**სანდერლენდი-საუთჰემპტონი 2:2**

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (4), 0:2 ლოვრენი (31), 1:2 ბორინი (32), 2:2 ე. ჯონსონი (71)

**სანდერლენდი (4-1-4-1):** მანონე - ბერდსლი, ოში, ბრაუნი, ალონსო - კატერმოული (61. გარდნერი) - ჯონსონი, ლარსონი (62. კოლბეკი), კი, ბორინი - ალტიდორი (71. ს. ფლეტჩერი)

**საუთჰემპტონი (4-4-2):** ბორუცი - ჩემბერსი, ფონტე, ლოვრენი (88. იოშიდა), შოუ - დევისი, კორკი, შნაიდერლინი, ლალანა (73. რამირესი - 87. ვორდ-პრაუსი) - ლამბერტი, როდრიგესი

**გაფრთხილება:** კატერმოული, კი -

**კარში დარტყმა:** 10-17 (5-8) **კუთხური:** 4-7 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 8-8 **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 38 115

**არსენალი-ფულჰემი 2:0**

**გოლები:** 1:0 კასორლა (57), 2:0 კასორლა (62)

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - სანია, მერტეზაკერი, კოშელნი, მონრეალი - ფლამინი, უილშირი - გნაბრი (71. პოდოლსკი), იოზილი (86. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), კასორლა - ჟირუ

**ფულჰემი (4-4-1-1):** სტეკელენბურგი - რიტერი, ბარნი, ჰანგელანდი, რიჩარდსონი - სიდუელი, პარკერი, დეჟაგა (68. ბენტი), კაჩანიკლიჩი (86. კასამი) - დემპსი - ბერბატოვი

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 22-8 (8-2) **კუთხური:** 4-4 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 5-7 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 60 000

**პალასი-სტოკი 1:0**

**გოლი:** 1:0 პანჩეონი (51)

**პალასი (4-4-1-1):** სპერონი - მარიაპა, გებიდონი, დელეინი, პარი - ჟედინაკი, ვორდი, პანჩეონი, ბოლასი (86. უილბრეჰემი) - გედიურა (68. ოკიფი) - შამახი (86. მოქსი)

**სტოკი (4-2-3-1):** ბატლენდი - კემერონი, შოუკროსი, უილსონი, პიტერსი - უელანი (58. აირლანდი), ნზონზი - უოლტერსი (79. გუიდეტი), ადამი, ასაიდი (72. არნაუტოვიჩი) - კრაუჩი

**გაფრთხილება:** - ნზონზი, არნაუტოვიჩი

**კარში დარტყმა:** 12-17 (6-2) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 9-13 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 24 440

**სიტი-კარდიფი 4:2**

**გოლები:** 1:0 ჯეკო (14), 1:1 ნუნი (29), 2:1 ნავასი (33), 3:1 ი. ტურე (76), 4:1 აგუერო (79), 4:2 ფ. კემპბელი (90+3)

**სიტი (4-4-2):** ჰარტი - საბალეტა, კომპანი, დემიკელისი, კოლაროვი - ი. ტურე, ხ. გარსია, ნავასი (83. კლიში), დ. სილვა (80. მილნერი) - ნეგრედო (64. აგუერო), ჯეკო

**კარდიფი (4-4-1-1):** მარშალი - ტეოფილ-კეტრინი, კოლკერი, ტერნერი, მაკნაუტონი (68. ჯონი) - მედელი, გუნარსონი (78. ეიკრემი), ნუნი, უიტინგემი (69. ბელამი) - მატჩი - კემპბელი

**გაფრთხილება:** ნეგრედო, კოლაროვი -

**კარში დარტყმა:** 24-7 (9-6) **კუთხური:** 10-7 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 6-5 **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 47 213

**ნორვიჩი-ჰალი 1:0**

**გოლი:** 1:0 რ. ბენეტი (87)

**ნორვიჩი (4-2-3-1):** რადი - რ. მარტინი, რ. ბენეტი, ბასონგი, ოლსონი - სნოდგრასი, ფერი, ჯონსონი, ხონასი (68. პილკინგტონი) - ვან ვოლფსვინკელი (80. ბეკიო), ჰუპერი

**ჰალი (3-1-4-2):** მაკგრეგორი - ჩესტერი (14. ფიგეროა), ბრუსი, დევისი - ჰადლსტოუნი - ელ-მუჰამადი, ლივერმორი, კორენი (82. ფრაიატი), როსენიორი - საგბო (67. ბოიდი), იელავიჩი

**გაფრთხილება:** ჯონსონი - ჰადლსტოუნი, როსენიორი, ფიგეროა

**გაძევება:** - ჰადლსტოუნი (89)

**კარში დარტყმა:** 25-10 (4-0) **კუთხური:** 10-8 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 8-16 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 26 655

**ვესტ ჰემი-ნიუკასლი 1:3**

**გოლები:** 0:1 კაბაი (16), 0:2 რემი (33), 1:2 უილიამსონი (45+2-ს.კ-ში), 1:3 კაბაი (90+5)

**ვესტ ჰემი (4-2-3-1):** ადრიანი - ტეილორი, ჯონსონი, კოლინზი, რაცი - ნოუბლი, დიამე (62. კეროლი) - კოლისონი (46. მორისონი), დაუნინგი, ჯარვისი (73. ჯ კოული) - კ. კოული

**ნიუკასლი (4-2-3-1):** კრული - იანგა-მბივა, უილიამსონი, ს. ტეილორი, სანტონი (74. დამეტი) - ტიოტე, ანიტა (60. შ. ამეობი) - სისოკო, კაბაი, გუფრანი - რემი (78. ბენ არფა)

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 11-19 (2-9) **კუთხური:** 4-3 **თამაშგარე:** 4-3 **ჯარიმა:** 9-6 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 33 343

**ლივერპული-ასტონ ვილა 2:2**

**გოლები:** 0:1 ვაიმანი (25), 0:2 ბენტეკე (36), 1:2 სტარიჯი (45+2), 2:2 ჯერარდი (53-პენ)

**ლივერპული (4-4-2):** მინიოლე - ჯონსონი, კ. ტურე, შკრტელი, სისოხო - ჰენდერსონი, სტერლინგი, ჯერარდი, კოუტინიო (46. ლეივა - 66. ალენი) - სტარიჯი, სუარესი

**ასტონ ვილა (4-3-3):** გუზანი - ბაკუნა, ვესტვუდი, ვლაარი, ბერტრანი (82. ლუნა) - კლარკი, ელ აჰმადი (62. სილა), დელფი - ვაიმანი, აგბონლაჰორი (49. ჰოლტი), ბენტეკე

**გაფრთხილება:** სტერლინგი - კლარკი, ელ აჰმადი, ბერტრანი, ბაკუნა

**კარში დარტყმა:** 14-12 (6-3) **კუთხური:** 2-3 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 14-18 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 44 737

**სუონსი-ტოტენჰემი 1:3**

**გოლები:** 0:1 ადებაიორი (35), 0:2 ჩიკო (53-ს.კ-ში), 0:3 ადებაიორი (71), 1:3 ბონი (78)

**სუონსი (4-3-2-1):** ტრემელი - რანხელი, ჩიკო, უილიამსი, დევისი - ამატი, შელვი (51. ლამა), ბრიტონი - რუტლეჯი, პოსუელო - ბონი

**ტოტენჰემი (4-2-3-1):** ლორისი - უოლკერი, დოუსონი, კირიკეში, როუზი - დემბელე, ბენტალები - ლენონი (79. ნაუტონი), ერიქსენი, შადლი (67. სიგურდსონი) - ადებაიორი

**გაფრთხილება:** ამატი, ბონი - როუზი

**კარში დარტყმა:** 13-11 (3-5) **კუთხური:** 8-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 6-11 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 20 769

**ჩელსი-იუნაიტედი 3:1**

**გოლები:** 1:0 ეტოო (17), 2:0 ეტოო (45), 3:0 ეტოო (49), 3:1 ერნანდესი (78)

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ასპილიკუეტა, ტერი, კეჰილი, ივანოვიჩი - ლუისი, რამირესი - აზარი, ოსკარი (68. მიკელი), ვილიანი (86. მატიჩი) - ეტოო (79. ტორესი)

**იუნაიტედი (4-4-1-1):** დე ხეა - რაფაელი, ვიდიჩი, ევანსი, ევრა (52. სმოლინგი) - ჯონსი, კერიკი, ვალენსია, იანგი (66. ერნანდესი) - იანუზაი - უელბეკი

**გაფრთხილება:** ლუისი - იანგი, ვალენსია, რაფაელი

**გაძევება:** - ვიდიჩი (90+1)

**კარში დარტყმა:** 13-10 (6-4) **კუთხური:** 5-4 **თამაშგარე:** 2-2 **ჯარიმა:** 15-21 **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 41 615

### 20 იანვარი

**ბრომვიჩი-ევერტონი** 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 22 | 16 | 3 | 3 | 43-19 | 51 |
| 2. სიტი | 22 | 16 | 2 | 4 | 63-25 | 50 |
| 3. ჩელსი | 22 | 15 | 4 | 3 | 43-20 | 49 |
| 4. ლივერპული | 22 | 13 | 4 | 5 | 53-28 | 43 |
| 5. ტოტენჰემი | 22 | 13 | 4 | 5 | 29-26 | 43 |
| 6. ევერტონი | 21 | 11 | 8 | 2 | 34-19 | 41 |
| 7. იუნაიტედი | 22 | 11 | 4 | 7 | 36-27 | 37 |
| 8. ნიუკასლი | 22 | 11 | 3 | 8 | 32-28 | 36 |
| 9. საუთჰემპტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 29-25 | 31 |
| 10. ასტონ ვილა | 22 | 6 | 6 | 10 | 22-29 | 24 |
| 11. ჰალი | 22 | 6 | 5 | 11 | 22-28 | 23 |
| 12. ნორვიჩი | 22 | 6 | 5 | 11 | 18-35 | 23 |
| 13. სტოკი | 22 | 5 | 7 | 10 | 22-36 | 22 |
| 14. ბრომვიჩი | 21 | 4 | 9 | 8 | 23-28 | 21 |
| 15. სუონსი | 22 | 5 | 6 | 11 | 27-33 | 21 |
| 16. პალასი | 22 | 6 | 2 | 14 | 14-31 | 20 |
| 17. ფულჰემი | 22 | 6 | 1 | 15 | 22-48 | 19 |
| 18. ვესტ ჰემი | 22 | 4 | 6 | 12 | 22-33 | 18 |
| 19. სანდერლენდი | 22 | 4 | 6 | 12 | 21-36 | 18 |
| 20. კარდიფი | 22 | 4 | 6 | 12 | 17-38 | 18 |

**ბომბარდირები:** 22 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 11 - ლოიკ რემი (ნიუკასლი), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი), დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

### მომდევნო ტური

28 იანვარი: **მანჩესტერ იუნაიტედი-კარდიფი, ნორვიჩი-ნიუკასლი, საუთჰემპტონი-არსენალი, სუონსი-ფულჰემი, კრისტალ პალასი-ჰალი, ლივერპული-ევერტონი**

29 იანვარი: **ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი, ჩელსი-ვესტ ჰემი, სანდერლენდი-სტოკი, ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი**

### ჩემპიონშიპი. XXVI ტური

**ლიდსი-ლესტერი** 0:1

გოლები: 0:1 ნაჯენტი (87)

**ბორნმუთი-უოტფორდი** 1:1

გოლები: 0:1 ანჯელა (45+2), 1:1 გრებანი (62-პენ)

გაძევება: - ანჯელა (61)

**ბარნსლი-ბლექპული** 2:0

გოლები: 1:0 ოგრეიდი (45+4-პენ), 2:0 ოგრეიდი (48)

**ბირმინგემი-იოვილი** 0:2

გოლები: 0:1 ჰეიტერი (12), 0:2 ჰეიტერი (19)

**ბარნლი-შეფილდ უენ.** 1:1

გოლები: 1:0 ვოუკსი (43), 1:1 მაგირე (45)

**დერბი-ბრაიტონი** 1:0

გოლი: 1:0 ბემფორდი (76)

**დონკასტერი-უიგანი** 3:0

გოლები: 1:0 ბრაუნი (7), 2:0 კოპინგერი (52), 3:0 ბრაუნი (69-პენ)

**მიდლსბრო-ჩარლტონი** 1:0

გოლი: 1:0 ლედესმა (16)

გაძევება: - უიგინსი (84)

**მილუოლი-იპსვიჩი** 1:0

გოლი: 1:0 ფრედერიკსი (40)

**ნოტინგემი-ბლექბერნი** 4:1

გოლები: 1:0 ლენსბერი (15-პენ), 2:0 ლენსბერი (34-პენ), 2:1 მარშალი (37), 3:1 პატერსონი (72), 4:1 რიდი (90+5)

**ქუინზ პარკი-ჰადერსფილდი** 2:1

გოლები: 1:0 ოსტინი (55), 2:0 უელსი (68), 2:1 ოსტინი (79)

**რედინგი-ბოლტონი** 7:1

გოლები: 1:0 ლე ფონდრე (12), 2:0 ლე ფონდრე (28), 3:0 ლე ფონდრე (33), 4:0 პოგრებნიაკი (41), 5:0 გორკში (60), 6:0 აკპანი (74), 7:0 ბლექმენი (78), 7:1 ნგოგი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლესტერი | 26 | 18 | 3 | 5 | 47-27 | 57 |
| 2. ქუინზ პარკი | 26 | 15 | 7 | 4 | 31-16 | 52 |
| 3. ბარნლი | 26 | 14 | 9 | 3 | 39-20 | 51 |
| 4. დერბი | 26 | 14 | 5 | 7 | 50-34 | 47 |
| 5. ნოტინგემი | 26 | 11 | 11 | 4 | 39-26 | 44 |
| 6. რედინგი | 26 | 11 | 8 | 7 | 39-30 | 41 |
| 7. ბრაიტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 30-23 | 39 |
| 8. ბლექბერნი | 26 | 10 | 7 | 9 | 32-32 | 37 |
| 9. მიდლსბრო | 26 | 9 | 9 | 8 | 41-33 | 36 |
| 10. იპსვიჩი | 26 | 9 | 9 | 8 | 37-31 | 36 |
| 11. უიგანი | 25 | 10 | 6 | 9 | 28-26 | 36 |
| 12. ლიდსი | 26 | 10 | 5 | 11 | 35-35 | 35 |
| 13. ჰადერსფილდი | 26 | 9 | 7 | 10 | 35-31 | 34 |
| 14. ბლექპული | 26 | 8 | 8 | 10 | 25-33 | 32 |
| 15. უოტფორდი | 25 | 7 | 10 | 8 | 36-31 | 31 |
| 16. ბორნმუთი | 26 | 8 | 7 | 11 | 32-45 | 31 |
| 17. ბირმინგემი | 26 | 7 | 8 | 11 | 30-32 | 29 |
| 18. ბოლტონი | 26 | 6 | 10 | 10 | 31-42 | 28 |
| 19. შეფილდ უენ. | 25 | 5 | 11 | 9 | 32-33 | 26 |
| 20. მილუოლი | 26 | 6 | 7 | 13 | 27-50 | 25 |
| 21. ჩარლტონი | 25 | 5 | 9 | 11 | 22-31 | 24 |
| 22. დონკასტერი | 26 | 6 | 6 | 14 | 22-43 | 24 |
| 23. იოვილი | 25 | 5 | 5 | 15 | 21-38 | 20 |
| 24. ბარნსლი | 25 | 4 | 8 | 13 | 23-42 | 20 |

**ბომბარდირები:** 17 - როს მაკორმაკი (ლიდსი), 16 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), 15 - დევიდ ნაჯენტი (ლესტერი), დენი ინგსი (ბარნლი)

### ლიგა 1. XXVII ტური

**ბრისტოლ ს-მილტონი 2:2, კარლაისლი-კოლჩესტერი 2:4, ქრიუ-ლეიტონი 1:2, ჯილინგემი-სუინდონი 2:0, პიტერბორო-ტრანმერი 3:0, პორტ ვეილი-ოლდჰემი 1:0, პრესტონი-ქოვენთრი 1:1, შეფილდ იუნ-ბრედფორდი 2:2, შრიუსბერი-როტერჰემი 0:3, სტივენეიჯი-ნოთს ქაუნთი 0:1, უოლსოლი-ბრენტფორდი 1:1**

### ლიგა 2. XXVII ტური

**ბერი-ბარტონი 0:0, ჩელტენჰემი-აკრინგტონი 1:2, ფლიტვუდი-ჰარტლპული 2:0, პორტსმუთი-მენსფილდი 1:1, როჩდეილი-პლიმუთი 3:0, სკანტორპი-უიმბლდონი 0:0, საუთენდი-ჩესტერფილდი 3:0, უიკომბი-ოქსფორდი 0:1, იორკი-ბრისტოლ რ. 0:0**

*ექსეტერი-მოურკემბი გადაიდო*

● გერმანიის ნაკრები



# რას უპირებს ლიოვი ლამს?

## კაპიტანი საყრდენ ნახევარმცველად? იოგი ამაზე სერიოზულად ფიქრობს

გერმანიის ნაკრების თავკაცი იოახიმ ლიოვი ფიქრებით უკვე ბრაზილიაშია

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** წელს უდიდესი მისია აკისრია და ფაქტია, რომ გერმანიაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა იქნება. 53 წლის ბუნდესმწვრთნელის მნიშვნელობა პიკს ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მიაღწევს, ჩვენი გერმანელი კოლეგები კი უკვე ხუმრობენ - იოგი სრულიად გერმანიისთვის თვით კანცლერ **ანგელა მერკელზე** მნიშვნელოვანიც კი იქნებაო. იმიტომ, რომ იოგიმ უნდა შეძლოს ის, რაც ახლო წარსულში მისმა წინამორბედებმა, **ბერტი ფოგტსმა, ერიხ რიბეკმა, რუდი ფიოლერმა** და **იურგენ კლინსმანმა** ვერ მოახერხეს - რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონობას ვგულისხმობთ.

გუშინ ლიოვმა მიუნხენში გერმანიის ნაკრების 26 ფეხბურთელი ორდღიანი სარეკლამო გადაღებებისთვის შეკრიბა. სიას მხოლოდ ინგლისში მოღვაწე ფეხბურთელები, **მესუთ იოზილი, პერ მერტეზაკერი** და **ლუკას პოდოლსკი** აკლდნენ. რაკი სარეკლამო კამპანიაც ფეხბურთის ნაწილია, გერმანიის ნაკრების ამ ორდღიან შეკრებას შეგვიძლია, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდის სასტარტო ღონისძიება ვუწოდოთ - ბუნდესგუნდი წელს ხომ პირველად შეიკრიბა.

*„აქ ყველა ის მოთამაშეა თავმოყრილი, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იასპარეზეს და საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით დაძლევაში თავიანთი წვლილი შეიტანეს. მიუხედავად ამისა, გადაჭრით მაინც ვერ ვიტყვი იმას, რომ საბოლოო შემადგენლობას სწორედ ამ სიიდან ავარჩევ. სეზონის პირველ ნახევარში რამდენიმე ახალგაზრდა და სწორედ მომავალი მუნდიალისთვის პერსპექტიული მოთამაშეები შევნიშნე და მათაც აქვთ ბრაზილიაში მოხვედრის შანსი,“* - აცხადებს ლიოვი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, მაგრამ იქვე დასძენს: *„სახელების ჩამოთვლას ნუ მომთხოვთ. არ მინდა, რომ ეს ფეხბურთელები წნეხის ქვეშ მოვაქციო.“*

სამაგიეროდ, ლიოვმა საკმაოდ დიდხანს ისაუბრა **სამი ხედირაზე**. როგორც იცით, „რეალის“ 26 წლის საყრდენი ნახევარმცველი ტრავმირებულია და მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშაა. გუშინ ხედირაც ბუნდესგუნდელებთან ერთად იყო, ლიოვმა თქვა: *„ხედირას სამი დღის წინაც ვესაუბრე და საერთოდ, ხშირად ვეკონტაქტები. თავს კარგად გრძნობს, მსუბუქ დატვირთვებს უკვე უძლებს. იმედი მაქვს, რომ სამის გამოჯანმრთელების პროცესი ასევე სტაბილურად გაგრძელდება. თუ ასე მოხდა, ხედირა მსოფლიოს ჩემპიონატამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს და ბრაზილიაში აუცილებლად წამოვა.“*



კითხვაზე, რამდენად აქვს ამის იმედი და არსებობს თუ არა კონკრეტული თარიღი, როცა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელი მოთამაშე აუცილებლად ბოლომდე გამოჯანმრთელებული უნდა იყოს, გერმანიის ნაკრების თავკაცი ასე პასუხობს: *„დედლაინი არ არსებობს, მაგრამ ცხადია, რომ სადღაც აპრილში ფეხბურთელი უკვე მწყობრში უნდა იყოს. მუნდიალზე რთული იქნება ისეთი ფეხბურთელის წაყვანა, რომელსაც მანამდე არცერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია. მინდა, რომ ბრაზილიაში მხოლოდ საუკეთესო ფორმაში მყოფი ბიჭები წამოვიდნენ და იმედი მაქვს, რომ ხედირაც მათ შორის იქნება.“*

„რეალის“ ფეხბურთელისთვის ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ თუ მუნდიალზე ასპარეზობა უნდა, ამ სეზონში „რეალის“ მაისურით თამაშების ჩატარება კიდევ უნდა მოასწროს. თუ ხედირა დროულად ვერ გამოჯანმრთელდება და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს, ლიოვის 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში მისი ადგილის დაკავება კაპიტან **ფილიპ ლამს** შეუძლია, რომელსაც ბოლო დროს „ბაიერნშიც“ საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებენ.

გაგახსენებთ, რომ ამას წინათ ლამმა ლიოვს სთხოვა, იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატამდე გამაგებინო, რომელ პოზიციაზე აპირებ ჩემს გამოყენებასო. იოგის პასუხი ასეთია: *„ფილიპს უკვე შევუთანხმდი იმაზე, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გადავწყვეტთ, რომელ პოზიციაზე ითამაშებს ლამი ბრაზილიაში. ცხადია, ეს ალტერნატივებზეცაა დამოკიდებული. არ მინდა, რომ ლამს პოზიცია ვუცვალო. ასე მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის დროს მოვიქცევი. ერთი სიტყვით, ლამს მუნდიალის დაწყებამდე ეცოდინება, რომელ პოზიციაზე ვგეგმავ მის გამწესებას.“*

გამოდის, რომ ლიოვი კაპიტნის საყრდენ ნახევარმცველობას არ გამორიცხავს.

ხსენებულ ინტერვიუში ლიოვმა მესუთ იოზილის პროგრესზეც ისაუბრა - ბუნდესმწვრთნელის აზრით, „არსენალში“ გადასვლის შემდეგ მესუთს მეორე სუნთქვა გაეხსნა და კიდევ უფრო უკეთესად ათამაშდა. გერმანიის ნაკრების დამრიგებელს ყველაზე მეტად ის უხარია, რომ „არსენალში“ გადასვლის შემდეგ იოზილს თავდაჯერება მოემატა.

ალსანიშნავია, რომ იოგი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის პირველი წრის მატჩებს ძალიან ხშირად ესწრებოდა (გაცილებით ხშირად, ვიდრე ადრე) და ამბობს: *„დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიის ჩემპიონატში პირველობისთვის ბრძოლის დაძაბულობა დიდხანს შენარჩუნდება. ისე, ჩემთვის ბუნდესლიგაზე მნიშვნელოვანი ჩემპიონთა ლიგაა, რადგან ამ ტურნირს ფეხბურთელების დამატებით მოტივირება შეუძლია, მოტივაცია კი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ყველაზე მეტად გვჭირდება.“*

სხვა მხრივ, გერმანიის ნაკრების დამრიგებელი უკვე ინტენსიურად ფიქრობს ბრაზილიაზე, სადაც თავის შეგირდებს 8 ივნისს ჩაიყვანს და სანტო ანდრეს ბანაკში დაბინავდება. ალსანიშნავია, რომ იქ ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესია, თუმცა ლიოვს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ბრაზილიელები ზაფხულამდე ყველაფერს მოასწრებენ.

● ბაიერნი

# ხანდახან ბაიერნიც აგებს ხოლმე

## გვარდიოლა: ზალცბურგმა კარგი ლექცია ჩაგვიტარა



„ბაიერნი“ „ზალცბურგთან“ 0:3 დამარცხდა, პეპ გვარდიოლა იმედგაცრუებულია

მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი იყო, „ბაიერნის“ ქომაგები „ზალცბურგთან“ 0:3-ის შემდეგ მაინც შოკირებულები იყვნენ. რეკორდმაისტერი, რომელსაც ბუნდესლიგაში 41-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, ავსტრიულ კლუბთან განადგურდა. მაინც რა მოხდა ამ შეხვედრაში? რატომ წააგო „ბაიერნმა“ ასეთი ანგარიშით?

*„ზალცბურგელებმა კარგი ლექცია ჩაგვიტარეს. ყველა ამბობდა, „ბაიერნი“ ყოველთვის იგებსო, ახლა კი ყველა მიხვდება, რომ დაუმარცხებელი არც „ბაიერნია“. ეს თამაში იმიტომ წავაგეთ, რომ მეტოქემ ჩვენზე გაცილებით უკეთ ითამაშა. ჩვენ თამაში სამი მცველით ვცადეთ, რადგან ესეც ერთ-ერთი ვარიანტია, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება დაგვჭირდეს. თუმცა მარცხს მხოლოდ ექსპერიმენტულ ტაქტიკას ვერ დავაბრალებთ,“* - აღნიშნა მატჩის შემდეგ მიუნხენური გრანდის დამრიგებელმა **ხოსეპ გვარდიოლამ**.

ალსანიშნავია, რომ გერმანიის ჩემპიონატის განახლებამდე ეს „ბაიერნისთვის“ უკანასკნელი ტესტ-მატჩი იყო - პარასკევს რეკორდმაისტერი „გლადბახს“ უნდა ესტუმროს. ისიც უნდა ვთქვათ, რომ პეპმა რამდენიმე ვარსკვლავი დაასვენა: **ფილიპ ლამისა** და **ფრანკ რიბერის** გარდა, არც ტრავმირებულ **ბასტიან შვაინშტაიგერს** და ახლახან მომჯობინებულ **არიენ რობენს** უთამაშიათ. მთავარი ექსპერიმენტი კი მაინც სამი მცველით თამაში გახლდათ - ნახევრად მემარცხენე **ჟერომ ბოატენგი** გახლდათ, ცენტრში **დანტე** მოქმედებდა, ნახევრად მემარჯვენე მცველის ფუნქციას კი **ხავი მარტინესი** ასრულებდა და ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა.

● ტრანსფერი

# მგლებმა დე ბრუინი წარადგინეს



კევინ დე ბრუინი

ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი ამ პერიოდში ჯერჯერობით „ვოლფსბურგმა“ სრულყო: გუშინ „მგლებმა“ ლონდონის „ჩელსიდან“ შეძენილი ნახევარმცველი **კევინ დე ბრუინი** ოფიციალურად წარადგინეს და 22 წლის ფეხბურთელმა ახალ თანაგუნდელებთან პირველად ივარჯიშა. ბელგიელმა „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტი 2019 წლამდე გააფორმა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „ჩელსიმ“ დე ბრუინის სანაცვლოდ 17.5 მილიონი ევრო უკვე მიიღო და თუ „ვოლფსბურგი“ ევროტურნირებზე მოხვდება, ფასი 22 მილიონამდე გაიზრდება. რაც შეეხება ხელფასს: კევინი „ვოლფსბურგში“ წელიწადში 4.5 მილიონ ევროს მიიღებს. *„მიხარია, რომ აქ ვარ და მიხარია, რომ ფეხბურთს ვითამაშებ,“* - განაცხადა დე ბრუინმა.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

● დორტმუნდის ბორუსია

# კლოპმა რანოკიას დაუმიზნა!

## ბორუსიამ ზაფხულისთვის კორეელი ჟი გაიფორმა

იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზე მილანის „ინტერის“ 25 წლის მცველი **ანდრეა რანოკიაა**. დორტმუნდელებს დაცვაში ძალიან უჭირთ, რადგან **მატს ჰუმელსი** და **ნევენ სუბოტიჩი** ტრავმირებულები არიან. სწორედ ამიტომ აიყვანა კლოპმა უკლუბოდ დარჩენილი **მანუელ ფრიდრიხი**, მაგრამ ეს უკანასკნელი იურგენის მოთხოვნებს უმაღლეს დონეზე ვერ აკმაყოფილებს. ამიტომაც უნდა კლოპს 1.95 მეტრი სიმაღლის იტალიელი მცველი.



მოირგებს ანდრეა რანოკია „დორტმუნდის“ ფორმას?

ანდრეა რანოკიას ფასი „ტრანსფერმარკტზე“ 16.5 მილიონი ევროა. „დორტმუნდისთვის“ კარგი ის არის, რომ რანოკიას ჩემპიონთა ლიგაში თამაში შეეძლება. პრობლემა: მილანელებს მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო უნდათ, დორტმუნდელები კი მაქსიმუმ 9 მილიონის გადახდაზე არიან ყაბულს.

აქვე გეტყვით, რომ „ბორუსიამ“ ზაფხულისთვის სამხრეთ კორეელი **დონ-ვონ ჟის** ტრანსფერი სრულყო, რომელიც ახლახან დაბრუნდა „აუგსბურგში“. როგორც ირკვევა, 22 წლის შემტევი ნახევარმცველი „აუგსბურგში“ სეზონის ბოლომდე არენდით ითამაშებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მოლდოვა-შვედეთი | 1:2 |
| პოლონეთი-ნორვეგია | 3:0 |
| ლეხი-ლეჩია | 1:0 |
| ნორდსიელანდი-ფრემი | 3:0 |
| შახტარი-ბრონდბიუ | 1:0 |
| ჯაზი-იუვიასკიულა | 1:2 |
| გიოთენბორგი-ციურიხი | 0:1 |
| სტ. პოლტენი-რიდი | 0:1 |
| იარო-ვიფა | 5:0 |
| დარმშტადტი-ზანდჰაუზენი | 2:1 |
| ბეშიქთაში-სპლიტი | 2:2 |
| ჩუზენა-კიასო | 2:3 |
| აალენი-თუნი | 0:1 |
| მაინცი-ესბერგი | 2:0 |
| პესკარა-ლუგანო | 1:1 |
| კიოლნი-შალკე | 2:1 |
| ფიურტი-აუგსბურგი | 0:2 |
| ჰამბურგი-ბაზელი | 4:2 |
| კაიზერი-დორტმუნდი | 1:3 |
| ნიურნბერგი-გრასჰოპერსი | 1:0 |
| ბოხუმი-ბორუსია (მ) | 0:2 |
| ზალცბურგი-ბაიერნი | 3:0 |
| ლუცერნი-სტიაუა | 1:0 |
| ფენერბაჩე-ნეფთჩი | 0:0 |
| ჰოფენჰაიმი-ქასიმფაშა | 4:1 |
| ქაისერი-რუბინი | 0:2 |
| მაინცი-ზაარბრიუკენი | 3:0 |
| ობერჰაუზენი-შალკე | 1:0 |
| სტ. პაული-შლიონსკი | 0:0 |
| სერვეტი-ლასი | 1:0 |
| ვასლუნდი-აიკ | 2:5 |
| აინტრახტი-ვისლა | 2:0 |

## ინგლისი

### კონფერენსი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ჩესტერი-ბარნეტი | 2:1 |
| გრიმსბი-გეიტსჰედი | 2:2 |
| ჰალიფაქსი-კემბრიჯი | 1:1 |
| ჰერეფორდი-საუთპორტი | 4:1 |
| ჰაიდი-ფორესტ გრინი | 2:6 |
| ნანიტონი-მაკლსფილდი | 1:0 |
| სალისბერი-დარტფორდი | 1:0 |
| უელინგი-უოკინგი | 3:0 |
| ალდერშოტი-კიდერმინსტერი | გადაიდო |
| ბრენტრი-ლინკოლნი | გადაიდო |
| ლუტონი-რექსჰემი | გადაიდო |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| კაენი-ლავალი | 2:1 |
| შატორუ-ანჟერსი | 0:1 |
| კლერმონი-ჰავრი | 0:1 |
| ისტრი-ბრესტი | 3:1 |
| ნანსი-კა ბასტია | 0:1 |
| ნიმი-ოსერი | 2:2 |
| ნიორი-ტური | 3:1 |
| არლი-ტრუა | 3:0 |
| ლანსი-დიჟონი | 2:2 |
| მეცი-კრეტეი | დღეს |

### ნასიონალი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| პონ დუ ბარი-კარკეფუ | 0:0 |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| დორდრეხტი-ექსელსიორი | 1:1 |
| ემენი-აიაქსი II | 4:0 |
| ჰელმონდი-ვენლო | 1:2 |
| მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 0:4 |
| ტელსტარი-ვოლენდამი | 2:1 |
| ფორტუნა-ოსი | 1:0 |
| ახილესი-ალმერი | 2:1 |
| დენ ბოში-ტვენტე II | 1:1 |
| სპარტა-ვილემი | 1:2 |
| პსვ II-გრააფსხაპი | დღეს |

## ბელგია

XXII ტური

| | |
|---|---|
| სტანდარდი-ოსტენდე | 2:0 |
| სერკლი-ლოკერენი | 0:3 |
| გენტი-კორტრეიკი | 0:1 |
| ლიერსი-ბრიუგე | 1:1 |
| შარლერუა-ლოვენი | 2:0 |
| ვაასლანდი-მონსი | 4:1 |
| მეხელენი-ანდერლეხტი | 2:1 |
| ვარეგემი-გენკი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 22 | 15 | 6 | 1 | 46-12 | 51 |
| 2. ანდერლეხტი | 22 | 14 | 2 | 6 | 48-24 | 44 |
| 3. ბრიუგე | 22 | 13 | 5 | 4 | 37-20 | 44 |
| 4. ვარეგემი | 22 | 12 | 8 | 2 | 42-27 | 44 |
| 5. ლოკერენი | 22 | 12 | 3 | 7 | 39-24 | 39 |
| 6. გენკი | 22 | 11 | 2 | 9 | 32-27 | 35 |
| 7. კორტრეიკი | 22 | 9 | 5 | 8 | 28-30 | 32 |
| 8. გენტი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-30 | 27 |
| 9. შარლერუა | 22 | 6 | 9 | 7 | 27-28 | 27 |
| 10. სერკლი | 22 | 7 | 5 | 10 | 21-37 | 26 |
| 11. მეხელენი | 22 | 6 | 5 | 11 | 28-40 | 23 |
| 12. ოსტენდე | 22 | 6 | 4 | 12 | 21-35 | 22 |
| 13. ლიერსი | 22 | 6 | 3 | 13 | 21-42 | 21 |
| 14. ვაასლანდი | 22 | 4 | 8 | 10 | 20-29 | 20 |
| 15. ლოვენი | 22 | 4 | 7 | 11 | 24-36 | 19 |
| 16. მონსი | 22 | 3 | 4 | 15 | 18-36 | 13 |

### II დივიზიონი

XXII ტური

გეელი-ჰაისტი 4:3; ვირტონი-ბორინაჟი 3:0; ვიზე-რუზელარე 1:3; ეუპენი-ანტვერპენი 1:0; ლომელი-ვოლუვე 1:1; მუსკრონი-აალსტი 0:0; ბრიუსელი-ჰუგსტრატენი 1:1; სტ. ტრუიდენი-ვესტერლო 3:2; ტუბეკე-დესელი 3:0.

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXV ტური

| | |
|---|---|
| ავეში-ფარენსე | 2:0 |
| ტონდელა-ვიზეუ | 0:0 |
| მორეირენსე-მადეირა | 3:0 |
| ტროფენსე-სპორტინგი B | 1:1 |
| ბრაგა B-კოვილია | 3:0 |
| პორტიმონენსე-ბენფიკა B | 0:2 |
| ბენაფიელი-პორტუ B | 1:0 |
| ბეირა მარი-ატლეტიკო | 3:2 |
| ლეიქსოესი-ოლივეირენსე | 2:3 |
| მარიტიმუ B-შავესი | 1:1 |
| სანტა კლარა-ფეირენსე | 0:2 |

## შოტლანდია

### ჩემპიონშიპი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ალოა-დამბარტონი | 1:5 |
| კოუდენბითი-ფალკირკი | 0:2 |
| დანდი-ჰემილტონი | გადაიდო |
| ლივინგსტონი-მორტონი | 0:1 |
| ქუინი-რეითი | 1:0 |

### I ლიგა

XXI ტური

| | |
|---|---|
| არბროა-სტენჰაუზმური | 2:1 |
| ეირი-ბრეჩინი | 1:2 |
| დანფერმლაინი-ეირდრი | 0:1 |
| ფორფარი-რეინჯერსი | დღეს |
| სტრანრარი-ისტ ფაიფი | გადაიდო |

### II ლიგა

XXI ტური

| | |
|---|---|
| ანენი-კლაიდი | 0:1 |
| ბერუიკი-სტირლინგი | 4:0 |
| ისტ სტირლინგი-ალბიონი | 1:1 |
| მონროუზი-პიტერჰედი | 2:3 |
| ქუინზ პარკი-ელჯინი | 2:0 |

## კვიპროსი

XVII ტური

| | |
|---|---|
| დოქსა-ანორთოსისი | 1:6 |
| ენოსისი-აეკ | 0:1 |
| ალკი-აპოლონი | 1:2 |
| აელ-ომონია | 3:1 |
| კუკლიონი-ერმისი | 0:1 |
| აპოელ-ნეა სალამისი | 3:1 |
| ეთნიკოსი-არისი | დღეს |

## საბერძნეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| პანაიტოლიკოსი-პანთრაკიკოსი | 3:1 |
| ოლიმპიაკოსი-ლევადია | 2:0 |
| პანიონიოსი-პაოკ | 2:0 |
| არისი-ატრომიტოსი | 0:0 |
| აპოლონი-ასტერასი | 1:2 |
| ერგოტელისი-ქსანთი | 2:2 |
| იანინა-კალონი | 1:2 |
| ვერია-პანათინაიკოსი | 1:3 |
| პლატანიასი-ოფი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 20 | 18 | 2 | 0 | 59-6 | 56 |
| 2. პაოკ | 20 | 14 | 3 | 3 | 37-18 | 45 |
| 3. ატრომიტოსი | 20 | 10 | 7 | 3 | 29-14 | 37 |
| 4. პანათინაიკოსი | 20 | 11 | 3 | 6 | 32-18 | 36 |
| 5. ასტერასი | 20 | 9 | 8 | 3 | 30-18 | 35 |
| 6. პანაიტოლიკ | 20 | 7 | 6 | 7 | 22-18 | 27 |
| 7. პანთრაკიკოს | 20 | 7 | 6 | 7 | 26-31 | 27 |
| 8. ქსანთი | 20 | 7 | 4 | 9 | 27-31 | 25 |
| 9. კალონი | 20 | 8 | 1 | 11 | 22-37 | 25 |
| 10. პანიონიოსი | 20 | 6 | 6 | 8 | 18-21 | 24 |
| 11. იანინა | 20 | 7 | 2 | 11 | 21-31 | 23 |
| 12. ოფი | 19 | 5 | 7 | 7 | 16-22 | 22 |
| 13. ერგოტელისი | 20 | 4 | 9 | 7 | 21-26 | 21 |
| 14. აპოლონი | 20 | 5 | 5 | 10 | 24-33 | 20 |
| 15. ლევადია | 20 | 6 | 2 | 12 | 19-36 | 20 |
| 16. პლატანიასი | 19 | 4 | 7 | 8 | 18-27 | 19 |
| 17. ვერია | 20 | 4 | 6 | 10 | 18-33 | 18 |
| 18. არისი | 20 | 2 | 6 | 12 | 15-34 | 12 |

## ჩრ. ირლანდია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ბალინამალარდი-გლენავონი | 1:2 |
| ბალიმენა-ლინფილდი | 1:2 |
| კლიფტონვილი-პორტადაუნი | 0:1 |
| გლენტორანი-კოლრეინი | 1:1 |
| უორენპოინტი-კრუზეიდერსი | 1:1 |
| არდსი-დუნგანონი | 1:3 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| შანლიურფა-მანისა | 0:2 |
| ბუკა-ბუიუქშეჰირი | 1:2 |
| 1461 ტრაბზონი-დენიზლი | 5:1 |
| ბალიქესირი-ფეთჰიე | 1:1 |
| გაზიანთეფი ბბ-ადანა | 1:2 |
| ადანასფორი-ქარსიაკა | 1:2 |
| სამსუნი-თავშანლი | 1:0 |
| ანკარასფორი-ქაჰრამანმარაშ | 2:0 |
| მერსინი-ორდუ | დღეს |

## მექსიკა

III ტური

| | |
|---|---|
| მორელია-ტიგრესი | 2:0 |
| სანტოსი-პუებლა | 0:0 |
| ამერიკა-ლეონი | 1:0 |
| ვერაკრუსი-გვადალახარა | 1:1 |
| მონტერეი-კერეტარო | 3:1 |
| პაჩუკა-ტიხუანა | 2:1 |
| ატლასი-ატლანტე | 0:1 |
| ხაგუარესი-კრუს ასული | 0:1 |
| პუმასი-ტოლუკა | 0:2 |

## თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| შივასი-ესქიშეჰირი | 0:2 |
| ახისარი-ბურსა | 0:0 |
| თოქათი-ელაზიგი | 2:2 |
| ანტალია-გალათასარაი | 1:1 |

## უელსი

XXII ტური

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-ბალა | 1:6 |
| ქონესი-კარმარტენი | 1:3 |
| პრესტატინი-ნიუთაუნი | 5:2 |
| ებერისტვითი-ბანგორი | 3:3 |
| ტნს-ეირბასი | 1:1 |

## ისრაელი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-აშდოდი | 2:0 |
| ბნეი საქნინი-ირონი (ქ-შ) | 1:1 |
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 0:0 |
| მაკაბი (ფ-ა)-ბნეი იეჰუდა | 2:2 |
| ჰაპოელი (რ)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:4 |
| ბეითარი-ირონი (რ-ა) | 0:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (ჰ) | დღეს |

## ბოლივია

I ტური

| | |
|---|---|
| აურორა-უნივერსიტარიო | 0:0 |
| რეალ პოტოსი-სტრონგესტი | 1:0 |
| ბოლივარი-ნას. პოტოსი | 2:1 |
| სპორტ ბოისი-ხ. ვილსტერმანი | 2:0 |
| გუაბირა-ორიენტე | 2:3 |
| ბლუმინგი-სან ხოსე | შე. დასრულდა |

## ბრაზილია

### პაულისტა

I ტური

| | |
|---|---|
| პალმეირასი-ლინენსე | 2:1 |
| პაულისტა-აუდაქსი | 0:0 |
| რიო კლარო-ატ. სოროკაბა | 1:0 |
| სანტოსი-პირასიკაბა | 1:0 |
| სან ბერნარდო-ბოტაფოგო | 1:0 |
| მოჟი მირიმი-კომერსიალი | 2:1 |
| ბრაგანტინო-სან პაულუ | 2:0 |
| პორტუგეზა-კორინთიანსი | 1:2 |
| ოესტე-პენაპოლენსე | შე. დასრულდა |
| პონტე პრეტა-იტუანო | შე. დასრულდა |

## ვენესუელა

II ტური

| | |
|---|---|
| არაგუა-მინეროსი | 1:0 |
| ელ ვიხია-ტუკანესი | 0:1 |
| კარაბობო-ატ. ვენესუელა | 0:1 |
| კარაკასი-ლანეროსი | 2:1 |
| სულია-ტრუხილანოსი | 0:1 |
| დეპ. ლა გუაირა-ესტუდიანტესი | 2:1 |
| დ. ანსოატეგი-დ. ლარა | შე. დასრულდა |
| ტაჩირა-იარაკუიანოსი | შე. დასრულდა |
| სამორა-დეპ. პეტარე | შე. დასრულდა |

## კოსტა რიკა

III ტური

| | |
|---|---|
| ბელენ სიგლო-კლუბ სპორტი | 1:4 |
| დეპ. კარმელიტა-დეპ. საპრისა | 2:2 |
| პუნტარენასი-სანტოსი | 2:2 |
| უნ. კოსტა რიკა-მუნისიპალი | 2:1 |
| ლიმონი-კარტახინესი | 1:3 |
| ურუგვაი-ალახუელენსე | შე. დასრულდა |

## გვატემალა

I ტური

| | |
|---|---|
| სუჩიტეპეკესი-დეპ. ერედია | 3:1 |
| დეპ. მარკენსე-კომუნიკასიონესი | 1:1 |
| მუნისიპალი-ჩელახუ | 1:2 |
| ისტაპა-უნივერსიდადი | 2:2 |
| დეპ. მალაკატეკო-კოატეპეკე | 1:2 |
| ალკონენსი-დ. მიქსკო | შე. დასრულდა |

## ჰონდურასი

II ტური

| | |
|---|---|
| პარილიასი-ვიქტორია | 0:0 |
| ვიდა-ოლიმპია | 0:1 |
| მოტაგუა-რეალ სოსიედადი | 1:0 |
| პლატენსე-მარათონი | 1:0 |

## ავსტრალია

XV ტური

| | |
|---|---|
| მელბურნ ჰ-ნიუკასლი | 3:1 |
| პერტი-ბრისბენი | 0:0 |
| ველინგტონი-მელბურნ ვ | 5:0 |
| სიდნეი-სენტრალ კოუსტი | 0:1 |
| ადელაიდა-ვ. სიდნეი | 1:0 |

## აფრიკის თასი

### შესარჩევი

| | |
|---|---|
| განა-ლიბია | 1:1 |
| ეთიოპია-კონგო | 0:1 |
| კდრ-გაბონი | 0:1 |
| ბურუნდი-მავრიტანია | 3:2 |
| ნიგერია-ს. აფრიკა | 3:1 |
| მოზამბიკი-მალი | 1:2 |

## ს. აფრიკა

### გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ორლანდო-სუპერსპორტი | 1:2 |

## კალათბურთი

### NBA

| | |
|---|---|
| ტორონტო-ლეიკერსი | 106:112 |

### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-პანელეფსინიაკოსი | 92:70 |
| იკაროსი-რეტიმნო | 89:78 |
| კოლოსოსი-პაოკ | 62:49 |

### ადრიატიკის ლიგა

| | |
|---|---|
| ცრ. ზვეზდა-ოლიმპია | 87:62 |

### იტალია

| | |
|---|---|
| კრემონა-მონტეპასკი | 72:68 |
| ვენეცია-კაზერტა | 73:60 |
| სკავოლინი-აველინო | 88:82 |
| სასარი-ბოლონია | 90:87 |
| პისტოია-კანტუ | 82:77 (ო) |
| მილანი-ბრინდიზი | 89:65 |

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| კახა ლაბორალი-სარაგოსა | 92:83 |
| ბარსელონა-ესტუდიანტესი | 73:56 |
| მურსია-ობრადოირო | 47:83 |
| უნიკახა-გრან კანარია | 76:66 |
| გიპუსკოა-რეალი | 65:76 |
| მანრესა-ვალენსია | 64:76 |

## ჰოკეი

### NHL

18 იანვარი

| | |
|---|---|
| კოლამბუსი-ვაშინგტონი | 5:1 |
| ჩიკაგო-ანაჰაიმი | 4:2 |

19 იანვარი

| | |
|---|---|
| ოტავა-რეინჯერსი | 1:4 |
| ტამპა ბეი-სან ხოსე | 4:5 |
| ვინიპეგი-ედმონტონი | 3:2 (ო) |
| ბაფალო-კოლამბუსი | 3:4 (ბ) |
| ტორონტო-მონრეალი | 5:3 |
| დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 3:2 (ბ) |
| ფილადელფია-აილენდერსი | 6:4 |
| კაროლინა-ფლორიდა | 3:2 |
| სტ ლუისი-ანაჰაიმი | 2:3 |
| ნეშვილი-კოლორადო | 4:5 |
| ფინიქსი-ნიუ ჯერსი | 3:2 |
| მინესოტა-დალასი | 3:2 (ო) |
| ვანკუვერი-კალგარი | 3:2 (ბ) |
| ჩიკაგო-ბოსტონი | 3:2 (ბ) |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| ზნოიმო-ვენა | 2:3 (ბ) |
| ვილახი-ზალცბურგი | 2:3 |
| ბოლცანო-ლინცი | 0:1 |
| ფეჰერვარი-დორნბირნი | 3:1 |
| ოლიმპია-გრაცი | 4:2 |
| ინსბრუკი-კლაგენფურტი | 4:3 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-პლზენი | 2:3 (ო) |
| სლავია-კლადნო | 4:1 |
| ზლინი-ლიტვინოვი | 2:1 |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 2:6 |
| პარდუბიცე-ბრნო | 3:2 |
| ხომუტოვი-კარლოვი ვარი | 1:2 |
| კრალოვე-სპარტა | 3:2 (ბ) |

### დანია

| | |
|---|---|
| ფრედრიკსჰავნი-როდოვრე | 5:6 (ო) |
| ჰერლევი-ოლბორგი | 1:5 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-სტრაუბინგი | 3:0 |
| კრეფელდი-შვენინგენი | 3:1 |
| მიუნხენი-იზერლონი | 0:2 |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 7:1 |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 5:4 (ო) |
| კიოლნი-აისბარენი | 5:4 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სპარტა | 2:4 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 5:1 |
| სტიერნენი-ტონსბერგი | 3:2 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 1:6 |

### კჰლ

| | |
|---|---|
| ატლანტი-აკ ბარსი | 1:2 (ო) |
| ლოკომოტივი-დინამო (მ) | 3:4 |
| სევერსტალი-ვიტიაზი | 7:3 |
| სკა-ტორპედო | 4:5 (ო) |
| ცსკა-ადმირალი | 2:1 |
| დინამო (რ)-ამური | 4:1 |
| სლოვანი-მეტალურგი (ნ) | 2:3 |
| ლევი-სიბირი | 3:1 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კოშიცე-ბისტრიცა | 2:4 |
| სკალიცა-ჟილინა | 5:6 |
| ნიტრა-მარტინი | 5:3 |
| პოპრადი-ტრენჩინი | 5:4 (ო) |
| ზვოლენი-პიეშტანი | 3:8 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ციურიხი-დავოსი | 4:3 |

## ხელბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

კაცები

| | |
|---|---|
| მაკედონია-უნგრეთი | 25:31 |
| ავსტრია-ისლანდია | 27:33 |
| დანია-ესპანეთი | 31:28 |
| პოლონეთი-ბელარუსი | 31:30 |
| რუსეთი-შვედეთი | 27:29 |
| საფრანგეთი-ხორვატია | 27:25 |

● ტყვიის სროლა. მიუნხენის ტურნირი

# სეზონი ისევ მიუნხენში იხსნება

ხვალ დილით, გამთენიისას ქართველი ტყვიით მსროლელები მიუნხენში გაფრინდებიან, სადაც 23 იანვრიდან ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი იწყება. ჩვეულებისამებრ, ის ამჯერადაც მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ჩატარდება, ვინაიდან ამავე დისციპლინაში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ეტაპია. მწვრთნელ **ვახტანგ სალუქვაძეს** იქ უფროსებთან ერთად - **ნინო სალუქვაძე, ლევან ქადაგიძე,** ახალგაზრდებიც ბლომად მიჰყავს: **ცოტნე მაჭავარიანი, ივანე ჭანკვეტაძე, ლიზი კილაძე, მარიამ ბლუაშვილი, მარიამ მაღრაძე, ქეთი შედანია.**

როგორც ვხედავთ, ყველაზე დიდი ყურადღება ახალგაზრდა გოგოების ნაკრებისკენაა მიპყრობილი, სადაც ერთბაშად ოთხი მონაწილე გვეყოლება. მისასალმებელია ახალი თაობის ასე ფართოდ წარმოჩენა - ფედერაცია კვლავაც აგრძელებს გაახალგაზრდავების სასურველ სტრატეგიას. თუმცა ამ ექვსეულს ახალგაზრდულ ასაკამდე ჯერ კიდევ ბევრი აშორებს - კილაძე ჯერ მხოლოდ 13 წლისაა, დანარჩენები - 15-ის. ამის მიუხედავად, ამ თაობის ლიდერი მაინც ქუთაისელი კილაძეა... ეს გოგო ამ სახეობაში უკვე სტაბილურად ტრიალებს 370 ქულის სიახლოვეს, რაც უფროსთა შედეგია... მიუნხენში საინტერესოა ბლუაშვილის გამოსვლაც, რომელიც ასევე საყურადღებო შედეგს აჩვენებდა. ასევე საყურადღებოა ბიჭების ასპარეზობაც, რომლებიც ბოლო შეჯიბრებებში სტაბილურად ისვრიან. განსაკუთრებით - ნინო სალუქვაძის შვილი მაჭავარიანი, ვისაც ტურნირი არ დაუტოვებია უმედლოდ და შედეგებსაც უმატებს. ვფიქრობთ, ახალგაზრდებისთვის დიდი სკოლა იქნება ისეთ ძლიერ შეჯიბრებაში გამოსვლა, რაც, ადრინდელი ტრადიციის და წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით, მიუნხენში უნდა გაიმართოს.


ნინო სალუქვაძე

როგორც გითხარით, ტურნირი 23 იანვარს დაიწყება. ვინაიდან ის მხოლოდ პნევმატურში ტარდება, ორი სტარტი გაიმართება როგორც უფროსებში, ასევე - ახალგაზრდებში. წლეულს ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ პნევმატურიდან სროლაში ტარდება, სპორტულში კი აღარ გაიმართება, რადგან მსოფლიოს პირველობის წელია - ეს უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება, რომელიც სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიადის მსგავსად, ოთხ წელიწადში ერთხელაა, 6-20 სექტემბერს ესპანურ გრანადაში ჩატარდება.

ევროპის ჩემპიონატი 26 თებერვალს დაიწყება მოსკოვში და 6 მარტს დაიხურება. ის უმნიშვნელოვანესი იქნება ახალგაზრდებისთვის, რადგან გათამაშდება 16-28 აგვისტოს ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს II ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები - მათთვის ცალკე ჩატარდება საგანგებო შეჯიბრება. სამწუხაროდ, მცირე ასაკის გამო მასში კილაძე მონაწილეობას ვერ მიიღებს, დანარჩენებს კი შეუძლიათ ბრძოლა. იმედია, წარმატებითაც გამოვლენ და აგვისტოში ახალგაზრდულ ფორუმში მონაწილე ამ სახეობაშიც გვეყოლება.

ჩვენი ნაკრები მიუნხენიდან თვის ბოლოს დაბრუნდება და ევროპირველობისთვის მზადების მიზნით ერევანში შეკრებას გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

● თარიღები და მოვლენები

## 20-23 იანვარი

20. 1936. დაიბადა **შოთა ლომიძე** - თ\ჭიდაობა. გარდაიცვალა 1993 წელს

20. 1960. დაიბადა **ბიძინა გუჯაბიძე** - ალპინიზმი

20. 1968. დაიბადა **ვლადიმერ ადამაშვილი** - ველოსპორტი (ტრეკი)

20. 1977. დაიბადა **ილია ზედგინიძე** - რაგბი

20. 1988. დაიბადა **ლევან ჟორჟოლიანი** - ძიუდო

21. 1915. დაიბადა **ბორის პაიჭაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1990 წელს

21. 1915- დაიბადა **ვახტანგ ქარსელაძე** - ჭადრაკი, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1966 წელს

21. 1941. დაიბადა **ამირან სხიერელი** - კალათბურთი

21. 1948. დაიბადა **დათო დანელია** - ხელბურთი, მსაჯი

22. 1973. დაიბადა **მუხრან ვახტანგაძე** - ბ\რ ჭიდაობა

22. 1976. დაიბადა **დავით ჩალაძე** - ფეხბურთი

22. 1989. დაიბადა **დავით თარგამაძე** - ფეხბურთი

23. 1958. დაიბადა **ზაურ სვანაძე** - ფეხბურთი

23. 1962. დაიბადა **გურამ გედეხაური** - ბ\რ ჭიდაობა

23. 1968. დაიბადა **გიორგი ხიდეშელი** - ფეხბურთი

23. 1972. დაიბადა **ბადრი ჯანიაშვილი.** სამბო

23. 1990. დაიბადა **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფიგურული სრიალი


ელენე გედევანიშვილი

# გედევანიშვილი მეათეა

უნგრეთის დედაქალაქში გუშინ დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი. ქალთა ტურნირში კონტინენტის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორმა **ელენე გედევანიშვილმა**, რომელიც კანადაში ბრაიან ორსერთან ვარჯიშობს, მოკლე პროგრამით 54.78 ქულას მოუყარა თავი და მედლებისათვის მებრძოლ 37 მონაწილეს შორის მე-7 იყო. თავისუფალი პროგრამით მან საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა, რაზეც ზეგავლენა ალბათ იმანაც იქონია, რომ თავიდანვე სამმაგი ლუტცი და ტულუპი სუფთად ვერ შეასრულა (ყინულს ორივე ფეხით შეეხო). საბოლოოდ ელენემ არბიტრებისაგან 87,04 ქულა დაიმსახურა, რამაც თავისუფალი პროგრამით მხოლოდ მე-13 ადგილი მოუტანა. ორი პროგრამის ჯამში კი 141.82 ქულით მე-10 ადგილზე გავიდა. არადა, ორი წლის წინათ მსგავს შეჯიბრებაზე 165,93 ქულა მოაგროვა და ბრინჯაო დაიმსახურა (წლეულს ამ შედეგით მხოლოდ მეექვსე იქნებოდა). შარშან 142,71 ქულით ელენე ევროპაზე მეთოთხმეტე იყო, ხოლო 194,71 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იტალიელი კაროლინა კოსტნერი ავიდა მეხუთედ, აპენინელმა უნგრეთის დედაქალაქში 191,39 ქულა მოაგროვა, რაც მას მხოლოდ ბრინჯაოს მედლისთვის ეყო.

ბუდაპეშტის საციგურაოზე შეუდარებელი გახლდათ 15 წლის ეკატერინბურგელი (რუსეთი) იულია ლიპნიცკაია, რომელსაც მოსკოველი ეთერ თუთბერიძე და სერგეი დუდაკოვი ავარჯიშებენ. სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე მან შესანიშნავად შეასრულა ურთულესი ტექნიკური ელემენტები, მათ შორის - ხტომების მთელი კასკადი და 209,72 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა (თავისუფალი პროგრამის შემდეგ ნორჩ სპორტსმენს მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი დიდხანს უკრავდა ტაშს). ლიპნიცკაიას წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა - შარშან 26 ოქტომბერს მან უფროსებში კანადის საერთაშორისო ტურნირი მოიგო 198.23 ქულით, პირველ ადგილზე გავიდა მოსკოვში რუსტელეკომის თასზე, ხოლო ფუკუოკაში (იაპონია) გრან პრის ფინალში მეორე იყო.

ბუდაპეშტში ვერცხლის მედალი, ასევე, რუსმა მოციგურავემ, ევროპის შარშანდელი ჩემპიონატი მეორე პრიზიორმა, 18 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ადელინა სოტნიკოვამ (202,36) მოიპოვა. მეოთხე-მეცხრე ადგილებზე გავიდნენ: ალიონა ლეონოვა (რუსეთი, 178,15), მაე მეიტე (საფრანგეთი, 173,37), ვალენტინა მარკეი (იტალია, 165,25), ელენა გლებოვა (ესტონეთი, 155,71), ნატალი ვაინცირლი (გერმანია, 151,88) და ჯოში ჰელგესონი (შვედეთი, 146,45).

აქვე სხვა სახეობებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობასაც გაუწყებთ: **ცეკვები.** 1. ანა კაპელინი, ლუკა ლანოტე (იტალია, 171,61), 2. ელენა ილინიხი, ნიკიტა კასალაპოვი (რუსეთი, 170,51), 3. პენი კუმსი, ნიკოლას ბუკლენდი (დიდი ბრიტანეთი, 158,69). ანგელინა ელეგინას და ოთარ ჯაფარიძის დუეტი 29 მონაწილეს შორის 27-ე ადგილზე გავიდა. **ვაჟები.** 1. ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი, 267,11), 2. სერგეი ვორონოვი (რუსეთი, 252.55), 3. კონსტანტინ მენშოვი (რუსეთი, 237.24). **წყვილები.** 1. ტატიანა ვოლოსოჟარი, მაქსიმ ტრანკოვი (220,38), 2. ქსენია სტოლბოვა, ფიოდორ კლიმოვი (207.98), 3. ვერა ბაზაროვა, იური ლარიონოვი (სამივე-რუსეთი, 201.61).

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი

# ჯობავა ისევ დაწინაურდა


ბაადურ ჯობავა

გასულ უქმეებზე ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო ფესტივალზე (Tata Steel Chess 2014) ორი ტურის პარტიები გათამაშდა. B ჯგუფში (Challengers, ფიდეს XIV კატეგორია) შაბათს მე-7 ტურში ლიდერები - ივან სარიჩი (ხორვატია) და **ბაადურ ჯობავა** (მათ თანაბარი ქულები ჰქონდათ) დაზავდნენ. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ: ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-მერიინ ვან დელფი (ჰოლანდია), ბენჟამინ ბოკი (ჰოლანდია)-კაიდენ ტროფი (აშშ). დანარჩენი ოთხი შეხვედრა ასე დასრულდა: რადეკ ვოიტაშეკი (პოლონეთი)-ჟაო სიუე (ჩინეთი) 1:0, იუ იანი (ჩინეთი)-ეტიენ გოუდრიაანი (ჰოლანდია) 1:0, საბინო ბრუნელო (იტალია)-იან-კშიშტოფ დუდა (პოლონეთი) 0:1, იან ტიმანი (ჰოლანდია)-დიმიტრი რეინდერმანი (ჰოლანდია) 1:0.

გუშინ მერვე ტურში ჯობავამ მხედრების ენდშპილში მეტოქეს 35-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. დანარჩენი შეხვედრები: ჟაო სიუე-რეინდენმანი 0:1, ტროფი-ტიმანი 0,5:0,5, დუდა-ბოკი 0,5:0,5, გოუდრიაანი-ბრუნელო 0,5:0,5, დელფი-სარიჩი 0,5:0,5, ვოიტაშეკი-მუზიჩუკი 0.5:0.5.

რვა ტურის შემდეგ: ჯობავა-6.5, სარიჩი-6, მუზიჩუკი-5.5, ტიმანი-5, ბოკი, ვოიტაშეკი-4.5-4.5, რეინდერმანი-4, იუ იანი, დუდა, ბრუნელო, ტროფი-3.5-3.5, ჟაო სიუე-3, დელფი-2.5, გოუდრიაანი-0.5 ქულა.

A ჯგუფი (Masters, ფიდეს მე-20 კატეგორია). **მე-6 ტური.** ანიშ გირი (ჰოლანდია)-ბორის გელფანდი (ისრაელი) 0,5:0,5, ლევონ არონიანი (სომხეთი)-უესლი სოთუ (ფილიპინები) 1:0, სერგეი კარიაკინი (რუსეთი)-არკადი ნაიდიჩი (გერმანია) 1:0, ლეინერ დომინგესი (კუბა)-ჰიკარუ ნაკამურა (აშშ) 0,5:0,5, ლოეკ ვან ველი (ჰოლანდია)-რიჩარდ რაპორტი (უნგრეთი), 0,5:0,5, პენტალა ჰარიკრიშნა (ინდოეთი)- ფაბიანო კარუანა (იტალია) 0,5:0,5. **მე-7 ტური.** კარუანა-გირი 0.5:0.5, რაპორტი-ჰარიკრიშნა 1:0, ნაკამურა-ვან ველი 0:1, ნაიდიჩი-დომინგესი 0.5:0.5, სოუ-კარიაკინი 0.5:0.5, გელფანდი-არონიანი 0.5:0.5.

შვიდი ტურის შემდეგ: არონიანი-5.5, გირი, კარიაკინი-4.5-4.5, დომინგესი, კარუანა, სოუ-4-4, ჰარიკრიშნა, ნაკამურა, ვან ველი, რაპორტი-3-3, გელფანდი-2, ნაიდიჩი-1.5 ქულა.

დღეს, 20 იანვარს, ორივე ჯგუფის მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

**B ჯგუფი.** მუზიჩუკი-ჟაო სიუე, სარიჩი-ვოიტაშეკი, იანი-დელფი, ბრუნელო-ჯობავა, ბოკი-გოუდრიაანი, ტიმანი-დუდა, რეინდერმანი-ტროფი.

**A ჯგუფი.** გირი-არონიანი, კარიაკინი-გელფანდი, დომინგესი-სოუ, ვან ველი-ნაიდიჩი, ჰარიკრიშნა-ნაკამურა, კარუანა-რაპორტი.

**ვაჟა დანელია**

● სუმო. ჰაცუ ბაშო. 12-26 იანვარი

# გაგამარუს წყვილი გამარჯვება

ახალი წლის პირველ ბაშოზე დიდებულად ასპარეზობს ქართველი სუმოისტი **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. 8 დღის შემდეგ ჩვენებურს 6-2 ბალანსი აქვს და მხოლოდ ორ სუმოისტს ჩამორჩება: დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** (8-0) და ჩემპიონ **კაკურიუს** (7-1).

შაბათს **გაგამარუმ** ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა **ტოჩინოვაკა**, ხოლო კვირას კოტენაგეს ილეთი გამოიყენა **სატოიამას** წასაქცევად. ახლა ქართველის მეტოქე **ჩიოოტორია**, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვდა და მოუგო. წინა ბაშოზე 21 წლის ჩიოოტორიმ ძურიოს დივიზიონის ჩემპიონობა მოიპოვა და უმაღლესში გადავიდა.

**VII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოიოჰიბიკი (უვატენაგე), კისენოსატო-ამინიშიკი (ოშიდაში), კაკურიუ-კოტოოშუ (იორიკირი), იკიოი-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), **გაგამარუ**-ტოჩინოვაკა (ჰატაკიკომი).

**VIII დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-შოჰოზანი (ტოტარი), კაკურიუ-იკიოი (ჰატაკიკომი), კოტოშოგიკუ-აოიამა (ჰატაკიკომი), ტოჩიოძანი-კისენოსატო (იორიკირი), **გაგამარუ**-სატოიამა (კოტენაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**8-0**: ჰაკუჰო (იოკოძუნა)
**7-1**: კაკურიუ (ოძეკი)
**6-2**: შოჰოზანი (მაეგაშირა 5), ენდო (მ 10), **გაგამარუ** (მ 12), ტოკუშორიუ (მ 15), ოსუნაარაში (მ 16).

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-გოეიდო, კისენოსატო-ტოიოჰიბიკი, კაკურიუ-აოიამა, გაგამარუ-ჩიოოტორი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



● ჩოგბურთი

# ქართველ ჩოგბურთელთა მარშრუტები


მარგალიტა ჩახნაშვილი

საფრანგეთში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი). საკვალიფიკაციო ეტაპიდან წარმატებით აილო სტარტი **მაკა ჩახნაშვილმა**, რომელმაც ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია - ამბრე ბურბონს (საფრანგეთი) - 6:2, 6:2, ფედერიკა დი სარას (იტალია)- 6:3, 6:0 და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში Daytona Beach-ის 25.000-იან ტურნირში 2 ქართველი ჩოგბურთელი მოსინჯავს ძალებს. ძირითად ბადეში პირველ ნომრად იქნება განთესილი **ანა ტატიშვილი**, ხოლო **თამარ ჭალაგანიძე** საკვალიფიკაციოდან აილებს სტარტს - პირველ წრეში მე-10 განთესვის მქონე მასპინძელს - ელი ვილს შეხვდება. ამ წყვილში უძლიერესი ფრანჩესკა სეგრელისა (დომინიკის რესპუბლიკა) და ანიტა საფრონენკას (ბელარუსი) შორის გამარჯვებულს გაუწევს მეტოქეობას.

გერმანიაში ვაჟთა 15.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს **ნიკოლოზ ბასილაშვილი.**

აბუ დაბიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გოგონების საკვალიფიკაციოში **ნატალია სიმონიშვილი** ამინა ანშბასთან (რუსეთი) დამარცხდა - 1:6, 0:6. ძირითად ბადეში მასთანვე წააგო **თამარ კუტუბიძემ** - 5:7, 1:6, სამაგიეროდ, ქართველმა ჩოგბურთელმა წყვილებში ეკატერინა კუნინასთან (რუსეთი) ერთად იყოჩაღა: პირველ წრეში ყაზახებს - გოზელ აინიტდინოვას და აინურ სულეიმანოვას აჯობა - 4:6, 6:4, 10:4, შემდეგ ასპარეზობის რეიტინგფავორიტები - რიკეტა პერეირა და სანჟაია შუდჰირი (ორივე-ინდოეთი) ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 6:1, ნახევარფინალში მე-4 ნომრად განთესილ რუსებს - ანასტასია ჩიკალკინას და რელინა კამულინას დააყრევინა ფარ-ხმალი - 7:5, 6:4, გადამწყვეტ პაექრობაშიც რუსები - ამინა ანშბა და როლინა ბახმუტკინა დაჯაბნა - 6:2, 6:2, რითაც ერთეულთა თანრიგში წაგებისთვის რევანში აილო.

აბუ დაბიში ვერც გუშინწინ დაწყებულ ტურნირში გამოიჩინა თავი ნატალია სიმონიშვილმა - საკვალიფიკაციო ეტაპის პირველსავე შეხვედრაში ეველინა ტიპონს (რუმინეთი) დანებდა - 3:6, 1:6. თამარ კუტუბიძე ძირითადი ბადის სტარტზე ისევ ამინა ანშბას გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა. ისაევის ტურნირი

# ბაქოდან სამი მედლით

თავისუფალ სტილით მოჭიდავე ქართველმა ჭაბუკებმა სამი მედლით დაასრულეს გამოსვლა ბაქოში, მუშვიგ ისაევის ხსოვნის XVII მემორიალში. მათი მონაგარი 1 ოქრო და 2 ბრინჯაოა. ტრადიციული შეჯიბრების ჩემპიონი, რომელშიც ჩვენები ასევე ტრადიციულად გამოდიან, კვლავაც მძიმეწონოსანი, ამჯერად **გივი მაჭარაშვილი** (100) გახდა, მესამე საპრიზო ადგილზე კი ამავე წონაში **ჯონი პეტრიაშვილი** და **ზაურ ბერაძე** (85) გავიდნენ.

ამათგან ყველაზე დაძაბული კონკურენცია 85 კილოგრამშია, სადაც ბერაძეს თანაბარძალოვან კონკურენციას **მოგელი მეზვრიშვილი** უწევს. ამჯერად ბერაძემ კი იმარჯვა, თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. მით უფრო, წინ საქართველოს ჩემპიონატია – თებერვლის ბოლოს ტარდება, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა.

სამწუხაროდ, ამჯერად უმედლოდ დარჩნენ ჩვენი გუნდის სხვა ლიდერები, თანატოლებში ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორები **ალექსანდრე კილაძე** (50) და **შმაგი თოდუა** (58), რომლებმაც ამჯერად ორ-ორი წონით ზევით აინაცვლეს.

**ირაკლი თავაძე**

ქართველები ესპანეთში



# ვიქტორის ვიქტორია ვიტორიაში არ გამოვიდა

არაგონის „სარაგოსა“ ვიტორიაში ჩავიდა, სადაც ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში „ლაბორალ კუტხას“ წინააღმდეგ ითამაშა. სარაგოსელები საპლეიოფო რვაეულის ზღვართან არიან და ბასკეთში მოგებაც ძალიან სჭირდებოდათ, თუმცა ლაბორალელებმა ბოლო პერიოდში დაამტკიცეს, რომ შემთხვევით არ არიან სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში და „სარაგოსა“ 92:83 დაამარცხეს.

არაგონელ ქართველებს **ვიქტორ სანიკიძესა** და **გიორგი შერმადინს** სათამაშო დრო ჩვეულებრივზე ნაკლები ჰქონდათ. ვიქტორმა 13 წუთში 1 პასი მიითვალა, ხოლო გიორგიმ - 16 წუთში 13 ქულა და 4 მოხსნა. შერმადინმა 7-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

ვიტორიული მარცხის შემდეგ „სარაგოსას“ 8-8 მოგება-წაგება მოუგროვდა და რვაეულიდან ქვემოთ დაეშვა. მოგება-წაგებათა ასეთივე მაჩვენებელი აქვთ „კახასოლს“, „ხუვენტუდს“ და არაგონელებთან ერთად მეცხრე-მეთერთმეტე ადგილებს ინაწილებენ.

მკითხველს ისიც მოეხსენება, რომ სევილიის „კახასოლის“ ღირსებას **ბექა ბურჯანაძე** იცავს. მისმა გუნდმაც სტუმრად ითამაშა და „ხუვენტუდთან“ ცხრა ქულის სხვაობით იმარჯვა - 74:65.

სევილიელების მხრიდან ყველაზე მეტი, 13 ქულა ჩეხმა **ტომას სატორანსკიმ** ჩააგდო. ბურჯანაძემ 3 წუთი ითამაშა და ერთი სამქულიანი სტყორცნა, თუმცა მიზანში ვერ მოარტყა.

ტრანსფერი

# იქ, სადაც ჯორდანი თამაშობდა

**თორნიკე შენგელიას** საქართველოს ნაკრებში დებიუტი რომ ჰონდა, 23-ნომრიანი მაისურა ემოსა. ისევე როგორც ბევრი ბავშვის, მისი ფავორიტი კალათბურთელიც „ჩიკაგო ბულსის“ 23-იანი **მაიკლ ჯორდანი** იყო. თბილისში 2014 წლის 19 იანვარი რომ თენდებოდა, ამერიკაში განხორციელებული გაცვლის შედეგად გადაწყდა - თორნიკე შენგელია ითამაშებს იქ, სადაც ჯორდანი თამაშობდა. მომავალ კვირას 22 წლის ქართველი მოირგებს წითელ-თეთრ ფორმას, რომელიც ხარისთავიანი ემბლემითაა დამშვენებული.

სატრანსფერო ამბავს ამერიკული გაზეთი „ჩიკაგო თაიმსი“ უფრო დეტალურად გვაცნობს: „ჩიკაგოელთა შემადგენლობაში ბოლო მატჩი ითამაშა **მარკის ტიგმა**, რომელიც „ბრუკლინ ნეთსში“ გადავიდა. სანაცვლოდ კი „ბულსმა“ თორნიკე შენგელია მიიღო. ქართველი კალათბურთელი ახალ გუნდს სავარაუდოდ სამშაბათს შეუერთდება. იგი 2012 წლის დრაფტზე 54-ე ნომრად „ფილადელფიამ“ აიყვანა და „ბრუკლინს“ დაუთმო.“

*- მადლობელი ვარ ბოძებული შანსისთვის, ველი ჩიკაგოელებთან შეხვედრას, - დაწერა თორნიკე შენგელიამ თავის „ტვიტერზე“.*

ზემოთ „ჩიკაგოს“ ფორმასა და ამ გუნდის ნათელ ისტორიაზე ვთქვით, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანია სხვა რამ: თამაში! მიმდინარე სეზონში თორნიკე „ბრუკლინ ნეთსში“ საშუალოდ 8.1 წუთში 1.5 ქულას, 0.8 მოხსნასა და 0.7 პასს აგროვებდა. რა თქმა უნდა, წუთიც ცოტაა და დანარჩენი მაჩვენებლებიც. 22 წლის ნებისმიერ ახალგაზრდას კი



პროგრესისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. აქედან გამომდინარე, შენგელიასთვის „ბრუკლინის“ დატოვება, სწორ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს დონის ვარსკვლავებთან უწევდა ვარჯიში, **კევინ გარნეტითან, ანდრეი კირილენკოსთან, პოლ პირსთან, დერონ უილიამსთან, ჯო ჯონსონთან.**

თუმცა ნაბიჯის სისწორეზე უფრო თამამად სეზონის ბოლოს უნდა ვიმსჯელოთ, რადგან წინასწარ რთული სათქმელია, „ჩიკაგოში“ რა ოდენობის სათამაშო დრო ერგება. მთავარი მაინც მწვრთნელია და „ბულსის“ თავკაცი **ტომ ტიბოდო** ახალბედა არ არის, ექსპერიმენტებს მოერიდოს, ან ახალგაზრდა კალათბურთელის მოედანზე შეყვანა შეეშინდეს (ეს ბევრ მწვრთნელს ახასიათებს).

არანაკლებ მნიშვნელოვანია შემადგენლობა. **ლუოლ დენგის** გუნდიდან წასვლის შემდეგ „ჩიკაგოში“ მსუბუქი ფორვარდის პოზიციაზე ერთი-ორად ნაკლები კონკურენციაა, ვიდრე „ბრუკლინში“. თუნდაც აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა ქართველს სათამაშო დრო უნდა გაეზარდოს. სპეციალისტები კი ვარაუდობენ, რომ თოკო **მაიკ დანლივის** მთავარი შემცვლელი იქნება, რაც ამ ტაპზე ურიგო არ უნდა იყოს.

დანარჩენს დრო და „ჩიკაგოს“ მატჩები გვიჩვენებს.

ინტერვიუ. ლევან მიქელაძესთან

## ასე ჯობდა!

ამერიკულ პრესაში ისიც დაიწერა, რომ „ჩიკაგოსა“ და „ბრუკლინს“ შორის გაცვლას საბოლოოდ წერტილი არ დასმია. ცხადია, სატრანსფერო ნიუანსების შესახებ რიგით ჟურნალისტზე მეტი თორნიკე შენგელიას აგენტმა ლევან მიქელაძემ იცის, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ.

- გაცვლა განხორციელდა, შენგელია „ჩიკაგო ბულსში“ ითამაშებს - ეს გადაწყვეტილი ამბავია. თუმცა როგორც ყოველი ტრეიდისას, მცირე ფორმალობები მოსაგვარებელია, რის შემდეგაც თორნიკე ბრუკლინიდან ჩიკაგოში გადაბარგდება.

**- საინტერესოა, ვის მიერ იყო ინიცირებული გაცვლა და რომელი მხარისთვის უფრო მომგებიანი უნდა იყოს?**

- მხოლოდ ორი კალათბურთელი რომ იცვლება, ცხადია, ეს ორივე მხარისთვის მისაღებია. „ბრუკლინს“ ხელს აძლევდა ტიგის დამატება, ხოლო „ჩიკაგოს“ - შენგელიასი. არის კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: თორნიკეს ზაფხულში „ბრუკლინთან“ კონტრაქტი უმთავრდებოდა (იგივე ხელშეკრულება „ჩიკაგოში“ გადაჰყვა) და პირველი ივლისიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს. სამაგიეროდ, „ბულსმა“ „ნეთსში“ გაუშვა კალათბურთელი, რომლისთვისაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 2014-15 წლების სეზონშიც უნდა გადაეხადა. გამოდის, რომ თუ „ჩიკაგო“ შენგელიას ზაფხულში ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებს, ამ ტრეიდის შედეგად ტიგისთვის გამიზნულ თანხას გამოითავისუფლებს.

**- „ჩიკაგოში“ გადასვლა შენგელიასთვისაც სასარგებლო უნდა იყოს...**

- მთავარია, რომ იმაზე მეტი სათამაშო დრო ექნება, რაც „ბრუკლინში“. დღეს ხუთეულში არავინ დააყენებს, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება აუცილებლად მიეცემა. ყველაფერი თავად თორნიკეზეა დამოკიდებული, ტომ ტიბოდოს გუნდში თუ დაცვაში კარგად ითამაშებს, მეტ ნდობასაც დაიმსახურებს. თუმცა ისიც ყველამ ვიცით, რომ შენგელიას შეტევაშიც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში.

ვითიბილიგა



# ცინცაძემ კალევს თავი გაახსენა

**გიორგი ცინცაძე** წლების განმავლობაში ესტონურ „ტარტუ როკში“ თამაშობდა, რომლის ყველაზე პრინციპული მეტოქე „კალევი“ იყო. ტალინურ გუნდს გიორგი გუშინ ვითიბი ლიგაზე დაუპირისპირდა. ოღონდ ამჯერად უკრაინის „დონეცკის“ მაისურით.

დონეცკელებმა დაძაბულ ბრძოლაში 3 ქულის სხვაობით აჯობეს ტალინელებს - 79:76. გამარჯვებაში თავისი წვლილი მიუძღვის ცინცაძეს, რომელმაც მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 25 წუთში 11 ქულა და თითო პასი-მოხსნა მოაგროვა. გიორგიმ 6-დან 3 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

ცინცაძეს მოუწია „არმიასა“ და „დონეცკის“ ყოფილი გამთამაშებლის **კურტის მილიჯის** წინააღმდეგ თამაში, რომელმაც მატჩი 12 ქულით დაასრულა.

საქართველოს თასი

# ოლიმპიური სიმშვიდით დინამოსკენ

**საკვალიფიკაციო ეტაპი**

**17 იანვარი, თბილისი**

**მაქაბი–ოლიმპი 60:81**

**16:21, 17:17, 11:16, 16:27**

**მაქაბი:** ტეტელაშვილი (7ქ, 7მ, 3პ), გულმაგარაშვილი (2ქ), მეგენეიშვილი (2ქ), პატარაია (8ქ, 3პ), ბეშქენაძე (6ქ), გ. რევაზაშვილი, ლ. რევაზაშვილი (17ქ, 8მ), ფერიაშვილი (15ქ, 6მ), ნანიტაშვილი (3ქ, 5პ).

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (16ქ, 6პ), მიქელაძე (5ქ, 6პ), გოგოძე, ხანიაშვილი (9ქ, 5მ), თენიეშვილი (11ქ), ათანელიშვილი (8ქ, 5მ), ჩიტაშვილი (6ქ, 3პ), ალხანაიძე (6ქ, 5მ), მათიაშვილი (13ქ, 21მ, 4პ), ხიზანიშვილი (7ქ, 3პ), ლომიძე.

**18 იანვარი, თბილისი**

**ოლიმპი–მაქაბი 107:74**

**20:9, 28:23, 36:22, 23:20**

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (10ქ, 4პ), მიქელაძე (8ქ, 7პ), გოგოძე (3ქ), თენიეშვილი (26ქ, 4პ), ათანელიშვილი (8ქ, 7მ), ჩიტაშვილი (8ქ, 5პ), ფხაკაძე (2ქ), ალხანაიძე (11ქ, 3პ), მათიაშვილი (15ქ, 8მ, 3პ), ხიზანიშვილი (12ქ), ლომიძე (4ქ).

**მაქაბი:** ტეტელაშვილი (2ქ), გულმაგარაშვილი (2ქ), მეგენეიშვილი (5ქ), ელბაქიძე, პატარაია, ბეშქენაძე (6ქ), გ. რევაზაშვილი (9ქ), ლ. რევაზაშვილი (27ქ, 5მ), ფერიაშვილი (16ქ), ნანიტაშვილი (7ქ, 7პ).

საქართველოს ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობს. თასის გათამაშება კი მეოთხედფინალური ეტაპიდან იწყება და საჭირო იყო სამისოდ 8 გუნდის შერჩევა. ორგანიზატორებმა ჩემპიონატის ბოლო ორ გუნდს საკვალიფიკაციო ეტაპის



ფარქვეშ ოლიმპის ახალწვეული ირაკლი ალხანაიძე
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

გავლა დააკისრეს და „ოლიმპი“-“მაქაბის“ წყვილში საუკეთესო მერვედფინალისტებს უნდა შეერთებოდა.

პირველი წრის შემდეგ „ოლიმპს“ დაუბრუნდა დისკვალიფიკაციამოხდილი **რიჩარდ მათიაშვილი**, რომელმაც პირველ შეხვედრაში 21 მოხსნა მოაგროვა. გამოჩნდა ისიც, რომ **ათანელიშვილისა** და მათიაშვილის გვერდით **ირაკლი ალხანაიძის** დამატება „ოლიმპის“ მწვრთნელს წინა ხაზში ვარირების საშუალებას მისცემს, ხოლო ახალწვეულმა გამთამაშებელმა **მიხეილ ჩიტაშვილმა** ორი მატჩის ჯამში 8 შედეგიანი გადაცემა მიითვალა და **ირაკლი მიქელძესთან, ირაკლი გულისაბედაშვილთან** და **ნოდარ გოგოძესთან** ერთად საინტერესო უკანა ხაზს შექმნის.

„მაქაბიშიც“ მატებაა - დაბრუნდა ტრავმამომუშებული **გიორგი რევაზაშვილი.** იგი ფორმას ნელ-ნელა აკრეფს, მანამდე კი მაქაბელთა ბომბარდირობა **ლევან რევაზაშვილმა და გიორგი ფერიაშვილმა** იკისრეს. მათ ერთობლივად ორი მატჩის ჯამში 75 ქულა მიითვალეს.

„ოლიმპი“ მერვედფინალში „დინამოს“ დაუპირისპირდება. მატჩი აკადემიის დარბაზში დღეს 15 საათზე დაიწყება. 13:00 ითამაშებენ „სოხუმი“ და „ბათუმი“, ხოლო 17:00-ზე - „შსს აკადემია“ და „ქუთაისი“. დღესვე რუსთავში ადგილობრივი გუნდი „არმიას“ მიიღებს (18:00).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# გორგოძისა და ჟვანიას წყვილი ლელო

ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ეტაპი დასრულდა. პლეი ოფში თამაშის უფლება ქართველ მორაგბეთა ხუთმა გუნდმა მოიპოვა. აქედან სამი, „ტულონი", „ტულუზი" და „კლერმონი" ყველაზე პრესტიჟული, „ჰაინეკენის თასის" მეოთხედფინალში ითამაშებს. „ბრივი" და „სტად ფრანსე" კი, „ემლინ ჩელენჯ კაპისთვის" განაგრძობენ ბრძოლას.



მამუკა გორგოძის ამ შეტევას ლელო არ მოჰყვა

საფრანგეთის ჩემპიონი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" A ჯგუფში ასპარეზობდა და მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ჩვენებურის გუნდი ბოლო ტურში სტუმრად დაუპირისპირდა ინგლისურ „ნორსჰემპთონს" და 3:13 წააგო. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო, თუმცა დაშავდა და 27-ე წუთზე შეცვალეს.

ამავე ჯგუფში პირველობა არავის დაუთმო ირლანდიურმა „ლენსტერმა", რომელმაც შინ უელსური „ოსფრიზი" დაამარცხა 36:3 და 22 ქულა დააგროვა. ლენსტერელები, ცხადია, მეოთხედფინალში იასპარეზებენ.

B ჯგუფის გამარჯვებული **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონია", რომელმაც ექვსი თამაშიდან ხუთი მოიგო და 24 ქულა მოაგროვა. ტულონელებმა ბოლო ტურში სტუმრად დაამარცხეს შოტლანდიური „გლაზგო" 15:8 და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ტიტულის დაცვას სერიოზულად ეცდებიან.

მიქაუტაძე თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა თადარიგში იყო, თუმცა არ უთამაშია.

C ჯგუფიდან მეოთხედფინალში ორი გუნდი მოხვდა. აქ პირველი ადგილი **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზმა" დაიკავა, რომელსაც 23 ქულა დაუგროვდა. მეორე ადგილზე გასულ ინგლისურ „სარასენზს" კი, 20 ქულა აქვს და ორ საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის მოხვდა.

ბოლო ტურში „ტულუზი" სტუმრად ეთამაშა იტალიურ „ზებრეს" და 16:6 მოუგო. მიუხედავად იმისა, რომ ტულუზელები ჯგუფის აუტსაიდერს თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ეთამაშნენ, გამარჯვების მოპოვება ძალიან გაუჭირდათ. ბრეგვაძე და კაკოვინი ტრავმირებულნი არიან და არ უთამაშიათ.

თავის მხრივ „სარასენზმა" შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა ირლანდიური „ქონოთი" - 64:6.

D ჯგუფში შესანიშნავად იასპარეზა **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა", რომელმაც შეჯიბრების ეს ეტაპი ერთი ამოსუნთქვით განვლო. ბოლო ტურში „ვულკანებმა" შინ დაამარცხეს **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგი" - 28:3. პარიზელებმა თანამემამულეებისგან განსხვავებით ევროპას თავი ვერაფრით დაამახსოვრეს და ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ. ზირაქაშვილი განაცხადში არ იყო, ხინჩაგიშვილი თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

E ჯგუფში მოასპარეზე **მამუკა გორგოძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" მესამე ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში მონპელიელებმა იტალიურ „ბენეტონს" უმასპინძლეს და 24:5 დაამარცხეს. გორგოძემ, რომელიც 59-ე წუთზე შეცვალეს, 35-ე წუთზე ლელო გაიტანა, ნარიაშვილმა სრულად ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფიდან პლეი ოფში ორი გუნდი გავიდა. ირლანდიური „ალსტერი" და ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი". მათი შეხვედრა ინგლისში ირლანდიელების გამარჯვებით დასრულდა - 22:19.

წარუმატებლად იასპარეზა F ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა. **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა" 12 ქულა დააგროვა და მესამე ადგილს დასჯერდა. შოტლანდიურმა კლუბმა ბოლო ტურის შეხვედრა სტუმრად გამართა ჯგუფში პირველ ადგილზე გასულ ირლანდიურ „მანსტერთან" და დიდი ანგარიშით დამარცხდა - 6:38. ბასილაიას არ უთამაშია.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანი" კი, შვიდი ქულით ბოლო ადგილზე გავიდა. კატალონიელებმა გათამაშება შინ ინგლისურ „გლოსტერთან" მარცხით დაასრულეს - 18:36. ჟღენტმა ტრავმა მოიშუშა და თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო.

## ჰაინეკენის თასი

### A ჯგუფი

ლენსტერი-ოსფრიზი 36:3, ნორსჰემპთონი-კასტრი 13:3

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლენსტერი - 22 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 17, 3. კასტრი - 9, 4. ოსფრიზი - 5.

### B ჯგუფი

გლაზგო-ტულონი 8:15, კარდიფი-ექსეტერი 13:19

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 24 ქულა, 2. კარდიფი - 14, 3. ექსეტერი - 12, 4. გლაზგო - 11.

### C ჯგუფი

სარასენზი-ქონოთი 64:6, ზებრე-ტულუზი 6:16

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 23 ქულა, 2. სარასენზი - 20, 3. ქონოთი - 13, 4. ზებრე - 0.

### D ჯგუფი

კლერმონი-მეტრო რასინგი 28:3, ჰლანეჰლი-ჰარლიქვინზი 20:22

### სატურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 24 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 16, 3. ჰლანეჰლი - 11, 4. მეტრო რასინგი - 7.

### E ჯგუფი

ლესტერი-ალსტერი 19:22, მონპელიე-ბენეტონი 24:5

### სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 26 ქულა, 2. ლესტერი - 21, 3. მონპელიე - 11, 4. ბენეტონი - 0.

### F ჯგუფი

მანსტერი-ედინბურგი 38:6, პერპინიანი-გლოსტერი 18:36

### სატურნირო მდგომარეობა

1. მანსტერი - 23 ქულა, 2. გლოსტერი - 14, 3. ედინბურგი - 12, 4. პერპინიანი - 7.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან ბრძოლას ორი განაგრძობს. C ჯგუფში შესანიშნავად იასპარეზა **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივმა", რომელმაც ექვსი თამაშიდან ხუთი მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

ბრიველებმა ბოლო ტურში იტალიურ „კალვიზანოს" უმასპინძლეს და 31:9 მოუგეს. შველიძე მოედანზე მე-60 წუთიდან გამოჩნდა, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

პლეი ოფში გავიდა ასევე E ჯგუფში მოასპარეზე **დავით ქუბრიაშვილისა** და **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე". პარიზელებმა სტუმრად ითამაშეს პორტუგალიურ „ლუზიტანოსთან" და მეტოქეს 48:15 სძლიეს. ჟვანიამ 46-ე წუთზე ლელო გაიტანა და ერთი წუთის შემდეგ შეცვალეს, ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედანზე ათი წუთით მეტი დაჰყო.

ამავე ჯგუფიდან მეოთხედფინალში გავიდა ინგლისური „ლონდონ აირიში", რომელმაც სტუმრად დაამარცხა იტალიური „პრატო" - 49:0.

B ჯგუფში ბოლო ადგილზე დაასრულა ასპარეზობა **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდომ", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად წააგო ჯგუფის გამარჯვებულ ინგლისურ „ბასთან" - 13:54. შერკინების ქართველ ბურჯს არ უთამაშია.

## ემლინ ჩელენჯ კაპი

### A ჯგუფი

ვორსტერი-ოიონაქსი 20:13, ბიარიცისეილ შარქსი 7:9

### სატურნირო მდგომარეობა

1. სეილ შარქსი - 23 ქულა, 2. ბიარიცი - 16, 3. ოიონაქსი - 12, 4. ვორსტერი - 7.

### B ჯგუფი

ბასი-ბორდო 54:13, მოლიანო-ნიუპორტი 12:24

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბასი - 28 ქულა, 2. ბორდო - 14, 3. ნიუპორტი - 14, 4. მოლიანო - 0.

### C ჯგუფი

ბრივი-კალვიზანო 31:9, ნიუკასლი-ბუქარესტი 28:0

### სატურნირო მდგომარეობა

1. ბრივი - 23 ქულა, 2. ნიუკასლი - 19, 3. ბუქარესტი - 10, 4. კალვიზანო - 2.

### D ჯგუფი

გრენობლი-ბაიონი 34:16, ვოსფსი-ვიადანა 64:17

### სატურნირო მდგომარეობა

1. ვოსფსი - 26 ქულა. 2. ბაიონი - 15, 3. გრენობლი - 12, 4. ვიადანა - 2.

### E ჯგუფი

ლუზიტანოსი-სტად ფრანსე 15:48, პრატო-ლონდონ აირიში 0:49

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლონდონ აირიში - 24 ქულა, 2. სტად ფრანსე - 24, 3. პრატო - 11, 4. ლუზიტანოსი - 0.

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში, მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, უკვე გამოიკვეთა ის ოთხი გუნდი, რომლებიც პირველ დივიზიონში გადასასვლელად რეალურად იბრძოლებენ. პლეი ოფის კიდევ ერთ საგზურზე კი, პრეტენზიას ერთბაშად ხუთი გუნდი აცხადებს.

მოწინავეთა შორის ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია, „ლიონი" და „აჟენი". პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლას განაგრძობენ „ტარბი" და „ორიაკი". **ტარიელ რატიანიძის** „აჟენმა" სტუმრად ითამაშა „მონ დე მარსანთან" და დაძაბულ ბრძოლაში 12:9 გაიმარჯვა. შერკინების ქართველი ბურჯი ტრავმირებულია და არ უთამაშია. აჟენელები ახლა 57 ქულით მეორე ადგილზე არიან და **გურამ კავთიძისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონს" ოთხი ქულით ჩამორჩებიან. ლიონელთა დაპირისპირება სტუმრად „ნარბონთან" გვიან ღამით დამთავრდა.



ზურაბ ჟვანიას სალელოვე შეტევა



ბურთით გიორგი ჩხაიძე

**გიორგი ნემსაძის, გიორგი ჩხაიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" სტუმრად უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია „კარკასონთან" დაპირისპირებაში - 31:26. ამ მოგებით ჩვენებურთა გუნდი საპლეიოფო ხუთეულს მნიშვნელოვნად დაუახლოვდა. ჩხაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, ექვს წუთში თამაშში მირცხულავა ჩაერთო, ხუთი წუთის შემდეგ კი, მოედანზე ნემსაძეც გამოჩნდა, რომელიც მატჩის არბიტრმა 67-ე წუთზე სინბინში გაუშვა.

„ტარბს" ახლა 42 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა. მას სამი ქულით ჩამორჩება და მეცხრე საფეხურზე იმყოფება **ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელმაც სტუმრად წააგო „დაქსთან" - 16:30. დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი განაცხადში არ იყო.

სახიფათო ზონას დაშორდა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე", რომელმაც შინ დაამარცხა **თორნიკე ლომიძის** „ოში" - 22:12. ეს უკანასკნელი 22 ქულით ბოლო ადგილზეა. ქართველ პირველხაზელებს არ უთამაშიათ.

ისევ სახიფათო ზონაშია **მერაბ შარიქაძის, თამაზ მჭედლიძისა** და **გიორგი სულუაშვილის** „ბურგ ან ბრესი", რომელიც სტუმრად ვერას გახდა „პოსთან" - 15:34. მჭედლიძემ სრულად ითამაშა, შარიქაძე მოედანზე 67-ე წუთიდან გამოჩნდა, სულუაშვილი განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

**კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბი" შინ დამარცხდა „ლა როშელთან" 12:25 და სახიფათო ზონას მიუახლოვდა. ქართველი მორაგბეებიდან მხოლოდ თეთრაშვილმა ითამაშა, რომელიც მოედანზე 50-ე წუთიდან გამოჩნდა და შვიდ წუთში მატჩის არბიტრმა ყვითელი ბარათი უჩვენა.

## II დივიზიონი

### XVII ტური

მონ დე მარსანი-აჟენი 9:12, დაქსი-ორიაკი 30:16, ბეზიე-ოში 22:12, პო-ბურგ ან ბრესი 34:15, ალბი-ლა როშელი 12:25, კარკასონი-ტარბი 26:31.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლიონი - 61 ქულა, 2. აჟენი - 57, 3. პო - 55, 4. ლა როშელი - 54, 5. ნარბონი - 43, 6. ტარბი - 42, 7. კოლომიე - 41, 8. ბურგუენი - 39, 9. ორიაკი - 38, 10. დაქსი - 35, 11. ბეზიე - 35, 12. მონ დე მარსანი - 32, 13. ალბი - 29, 14. ბურგ ან ბრესი - 25, 15. კარკასონი - 22, 16. ოში - 22.

### XVIII ტური

ლიონი-ალბი, ტარბი-ბურგ ან ბრესი, აჟენი-ბეზიე, ორიაკი-ბურგუენი, ოში-კარკასონი, დაქსი-ლა როშელი, ნარბონი-პო, კოლომიე-მონ დე მარსანი.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# სერენას გარეშე გაგრძელდება

**ბოლო სამი დღის განმავლობაში, ავსტრალიის ღიაზე დასრულდა მესამე რაუნდი და გუშინ, სანახევროდ დაკომპლექტდა მეოთხედფინალური ეტაპის წყვილები.**

## V დღე

**დღის მატჩი.** ყველაზე საინტერესო დაპირისპირება **სამანტა სტოსურსა** და **ანა ივანოვიჩს** შორის იყო. შინაარსობრივად, შეხვედრა დაძაბული გამოვიდა. პირველ სეტში სტოსურმა სამმაგი სეტბოლი მოიგერია, თავად კი მეშვიდე ცდაზე გამოიყენა სეტპოინტი. მეორე სეტში ივანოვიჩმა შეძლო ინიციატივის მოპოვება. სტოსურმა რამდენჯერმე სცადა თამაშში დაბრუნება, მაგრამ ანას შემტევმა თამაშმა ლიდერობის შენარჩუნების საშუალება მისცა.

**დღის გადარჩენა.** იუნიორებთან ორი მატჩის შემდეგ, პირველად წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობას ავსტრალიის ღიას ორგზის ფინალისტი **ნა ლი.** მისი მეტოქე იყო **ლუსი საფაროვა.** ჩინელმა ჩააგდო პირველი პარტია, მეორეში კი მის მეტოქეს მატჩბოლი ჰქონდა და ლუსის სულ რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა მატჩის მოგებამდე. საბოლოოდ, ლიმ მეორე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო, მესამეში კი უკვე დამაჯერებლად გრძნობდა თავს კორტზე.

**ჯოკოვიჩის დამაჯერებლობა. ნოვაკ ჯოკოვიჩმა** სამ სეტში გაიარა **დენის ისტომინის** ბარიერი. პირველი ორი პარტია მისი სრული უპირატესობით წარიმართა, მესამეში კი უზბეკმა მოუმატა და კინალამ საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ 5:5-ზე სერბმა მოახერხა ზედიზედ ორი გეიმის აღება.

**სერენას პირველი პრობლემა.** მესამე წრეში ქალთა შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანის **სერენა უილიამსის** მეტოქე **დანიელა ჰანტუხოვა** იყო. შეხვედრა მაინცდამაინც სანახაობრივი არ გამოვიდა, რადგან ამერიკელი საკმაოდ ულიმლამოდ თამაშობდა და ძირითადად, საკუთარი მოწოდების ხარჯზე ინარჩუნებდა უპირატესობას. ორი სეტის განმავლობაში, უმცროს უილიამსს 10 ეისი დაუგროვდა. ამასთან, პირველ პარტიაში ჰანტუხოვას არაერთი შანსი ჰქონდა მატჩის თავის სასარგებლოდ შემოსატრიალებლად, მაგალითად, ორჯერ ორმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ყოველ ჯერზე, სერენა თამაშს უმატებდა და ახერხებდა საკუთარი გეიმების გადარჩენას.

## VI დღე

**დღის მატჩი.** გამოუსწორებელი ოპტიმისტები **რაფაელ ნადალისა და გაელ მონფილსის** შეხვედრაში ელოდნენ ბრძოლას ფრანგი ჩოგბურთელის მხრიდან, მით უმეტეს, რომ ეს ჩოგბურთელები ცოტა ხნის წინ, დოჰას ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ მონფილსმა შეძლო ერთი სეტის აღება. არც ის ავიწყდებოდათ, რომ გაელს ორჯერ ჰყავდა ნადალი დამარცხებული ჰარდზე. მაგრამ, ამჯერად, ბრძოლა არ შედგა. რეიტინგის პირველმა ნომერმა ორ საათში წარმატების არანაირი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს - 6:1, 6:2, 6:3.

სხვა ფავორიტებიც შაბათს წესრიგში იყვნენ. **როჯერ ფედერერმა** საათსა და 41 წუთში გაანადგურა რუსი **თეიმურაზ გაბაშვილი** - 6:2, 6:2, 6:3. გაბაშვილს ხუთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ვერც ერთი შანსი ვერ გამოიყენა.

უპრობლემოდ მოიგო თავისი მატჩი **ენდი მარეიმ.** მანაც სამი სეტი იკმარა **ფელისიანო ლოპესის** დასამარცხებლად. ენდის მხოლოდ პირველ სეტში დასჭირდა ტაი-ბრეიკის თამაში, მომდევნო ორ პარტიაში კი მისი უპირატესობა აშკარა იყო. ბრიტანელს ბრწყინვალე ბადე აქვს. მეოთხე წრეში ის შეხვდება ფრანგ **სტეფან რობერს,** რომელიც 33 წლის ასაკში პირველად გავიდა „დიდი სლემის" მერვედფინალში. არადა, რობერმა წააგო კვალიფიკაცია და ძირითად ბადეში ე. წ. „ლაქი ლუზერის" რანგში მოხვდა.

ასევე პირველად ითამაშებს „დიდი სლემის" მერვედფინალში **გრიგორ დიმიტროვი,** რომელმაც დღის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში კანადელი **მილოშ რაონიჩი** დაამარცხა - 6:3, 3:6, 6:4, 7:6.

**მარია წესრიგში იყო. კარინ კნაპთან** ურთულესი მარათონის შემდეგ, **მარია შარაპოვამ** შეძლო მესამე რაუნდში მეტ-ნაკლებად იოლად მოგება. რუსის მეტოქე **ალიზ კორნე** იყო, რომელმაც წლის დასაწყისში **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** ერთად შეძლო ჰოპმანის თასის მოგება. მარიამ დამაჯერებლად აიღო პირველი სეტი, მაგრამ მეორეს დასაწყისში ფრანგმა ბრეიკი გააკეთა. შარაპოვამ იქვე დაიბრუნა დაკარგული გეიმი და მალე მატჩზე ჩაწოდების უფლებაც მიიღო, მაგრამ მარიამ ბოლომდე იბრძოლა და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, რომელშიც სეტბოლის მოგერიების შემდეგ გაიმარჯვა.

შარაპოვას მთავარი პრობლემა ამ მატჩში მოწოდება იყო, რადგან ორჯერ ვერ ჩააწოდა მატჩზე, 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა და პირველი მოწოდების სიზუსტე 50 პროცენტს უდრიდა.

მერვედფინალში მარიას მეტოქე **დომინიკა ციბულკოვა** იქნება, რომელიც ძალიან იოლად მიიწევს წინ სატურნირო ბადეში. მეორე და მესამე რაუნდებში მან მხოლოდ ორი გეიმი წააგო. სლოვაკმა მერვედფინალის საგზური ესპანელი **კარლა სუარეს-ნავაროს** განადგურებით მოიპოვა - 6:1, 6:0.

ბადის ამავე ნაწილში **ელენა იანკოვიჩმა** ზედიზედ მესამე იაპონელი ჩოგბურთელი დაამარცხა. **მისაკი დოისა** და **აიუმი მორიტას** შემდეგ, მან არც **კურუმი ნარა** დაინდო. თუმცა სწორედ ამ უკანასკნელმა შეუქმნა ყველაზე მეტი პრობლემა სერბს, რადგან მეორე სეტში აზიელი სეტზე აწვდიდა. იაპონელები ამ ტურნირზე დასრულდნენ და ახლა, მეოთხედფინალში გასასვლელად, იანკოვიჩს რუმინელ **სიმონა ჰალეპთან** მოუწევს შეხვედრა, რომელმაც მესამე წრეში **ზარინა დიასს** მოუგო - 6:1, 6:4.

**დღის განადგურება. ვიქტორია აზარენკას** არანაირი პრობლემა არ ჰქონია მესამე რაუნდში. ავსტრალიის ღიას ორგზის მოქმედ ჩემპიონს ამ ტურნირზე თავისთვის ყველაზე იოლი მატჩი ჰქონდა. მან ზედიზედ 11 გეიმი მოუგო ავსტრიელ **ივონ მოისბურგერს** და 6:1, 6:0 გაანადგურა. ბელარუსმა ავსტრალიის ღიაზე მოგებათა სერია 17 მატჩამდე აიყვანა.

ახლა, მერვედფინალში შედგება შარშანდელი ნახევარფინალის რემატჩი, რომელშიც აზარენკამ **სლოუნ სტივენსს** მოუგო. ამერიკელმა შაბათს ტურნირს გამოთიშა **ელინა სვიტოლინა.** ამასთან, უკრაინელმა პირველ პარტიაში სეტზე ვერ ჩააწოდა, მეორეში კი ბოლოსკენ ველარ გაძლო - 5:7, 4:6.

**დღის სიურპრიზი.** ესპანელი **გარბინ მუგურუსა** აგრძელებს წარმატებულ გამოსვლას. მან სეზონი ოკლენდში **ვინუს უილიამსთან** წაგებით დაიწყო, შემდეგ კი 20 წლის პირენეელმა ჰობარტის ტურნირი მოიგო. ახლა გარბინი ავსტრალიის ღიას მერვედფინალში გავიდა, როცა სამსაათიანი მარათონი მოუგო **კაროლინ ვოზნიაცკის.** ამით, ესპანელის მოგებათა სერია 11 მატჩამდე ავიდა.

თავიდან დანიელი უკეთ გამოიყურებოდა - მან მოიგო პირველი სეტი და მეორეში თანაბრად იბრძოდა, მაგრამ ბოლოს დათმო საკუთარი მოწოდება. მესამე პარტიაში მუგურუსა უკვე შეუჩერებელი იყო და მან კარიერაში ერთ-ერთ დიდ გამარჯვებას მიაღწია. ესპანელი პირველად თამაშობდა „დიდი სლემის" ტურნირის მესამე წრეში და ახლა, გააუმჯობესა პირადი მიღწევა. სხვათა შორის, მატჩს თვალს ადევნებდა ფედერაციის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანი **კონჩიტა მარტინესი.** გარბინს ჯერ არც ერთ ნაკრებში არ უთამაშია და ამ მხრივ, არჩევანის საშუალება აქვს, რადგან ვენესუელაშია დაბადებული.

რაც შეეხება ვოზნიაცკის, ის ამ ტურნირის შემდეგ გამოვარდება TOP10-დან და მის ადგილს იქ სიმონა ჰალეპი დაიკავებს.

**დღის ციფრი.** 29 ორმაგი შეცდომა დაუგროვდა მარია შარაპოვას სამი მატჩის განმავლობაში. რუსი ამ მაჩვენებლით ლიდერობს ავსტრალიის ღიას ყველა მონაწილეს შორის. ყველაზე ახლოს მარიასთან გარბინ მუგურუსაა 17 ორმაგით.

## VII დღე

**დღის მატჩი.** თანამედროვე ჩოგბურთის ულაპარაკო ლიდერის **სერენა უილიამსისა** და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის ანა ივანოვიჩის შეხვედრა, ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო უნდა ყოფილიყო. ჰანტუხოვასთან მოგების შემდეგ, ამერიკელმა განაცხადა, რომ ზურგის ტრავმა აწუხებდა და კინალამ მიატოვა ტურნირი. გუშინ, სერენა კორტზე მაინც გავიდა, მაგრამ თავისი გულშემატკივრები ვერ გაახარა.

*„დღეს ვცადე გამეკეთებინა ყველაფერი. შესაძლოა, არ ვარ საუკეთესო ფიზიკურ კონდიციებში, მაგრამ ახლა არაფრის შეცვლა არ შეიძლება. ანამ შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და დაიმსახურა გამარჯვება.*

*რა თქმა უნდა, ბურთს ისე ვერ ვურტყამდი, როგორც ჩვეულებრივად ვაკეთებ, მოძრაობა მიჭირდა და ისეთ შეცდომებს ვუშვებდი, როგორიც ბოლო ორი წელი არ მქონია. მაგრამ, არა უშავს.*



სერენა უილიამსი წაგების შემდეგ

*მთავარია ვიცი, რომ უკეთ თამაში შემიძლია"*, - განაცხადა სერენამ.

ივანოვიჩი, რომელსაც წინა ოთხ მატჩში ამერიკელისთვის სეტიც არ ჰქონდა მოგებული, თავიდან ნერვებს ვერ გაუმკლავდა და პირველი სეტი წააგო - 4:6. მაგრამ მეორე და მესამე სეტებში სერბმა ჩოგბურთელმა იგივე გაიმეორა, რაც სტოსურთან მატჩში - შესანიშნავი თამაში აჩვენა. ანა შესანიშნავად აწვდიდა და იღებდა, მკვეთრად და სწრაფად მოქმედებდა. საკუთარი ბოლო ორი გეიმი „მშრალი" ანგარიშით აიღო და ემოციურად აღნიშნა გამარჯვება. 26 წლის სერბი კარიერაში მეორედ და 2008 წლის შემდეგ პირველად გავიდა ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში.

**დამაჯერებელი ლი.** დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი ნა ლიმ. მან 59 წუთში გაანადგურა სატურნირო ბადის ზედა ნახევარში დარჩენილი ერთადერთი რუსი - **ეკატერინა მაკაროვა.** ამ უკანასკნელმა მატჩის შემდეგ აღიარა, რომ ჩინელის წინააღმდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდა. რუსი მართალია: ოთხი „ვინერსით" მატჩის მოგება შეუძლებელია.

ახლა, მეოთხედფინალში ლის **ფლავია პენეტასთან** შეხვედრა ელის. ერთი წლის წინ, იტალიელი აღდგენით კურსს გადიოდა მაჯის ტრავმის შემდეგ, ამიტომაც ავსტრალიის ღიაზე არ უთამაშია. 31 წლის პირენეელის მელბურნში დაბრუნება ძალიან წარმატებული გამოვიდა. მერვედფინალში მან მსოფლიოს მეცხრე ჩოგანი **ანჟელიკ კერბერი** სამ სეტში დაამარცხა და კარიერაში მეხუთედ გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში.

**დღის მიღწევა.** პირველად გამოდის ავსტრალიის ღიაზე ქალთა ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ეჟენი ბუშარი,** რომელმაც გუშინ შეაჩერა ბადეში შემორჩენილი ერთადერთი ავსტრალიელის **კეისი დელაკუას** წინსვლა. ამით მან ისტორიაში ჩაწერა თავისი სახელი, რადგან პირველი კანადელი ჩოგბურთელი გახდა, ვინც 1992 წლის შემდეგ, „დიდი სლემის" ტურნირზე მეოთხედფინალამდე მიაღწია. ახლა, ბუშარს წინ აქვს მატჩი ივანოვიჩთან.

**დღის კანონზომიერება.** მამაკაცთა სატურნირო ბადის ქვედა ნაწილში TOP8-ის ყველა წარმომადგენელი გავიდა მეოთხედფინალში. ავსტრალიის ღიას ოთხგზის ჩემპიონმა ჯოკოვიჩმა მხოლოდ ხუთი გეიმი მისცა **ფაბიო ფონინის** და ახლა, **სტანისლას ვავრინკას** შეხვდება, რომელმაც ასევე სამ სეტში მოუგო **ტომი რობრედოს.** შეგახსენებთ, რომ სერბი და შვეიცარიელი 2013 წელსაც არკვევდნენ ურთიერთობას ავსტრალიის ღიაზე და ჯოკოვიჩმა 12:10 მოიგო მეხუთე სეტი.

კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი შეადგინეს მესამე ნომრად განთესილმა **დავიდ ფერერმა** და მეშვიდე ჩოგანმა **ტომაშ ბერდიხმა.** მათ, შესაბამისად, **ფლორიან მაიერი და კევინ ანდერსონი** დაამარცხეს. ესპანელი, რომელიც „დიდი სლემის" ტურნირების მეოთხედფინალში ზედიზედ მეცხრედ გავიდა, ჩეხს პირად შეხვედრებში 7:4-ს უგებს.

**გია თვალაბეიშვილი**

### კაცები

#### 1/16 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-გაელ მონფილსი (საფ, 25) 6:1, 6:2, 6:3; **კეი ნიშიკორი (იაპ, 16)**-დონალდ იანგი (აშშ) 7:5, 6:1, 6:0; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 22)**-მილოშ რაონიჩი (კან, 11) 6:3, 3:6, 6:4, 7:6(10); **რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ)**-ბენუა პერი (საფ, 27) 6:2, 6:1, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 4)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 26) 7:6(2), 6:4, 6:2; **სტეფან რობერი (საფ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 6:0, 7:6(2), 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 10)**-ჟილ სიმონი (საფ, 18) 7:6(5), 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 6)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:2, 6:2, 6:3; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-დამირ ძუმჰური (ბოს) 6:4, 6:2, 6:2; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 19)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 3:6, 4:6, 6:3, 7:6(5), 7:5; **ფლორიან მაიერი (გერ)**-იერჟი იანოვიჩი (პოლ, 20) 7:5, 6:2, 6:2; **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-ჟერემი შარდი (საფ, 29) 6:2, 7:6(5), 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 8)**-ვასეკ პოსპიშილი (კან, 28) უარი; **ტომი რობრედო (ესპ, 17)**-რიშარ გასკე (საფ, 9) 2:6, 7:5, 6:4, 7:6(6); **ფაბიო ფონინი (იტა, 15)**-სემ კუერი (აშშ) 7:5, 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:3, 6:3, 7:5.

#### 1/8 ფინალი

**ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 19) 6:2, 6:2, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 3)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:7(5), 7:5, 6:2, 6:1; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 8)**-ტომი რობრედო (ესპ, 17) 6:3, 7:6(3), 7:6(5); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ფაბიო ფონინი (იტა, 15) 6:3, 6:0, 6:2.

### ქალები

#### 1/16 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 31) 6:3, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 17) 6:7(8), 6:4, 6:2; **კეისი დელაკუა (ავსტრა)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 6:2, 6:4; **ეჟენი ბუშარი (კან, 30)**-ლორენ დევისი (აშშ) 6:2, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 4)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 26) 1:6, 7:6(2), 6:3; **ეკატერინა მაკაროვა (რუს, 22)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:4, 6:4; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 9)**-ალისონ რისკე (აშშ) 6:3, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 28)**-მონა ბარტელი (გერ) 6:1, 7:5; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 8)**-კურუმი ნარა (იაპ) 6:4, 7:5; **სიმონა ჰალეპი (რუმ, 11)**-ზარინა დიასი (ყაზ) 6:1, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 20)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 16) 6:1, 6:0; **მარია შარაპოვა (რუს, 3)**-ალიზ კორნე (საფ, 25) 6:1, 7:6(6); **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 29) 5:7, 6:2, 6:2; **გარბინ მუგურუსა (ესპ)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 10) 4:6, 7:5, 6:3; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 13)**-ელინა სვიტოლინა (უკრ) 7:5, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1, 6:0.

#### 1/8 ფინალი

**ანა ივანოვიჩი (სერ, 14)**-სერენა უილიამსი (აშშ, 1) 4:6, 6:3, 6:3; **ეჟენი ბუშარი (კან, 30)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:7(5), 6:2, 6:0; **ნა ლი (ჩინ, 4)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს, 22) 6:2, 6:0; **ფლავია პენეტა (იტა, 28)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 9) 6:1, 4:6, 7:5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. რალი

# დრამატული ფინიში ჩილეში

შაბათს ჩილეში დასრულდა ავტომარათონი „დაკარი", რომელიც ავტომობილების კლასში პირველად მოიგო ესპანელმა **ხუან ნანი რომამ.** ბოლოსწინა მე-12 ეტაპზე, „დაკარის" 11-გზის გამარჯვებულმა **სტეფან პეტერანსელმა** ლიდერობა მოიპოვა, როცა 26 წამით გაასწრო რომას. ამ უკანასკნელს ხელი შეუშალა საბურავის მწყობრიდან გამოსვლამ. ბოლო ეტაპის წინ ფრანგმა გამოაცხადა, რომ მზად არის დაემორჩილოს თავისი გუნდის - X-raid-ის ნებისმიერ ინსტრუქციას. და, როგორც ჩანს, ასეთი ინსტრუქციები გაიცა: მე-13 ეტაპზე სტეფანი დიდად თავს არ იკლავდა, ფინიშთან ახლოს კი გაჩერდა და რომასა და **ალ-ატიიას** დაელოდა. ასე რომ, „მინის" სამმა ეკიპაჟმა ერთდროულად გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

საბოლოოდ, რომამ პეტერანსელს ექვსი წუთი მოუგო და კარიერაში პირველად გაიმარჯვა „დაკარზე".

**საერთო ჩათვლა**

1. **ნანი რომა** (Mini) - 50:44.58; 2. **სტეფან პეტერანსელი** (Mini) - +5.38; 3. **ნასერ ალ-ატიია** (Mini) - +56.52; 4. **ჟინიელ დე ვილიერსი** (Toyota) - +1:19.07; 5. **ორლანდო ტერანოვა** (Mini) - +1:27.44; 6. **კშიშტოფ ჰოლოშიცი** (Mini) - +3:55.42...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში დიდი ხნით ადრე ყველაფერი გარკვეული იყო, ამიტომაც **მარკ კომას** არსად ეჩქარებოდა და დამაჯერებლად მოიპოვა პირველი ადგილი. ასევე მშვიდად შეინარჩუნა მეორე ადგილი **ხორდი ვილადომსმა.** მან ეს პოზიცია ბოლოსწინა ეტაპზე მოიპოვა, როცა **ხუან ბარედო ბორტმა** „ჰონდას" მოტოციკლის კაპრიზების გამო სამ საათზე მეტი დაკარგა.

აქ ერთადერთი ინტრიგა გენერალური კლასიფიკაციის მესამე ადგილისთვის ბრძოლა იყო. შარშანდელმა გამარჯვებულმა **სირილ დეპრემ** ყველაფერი გააკეთა **ოლივიე პენის** გასასწრებად, მაგრამ „იამაჰას" ლიდერს სულ ცოტა დააკლდა.

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ კომა** (KTM) - 54:50.53; 2. **ხორდი ვილადომსი** (KTM) +1:52.27; 3. **ოლივიე პენი** (Yamaha) +2:00.03; 4. **სირილ დეპრე** (Yamaha) - +2:05.38; 5. **ელდერ როდრიგესი** (Honda) - +2:11.09; 6. **კუბა პშიგონსკი** (KTM) - +2:31.46...

■ ■ ■

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში კვადროციკლების კლასში აუცილებლად იმარჯვებდა ძმები **პატრონელებიდან** ერთ-ერთი. ამჯერად, **ალეხანდრო** მარათონში არ მონაწილეობდა და ოჯახის ღირსებას **მარკოსი** იცავდა. არგენტინელმა მოიგო მეორე სპეცმონაკვეთი, მაგრამ მესამე დღეს, ავარიაში სასწაულებრივ გადაურჩა ტრავმებს და „დაკარი" დატოვა. ამის შემდეგ ბოლომდე დამაჯერებლად ლიდერობდა Yamaha-ს მეორე წარმომადგენელი **იგნასიო კასალე,** რომელიც, საბოლოოდ, გამარჯვებული გახდა.

დაძაბული იყო მარათონი სატვირთო ავტომობილების კლასში. შარშანდელი ჩემპიონი, კამაზ-ის წევრი **ედუარდ ნიკოლაევი,** ამჯერად, ვერ ჩაერია ბრძოლაში და რუსული გუნდის ლიდერი გახდა **ანდრეი კარგინოვი.** მისი მთავარი კონკურენტი კი, როგორც ყოველთვის, **ჟერარ დე როი** იყო Iveco-ს სატვირთოთი. რალის დიდი ნაწილს ჰოლანდიელი ლიდერობდა, მაგრამ კარგინოვი თანდათან ამცირებდა ჩამორჩენას და სამი ეტაპით ადრე პირველ ადგილზე გადავიდა.

ყველაფერი უნდა გაერკვია ფინალურ სპეცმონაკვეთს, მაგრამ მისი დასრულების შემდეგაც გამარჯვებულის ვინაობა უცნობი იყო. დე როიმ გაუსწრო კარგინოვს, თუმცა რუსმა ბევრი დრო დაკარგა იმის გამო, რომ რაღაც მომენტში, ტრასა ჩაკეტილი იყო. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მსაჯებმა კარგინოვს დაკარგული დრო აუნაზღაურეს და ამან კამაზ-ს გამარჯვება მოუტანა.


ნანი რომას ეკიპაჟი

ფორმულა 1



# მაკლარენში ძველი შეფი მივიდა

„მაკლარენის" ყოფილმა ხელმძღვანელმა **რონ დენისმა მარტინ უიტმარში** შეცვალა ბრიტანული საჯინიბოს აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე, - იტყობინება Autosport. სწორედ დენისის სახელს უკავშირდება „მაკლარენის" ყველაზე ხმაურიანი წარმატებები. მან გუნდი 1982 წელს ჩაიბარა და მომდევნო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, „მაკლარენს" შვიდჯერ მოაგებინა კონსტრუქტორთა თასი და ცხრაჯერ - ინდივიდუალური ჩათვლა. ამის შემდეგ, დენისი კომპანია „მაკლარენის" პრეზიდენტი გახდა და მთავარი ყურადღება საავტომობილო ბიზნესზე გადაიტანა.

*„დიდი ცვლილებები იწყება, - აღნიშნა დენისმა. - და ჩვენ ისევ დავიწყებთ მოგებას".*

თუმცა დენისის დანიშვნის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც ნამდვილად არ მოეწონებოდათ ბრიტანული საჯინიბოს გულშემატკივრებს. დიდია ალბათობა იმისა, რომ „მაკლარენი" მონაწილეობას ვერ მიიღებს ხერესის წინასასეზონო ტესტებში, რომელიც 28 იანვარს დაიწყება.

„მაკლარენს" 24 იანვარს უნდა მოეწყო ახალი მანქანის - MP4-29-ის პრეზენტაცია, მაგრამ გაჩნდა ინფორმაცია, რომ გუნდი ვერ ასწრებს ბოლიდის მომზადებას ხერესის ვარჯიშებისთვის. თურმე ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ „მაკლარენმა" ვერ გაიარა აუცილებელი კრაშ-ტესტი და არსებობს ეჭვი იმისა, რომ მომდევნო ანალოგიურ გამოცდასაც ჩააგდებს,

შეგახსენებთ, რომ ხერესის ტესტებში გამოსვლაზე ოფიციალურად თქვა უარი „ლოტუსმა".

ამბები

**კრივი**

## WBC-მ პრეზიდენტი დაკარგა

ლოს ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოს საკრივო საბჭოს (WBC) პრეზიდენტი **ხოსე სულეიმანი.** დონ ხოსემ ბოლო რამდენიმე თვე საავადმყოფოში გაატარა გულზე გადატანილი ოპერაციის გამო.

ხოსე სულეიმანი სამოყვარულო დონეზე გამოდიოდა კრივში, შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად, პრომოუტერად, მოსინჯა რეფერისა და მსაჯის პროფესიები. 1968 წელს, სულეიმანმა დაიწყო WBC-ის ფუნქციონერის კარიერა და 1975 წელს აირჩიეს ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად. ეს თანამდებობა მას სიკვდილამდე ეკავა.

2007 წელს ხოსე სულეიმანი კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს. მან მოიფიქრა რამდენიმე წესი, რომელიც მიმართული იყო მოკრივეთა ტრავმებისგან დასაცავად.

**ველოსპორტი**

## ჩემპიონის ორწლიანი სასჯელი

ველოსპორტში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, იტალიელი **ალესანდრო ბალანი** აკრძალული პრეპარატების გამოყენებისთვის დაისაჯა.

სპორტსმენის ორწლიანი დისკვალიფიკაციის შესახებ იტყობინება იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. 34 წლის ველომრბოლის სასჯელი 2014 წლის 18 იანვრიდან შევიდა ძალაში. გარდა ამისა, ბალანმა 2 ათას ევროს ოდენობის ჯარიმაც უნდა გადაიხადოს.

2008 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფურ რბოლაში გამარჯვების გარდა, ბალანის ანგარიშზეა გამარჯვება ფლანდრიის ტურში (2007 წელი).

**ოლიმპიზმი**

## სტოკჰოლმი ბრძოლას ჩამოშორდა

შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი არ იბრძოლებს 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის. ოლიმპიადის დედაქალაქის არჩევა 2015 წლის 31 ივლისს, კუალა ლუმპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 127-ე სესიაზე მოხდება.

სტოკჰოლმის უარის შემდეგ, დარჩენილია ხუთი კანდიდატი - პეკინი (ჩინეთი), ოსლო (ნორვეგია), ალმა-ატა (ყაზახეთი), ლვოვი (უკრაინა) და კრაკოვი (პოლონეთი).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ჩემპიონმა მოგებით დაიწყო

რალი-რეიდ დაკარის დასრულებასთან ერთად სტარტი აიღო კიდევ ერთმა მარათონმა რალიში - მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატმა. ტრადიციულად, სეზონი გახსნა მონტე კარლოს რალიმ. და კვლავაც, ლეგენდარული **სებასტიან ლოების** წასვლის შემდეგ, კონკურენციის გარეშეა **სებასტიან ოჟიე,** რომელიც „ფოლკსვაგენის" მანქანით გამოდის. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა წუთზე მეტი მოუგო მეორე ადგილზე გასულ „ფორდის" პილოტ **ბრიან ბუფიეს.** ეტაპზე მესამე იყო „სიტროენის" წევრი, ინგლისელი **კრის მიკი.**

მონტე კარლოს რალიზე ბევრმა სახელოვანმა პილოტმა ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა ტექნიკური პრობლემების გამო. რბოლა ვერ დაასრულეს: **მიკო ჰირვონენმა, დანი სორდომ, ფრანსუა დელეკურმა** და **მარტინ პროკოპმა. რობერტ კუბიცა** და **ტიერი ნოივილი** კი ვერ გაუმკლავდნენ სამხრეთ საფრანგეთის თოვლიან გზებს და ტრასიდან გადავარდნენ.

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი შვედეთში 5-8 თებერვალს გაიმართება.

**I ეტაპი**

1. **სებასტიან ოჟიე** (Volkswagen) - 3:55:14,4; 2. **ბრიან ბუფიე** (Ford) - +1:18,9; 3. **კრის მიკი** (Citroen) - +1:54,3; 4. **მადს ოსტბერგი** (Citroen) - +3:53,9; 5. **იარი-მატი ლატვალა** (Volkswagen) +6:08,3; 6. **ელვინ ევანსი** (Ford) - +8:37,4; 7. **ანდრეას მიკელსენი** (Volkswagen) - +11:42,3; 8. **იაროსლავ მელიხარეკი** (Ford) - +21:56,2...


სებასტიან ოჟიე

ამბები

## პირელი სამი წლით რჩება

საბურავების მწარმოებელმა იტალიურმა კომპანია „პირელიმ" სამი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი ფორმულა 1-თან. ბოლო დროს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ იტალიურ მხარესა და **ბერნი ექლსტოუნს** შორის მზადდებოდა ხუთწლიანი კონტრაქტი, მაგრამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ სამწლიანი ხელშეკრულების შესახებ გამოაცხადა.

კონტრაქტის გაფორმების წინ, მხარეებს შორის ხანგრძლივი დისკუსია მიდიოდა მომავალი შეთანხმების პირობებზე, რადგან „პირელი" უკმაყოფილო იყო ფორმულა 1-ის მოქმედი რეგლამენტით, რომელიც ხელს უშლიდა იტალიურ კომპანიას ახალი სეზონისთვის საბურავების მომზადებაში.

კერძოდ, მილანელთა განცხადებით. ფორმულა 1-ში ტესტების შემცირებამ ის გამოიწვია, რომ არ ხერხდება საბურავების გამოცდა უშუალოდ ტრასის საფარზე, ამან კი გასულ სეზონში მთელი რიგი პრობლემები შეუქმნა გუნდებს.

საბოლოოდ, გადაწყდა, რომ წინასასეზონო ტესტების ერთ-ერთი დღე დაეთმობა „პირელის" წვიმის საბურავის გამოცდას. გარდა ამისა, გუნდებმა სეზონის მსვლელობისას დანიშნული რვადღიანი ტესტების ერთ-ერთი დღე მთლიანად უნდა დაუთმონ საბურავებზე მუშაობას.

## სამ გუნდს დიდ ცირკში უნდა

დეკემბერში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა განაცხადების მიღების შესახებ იმ გუნდებისგან, რომლებსაც 2015 წლიდან სურთ ფორმულა 1-ში გამოსვლა. გერმანული გამოცემა Auto Motor und Sport წერს სამ პოტენციურ კანდიდატზე - ამერიკულ Haas Racing-ზე, **კოლინ კოლესის** პროექტზე და სერბი ბიზნესმენის **ზორან სტეფანოვიჩის** გუნდ Stefan GP-ზე.

ფორმულა 1-ში მოხვედრის ყველაზე დიდი შანსი აქვს Haas Racing-ს. ეს გუნდი 2002 წლიდან გამოდის NASCAR-ის სერიაში, მის მფლობელს **ჯინ ჰაასს** კი უდიდესი ფინანსური რესურსი აქვს, რადგან მას ეკუთვნის მსოფლიოში დაზგების წარმოების ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. გარდა ამისა, ჰაასის კომპანია ფლობს აეროდინამიკური კვლევების ცნობილ ცენტრს Windshear-ს. ამ ცენტრის სამსახურით ფორმულა 1-ის გუნდებიც სარგებლობენ.

Auto Motor und Sport-ის ინფორმაციით, Haas Racing დამოუკიდებლად აპირებს შასის შექმნას, მაგრამ, თავდაპირველად, გამოიყენებს Dallara-ს წარმოების შასის. ძალისმიერ აგრეგატსა და გადაცემათა კოლოფს მიაწვდის „ფერარი", ხოლო გუნდის ხელმძღვანელი იქნება **გიუნტერ შტაინერი** - „იაგუარისა" და „რედ ბულის" ყოფილი ტექნიკური დირექტორი.

არც ისე მაღალია იმის შანსი, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია მოიწონებს კოლინ კოლესისა და Stefan GP-ის შასის. კოლესს უკვე აქვს ფორმულა 1-ში მუშაობის გამოცდილება. სხვადასხვა დროს, ის ხელმძღვანელობდა Midland-ს, Spyker-ს, Force India-სა და HRT-ს. გარდა ამისა, კოლესის გუნდები მონაწილეობას იღებენ DTM-ის სერიაში და გამოდიან ამტანობაზე რბოლების მსოფლიოს ჩემპიონატში.

რაც შეეხება სერბ ბიზნესმენს ზორან სტეფანოვიჩს, მას ფორმულა 1-ში მოხვედრის რამდენიმე მცდელობა ჰქონდა და 2009 წელს, „ტოიოტას" სარბოლო ქონების შეძენასაც აპირებდა, მაგრამ მისი განაცხადი უარყო ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# კარგი ამბავი შუმიზე: კრიტიკული აღარ არის



მიხაელ შუმახერი

როგორც იქნა, ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა **მიხაელ შუმახერის** ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ჟურნალისტების წინაშე წარდგა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მენეჯერი **საბინა კემი**, რომელმაც რამდენიმე სასიამოვნო ამბავი აცნობა პრესას.

მთავარი ის არის, რომ მიხაელის მდგომარეობა აღარ ფასდება, როგორც კრიტიკული, მაგრამ გერმანელი მაინც კომაში რჩება.

*„მიხაელის ოჯახი სრულიად ენდობა ექიმების გუნდს და კმაყოფილია მათი მუშაობით. სამწუხაროდ, უნდა შეგახსენოთ, რომ ნებისმიერი სწორი ინფორმაცია მხოლოდ მათი ექიმებისგან ვრცელდება“*, - განაცხადა კემმა.

ამასობაში, კურორტ მერიბელის იმ ტრასაზე, სადაც შუმახერმა ტრავმა მიიღო, იპოვეს მისი ტიბეტური სამაჯური, რომელიც დაცემისას დაიკარგა. ეს სამაჯური მიხაელს მისმა მეუღლემ **კორინამ** აჩუქა და ის პილოტისთვის ბედნიერ თილისმად ითვლებოდა. გადმოცემის თანახმად, სამაჯური მის მფლობელს ენერგიასა და გახსნილ გონებას აძლევს. კორინა შუმახერი მას საავადმყოფოში, ვერტმფრენში და ტრასაზე ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა.

სნოუბორდი

# გადარჩენილი ვარსკვლავი

ავტომრბოლ **მიხაელ შუმახერისა** და ტრამპლინიდან მხტომელ **ტომას მორგენშტერნის** შემდეგ, სპორტის კიდევ ერთი ვარსკვლავი აღმოჩნდა სერიოზული ტრავმის საფრთხის წინაშე.

მსოფლიო სნოუბორდის უპირველესი ვარსკვლავი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი **შონ უაიტი** სოჭის ოლიმპიადისთვის საკვალიფიკაციო ტურნირზე გამოდიოდა, როცა გამოსვლის დროს მტკივნეულად დაეცა ყინულზე.

უაიტმა გრძელი ნახტომის შესრულებისას დაუშვა შეცდომა და დაცემის შემდეგ, რამდენიმე წუთი გაუნძრევლად იწვა. შემდეგ ექიმებმა მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

უაიტმა ტრასა დამოუკიდებლად დატოვა, რამდენიმე საათის შემდეგ კი გააგრძელა საკვალიფიკაციო ტურნირზე გამოსვლა და დაიბევა ადგილი აშშ-ის ოლიმპიურ გუნდში.

სპეციალურად სოჭში გამოსვლისთვის, შონ უაიტმა მოამზადა ულტრასის ილეთი, რომელსაც ეწოდება - frontside double-cork. აქამდე, ყველაზე რთულ ნახტომად მიიჩნეოდა - double McTwist.

უაიტი სოჭის ოლიმპიადაზე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევა.

შონ უაიტი



ცურვა

# საუკეთესო რუსის დამნაშავეა

მორიგ სერიოზულ სკანდალში გაეხვია რუსული სპორტი. ქვეყნის საუკეთესო მოცურავის **იულია ეფიმოვას** დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა.

რუსული პრესის ინფორმაციით, სინჯი არასატურნირო პერიოდში აიღეს, როცა ეფიმოვა ნოემბრისა და დეკემბრის ტურნირებისთვის ემზადებოდა.



იულია ეფიმოვა

აღმოჩენილი აკრძალული პრეპარატია - დეგიდროეპიანდროსტერონი (DHEA) და მას შეიცავდა ერთ-ერთი აქტიური ბიოლოგიური დანამატი. DHEA - პოპულარული დოპინგის ტესტოსტერონის მეტაბოლიტია.

ეფიმოვამ უკვე დაწერა ახსნა-განმარტებითი ბარათი, სადაც აღიარა იმ საკვები დანამატის მიღება, რომელიც შეიცავდა აკრძალულ სუბსტანციას. ჯერჯერობით არ შემოწმებულა B სინჯი, მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეფიმოვა დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩება. ასეთი დარღვევისთვის სტანდარტული დანაშაულია - ორი წელი ჩამოშორება ოფიციალური ტურნირებიდან.

2013 წელი ძალიან წარმატებული იყო ეფიმოვასთვის. ის უნივერსიადის ოთხგზის გამარჯვებული გახდა, ორი ოქრო, თითო ვერცხლი და ბრინჯაო მიიღო მსოფლიოს ჩემპიონატზე და ოთხი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც დანიაში გაიმართა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



დურანტი (მარცხნივ) გოლდენ სტეიტთან მატჩში

# დურანტი: M-V-P!

„ოკლაჰომას“ ლიდერმა **კევინ დურანტმა** კიდევ ერთი განაცხადი გააკეთა ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე. „გოლდენ სტეიტთან“ მოგებულ მატჩში (127:121) ფორვარდმა შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა. ახლა, ეს რეკორდი 54 ქულას უდრის. ამასთან, ბოლო ორ მატჩში დურანტი მინიმუმ 36 ქულას აგროვებდა, იანვრის დასაწყისში კი მან ორჯერ მოიხვეჭა 48 ქულა! დროის ყველაზე შთამბეჭდავი მონაკვეთი დურანტს მეოთხე მეოთხედში ჰქონდა, როცა ორი წუთის ინტერვალში სამი სამქულიანისა და ორი საჯარიმოს ჩაგდება მოასწრო და თავის გუნდს 17-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. ამის შემდეგ, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა და დაიწყო სკანდირება: „M-V-P!“

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მოედანზე გატარებული 43 წუთის განმავლობაში, „ოკლაჰომას“ ფორვარდმა უფრო მეტი ბურთი ჩააგდო თამაშიდან (19), ვიდრე მთლიანად მისმა თანაგუნდელებმა (18).

*„რა თქმა უნდა, მესმოდა, რასაც ყვიროდნენ ტრიბუნებიდან. ნებისმიერი კალათბურთელისთვის სასიამოვნოა ასეთი პრიზის მიღება. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია - თამაშისგან სიამოვნების მიღება და გუნდისთვის სარგებლის მოტანა“*, - აღნიშნა 25 წლის ფორვარდმა, რომელიც 2010 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის MVP იყო.

■ ■ ■

ორი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის - „ბოსტონისა“ და „ლეიკერსის“ მატჩში, როგორც დაანონსებული იყო, მოედანზე გამოჩნდა გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**, რომელიც მუხლის ტრავმის გამო, შარშანდელი 25 იანვრის შემდეგ არ თამაშობდა და საერთო ჯამში, „სელტიქსის“ 84 მატჩი გამოტოვა.

ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის დაბრუნება შთამბეჭდავი გამოვიდოდა, სირენასთან ერთად რომ ჩაეგდო სამქულიანი და მატჩი ოვერტაიმში გადაეყვანა. მაგრამ, რონდომ (8 ქულა, 4 შედეგიანი პასი, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა) ააცილა. და „ბოსტონი“ დამარცხდა არამხოლოდ ისტორიულად თავის ყველაზე სახიფათო მეტოქესთან, არამედ დღეისთვის ლიგის ერთ-ერთ უსუსტეს გუნდთან.

ამ გამარჯვებით (პირველი ბოლო შვიდ მატჩში), კალიფორნიელებმა თავიდან აიცილეს დასავლეთი კონფერენციის ფსკერზე დაშვება. თუმცა დღევანდელი შედეგით (15 მოგება-25 წაგება) **მაიკ დ'ენტონის** გუნდი აღმოსავლეთში მე-11 ადგილზე იქნებოდა, თანაც „ბოსტონზე“ მაღლა, რომელსაც ბოლო 11 მატჩში 10 წაგება დაუგროვდა.

■ ■ ■

ამასობაში, დასავლეთ კონფერენიას ისევ ორი ლიდერი ჰყავს: „პორტლენდმა“ სეზონში მეორედ დაამარცხა „სან ანტონიო“ და გაუთანაბრდა მას წაგებების რაოდენობით, მოგება კი ერთით ნაკლები აქვს.

ტექსასელებს ვერ უშველა ამ სეზონში **მანუ ჯინობილის** ყველაზე შედეგიანმა თამაშმა (29 ქულა). არგენტინელმა დაჩრდილა ორეგონელთა კვარტეტი **ლილარდის, ოლდრიჯის, მეტიუზისა** და **ბატუმის** შემადგენლობით, მაგრამ „პორტლენდი“ გუნდური კალათბურთით გავიდა ფონს. სწორედ ამის წყალობით, „ბლეიზერსმა“ გადაუარა მეტოქეს მეოთხე მეოთხედში, თანაც, აშკარად არ წაუვიდათ თამაში „სპურსის“ სხვა ვეტერანებს - **ტიმ დანკანსა** და **ტონი პარკერს**, რომლებმაც დიდი შესვენების შემდეგ, მხოლოდ 8 ქულას მოუყარეს თავი. გადამწყვეტი კი აღმოჩნდა მეოთხე მეოთხედის ბოლოს ზუსტი შორეული ტყორცნების სერია **უესლი მეტიუზის** შესრულებით: ანგარიში 92:91 „პორტლენდის“ სასარგებლოდ 105:96-ით შეიცვალა.

| 18 იანვარი | |
|---|---|
| ნიუ იორკი-კლიპერსი | 95:109 |
| ორლანდო-შარლოტი | 101:11 |
| ფილადელფია-მაიამი | 86:101 |
| ტორონტო-მინესოტა | 94:89 |
| ვაშინგტონი-ჩიკაგო | 96:93 |
| ბოსტონი-ლეიკერსი | 104:107 |
| დეტროიტი-იუტა | 89:110 |
| მემფისი-საკრამენტო | 91:90 |
| სან ანტონიო-პორტლენდი | 100:109 |
| დენვერი-კლივლენდი | 109:117 |
| ოკლაჰომა-გ. სტეიტი | 127:121 |
| ფინიქსი-დალასი | 107:110 |
| **19 იანვარი** | |
| შარლოტი-მაიამი | 96:104 (ო) |
| ინდიანა-კლიპერსი | 106:92 |
| ვაშინგტონი-დეტროიტი | 98:104 |
| ჩიკაგო-ფილადელფია | 103:78 |
| ჰიუსტონი-მილუოკი | 114:104 |
| მინესოტა-იუტა | 98:72 |
| ნ. ორლეანი-გ. სტეიტი | 87:97 |
| დალასი-პორტლენდი | 111:127 |

# როდმანი სამკურნალოა

სკანდალურად ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი **დენის როდმანი** სარეაბილიტაციო კლინიკაში მოათავსეს ალკოჰოლზე დამოკიდებულების სამკურნალოდ. ეს ინფორმაცია CNN-მა გაავრცელა სპორტსმენთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით.

ამ მომენტისთვის ცნობილი არ არის, რამდენ ხანს გასტანს როდმანის სარეაბილიტაციო კურსი, მაგრამ როგორც წყარო აღნიშნავს, ყოფილი კალათბურთელი ხშირად მოიხმარდა ალკოჰოლს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვიზიტების შემდეგ. შეგახსენებთ, რომ დენისი იქაურ ლიდერს **კიმ ჩენ ინს** დაუახლოვდა და ცოტა ხნის წინ, მის დაბადების დღეს ამხანაგური მატჩის ორგანიზებაც მოახერხა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს NBA-ის ყოფილმა მოთამაშეებმა.



აშშ-ში დაბრუნების შემდეგ, როდმანი ალკოჰოლს მიეძალა, თუმცა ის ამბობდა, რომ ჩრდილოეთ კორეაში ვიზიტების გამო, მასზე ზეწოლა ხდებოდა და ამან ღრმა დეპრესია გამოიწვია.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608